# ლელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზას ამბები

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 292 (12663) 12 დეკემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი



# ჯარიმა

## 10 ათასი ევრო




იტალიის სერია A-ს სადისციპლინო კომიტეტმა 10 ათასი ევროთი დააჯარიმა „მილანის“ ქართველი ლეგიონერი კახა კალაძე. სასჯელის მიზეზი 23 ნოემბერს „ტორინოსთან“ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტია, რომლის დროსაც კალაძემ შეხვედრის მთავარი არბიტრი გააკრიტიკა. ამავე ინციდენტის გამო „მილანიც“ დაჯარიმდა, რომელსაც 7500 ევროს გადახდა მოუწევს.



რა უყვარს ზაზა ფაჩულიას, რითი ერთობა გასვლითი შეხვედრებისას და რატომ იყიდა ბინა მაინცდამაინც მაიამიში

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან » 12



## ახლა მთავარია, ქართული ფეხბურთი შევინარჩუნოთ...

ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა მოსალოდნელი გართულებისთვის ემზადებიან

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან » 2

# პრინცი ალბერტი საიუბილეოდ გვეწვევა



სეოკ-ი. ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან » 11

## კარმელო ენტონი

# 33

## ქულა ერთ მეოთხედში



NBA. რეგულარული ჩემპიონატი » 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დიმიტრი რამიშვილი

# ახლა მთავარია, ქართული ფეხბურთი შევინარჩუნოთ...

## ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა მოსალოდნელი გართულებისთვის ემზადებიან

**პროფესიული** ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი ფედერაციაში განხორციელებული ცვლილებების უცნობ მოტივებზე გვესაუბრება. რამ გამოიწვია გადაადგილება? რა იმედებს უკავშირებს ფეხბურთის ფედერაცია რევაზ არველაძეს და რა კავშირშია მომხდართან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი?



**- ბატონო დიმიტრი, ბოლომდე მაინც უცნობია ფედერაციაში განხორციელებული გადაადგილებების რეალური მოტივები. ამ ყველაფრის ახსნაც საკმაოდ არადამაჯერებლად ჟღერდა...**

- ამის აუცილებლობა სამომავლო პროექტებმა და პრიორიტეტებმა დაგვანახვა. ამ პრობლემების მოგვარებაზე ფედერაციაში ერთიანი ხედვა გაგვაჩნია. სამომავლოდ, სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისთვისაც ასე სჯობდა. გენერალური მდივნის პოსტზე საჭირო იყო რევაზ არველაძის გამოცდილება, პრინციპულობა, კომუნიკაბელურობა და საფეხბურთო კავშირები... უჩა უგულავას კი, ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, თავისი ბიზნესკავშირებით არანაკლებ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სხვა მიმართულებით.

**- ბიზნესიდან ფეხბურთში მოსული უგულავა სწორედ ფინანსურ საკითხებს კურირებდა და მისი გადასვლა სანაკრებო საქმეთა კურატორად ცოტა უცნაურია...**

- საკითხი ასე არ დგას. ჩვენი პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებია, მაგრამ ჩემპიონატსაც არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ხომ ხედავთ, მას ექტორ კუპერიც დიდ ყურადღებას აქცევს. ეროვნული ნაკრები აქაური პირველობის დონის ამაღლებით გაძლიერდება. ინფრასტრუქტურისა და მოედნების მოწესრიგება ძველებურად პრიორიტეტულია. გასააქტიურებელია მუშაობა მარკეტინგული მიმართულებითაც. გადასადგმელია წინდახედული ნაბიჯები, რათა შევძლოთ კლუბების განვითარება და ავაცილოთ მათ ეკონომიკური პრობლემები. 2009 წელს სახელმწიფო პროგრამა უნდა ამოქმედდეს და საამისოდ ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. უნდა დაცული იყოს მათი ბიუჯეტები და ამით ჩვენ ისევ საქართველოს ჩემპიონატს დავიცავთ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ხომ ჩვენს კლუბებზეც მოქმედებს... უგულავას კი მუშაობა კომერციული მხარის გასაძლიერებლად შეუძლია. არსი ისაა, რომ კლუბებმა ბიუჯეტი რომ შეინარჩუნონ.

**- ანუ, უგულავას ინვესტიციების მოზიდვა დაევალა?**

- სწორედ ასეა. მან ინვესტიცია უცხოეთიდანაც უნდა მოიზიდოს და ქართული ბიზნესიდანაც. რეზო კი თავისი გამოცდილებითა და კავშირებით უნდა დაგვეხმაროს, რათა 2009 წელი, შეძლებისდაგვარად, იოლად გადავიტანოთ. ეს წელი მარტო ფეხბურთისთვის არ იქნება რთული, კრიზისი ყველა ქვეყანას დაატყობს თავის კვალს.

**- გამოდის, რომ ამ საკადრო გადაადგილების მოტივი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ყოფილა...**

- დიახ, ჩვენ ყველანაირი მოსალოდნელი გართულებისთვის ვემზადებით. ეს დაახლოებით ის არის, როცა მწვრთნელი მოსაგებად ტაქტიკურ გადაადგილებას მიმართავს. სწორედ რეზოს გამოცდილებისა და კომუნიკაბელობის წყალობით რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ. ეროვნული ჩემპიონატი უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს, საამისოდ კი სახელმწიფოსთან მუშაობის გააქტიურება გვჭირდება. რეზოს ეს შეუძლია.

**- მართალია, თითქოს ცვლილებების ინიციატორი თქვენ ბრძანდებოდით?**

- არა, მარტო ჩემზე ამას ვერ ვიტყვი. ეს ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის იყო საჭირო. შეიძლება, ჩვენ შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს, მაგრამ ზოგადად, მომავლის ხედვაში ვთანხმდებით.

**- კლუბების დახმარებაზე ისაუბრეთ. ამ დროს კი პროფლიგის გენერალური სპონსორი „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ახალციხის „მესხეთს“ კრედიტზე უარს ეუბნება...**

- კრედიტის გამცემამდე ბანკი თავის პირობებს აყენებს. „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან“ ჩვენი ურთიერთობა ახალი დაწყებულია და შესაძლოა, მეტი ნდობაა საჭირო. ეს ბანკი ჩვენი სპონსორია, მაგრამ ყველამ სწორად უნდა გაიგოს - ჯერჯერობით, ქართულ კლუბებს თვალდახუჭული ვერ ენდობიან. თუმცა ჩვენ ამისკენ მივდივართ - თუ კლუბები თავიანთ ანგარიშებს „ვითიბი ბანკში“ გახსნიან, მეტი ნდობაც იქნება და შეღავათიც. რაც შეეხება „მესხეთს“, ამ კლუბს ჩვენ გასაჭირში არ მივატოვებთ. სახელმწიფოსთან და კლუბებთან ერთად უნდა დავამუშაოთ პროექტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას რომელიმე კლუბს პრობლემა არ შეექმნას. აქ კიდევ ერთხელ მივადექით არველაძის ფაქტორს - ამ მხრივ, სწორედ რეზოსი გვეიმედება. სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობით მას შეუძლია შეასრულოს ის მისია, რაც ამ პროექტის განხორციელებისთვის იქნება საჭირო.

**- კლუბების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ალმასკომზეც გისაუბრიათ...**

- ფედერაციის გენერალურ სამდივნოს კლუბების მდგომარეობის, დაფინანსების წყაროების, საერთო ფინანსური ვითარების შესწავლა და გაანალიზება დაევალა. ამგვარად გვსურს, ჩემპიონატის მსვლელობის დროს, მონაწილე გუნდები ფინანსური კრიზისგან დავაზღვიოთ. ამას კლუბები მხოლოდ თავიანთი ძალებით ვერ მოახერხებენ. კლუბის გაკოტრებისგან დაცვის პროექტს არველაძე მალე წარმოადგენს.

**- სამწუხაროა, რომ კლუბების მიერ სეზონის დაწყებამდე წარსადგენი ფინანსური გარანტიები რეალურად ფარატინა ქაღალდია. „ბორჯომმა“ და „მესხეთმაც“ წარმოადგინეს გამგეობების გარანტიები, მაგრამ დღეს რაც ხდება, კარგად ვიცით. საერთოდაც, რაიონში კლუბის დაფინანსება გამგებლის შეხედულებაზეა დამოკიდებული...**

- ჩვენ სწორედ სისტემის შემუშავება დავიწყეთ. ეს უნდა იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი ხედვა, რომ კლუბები გამგებლის პატივისცემის გამო კი არ დააფინანსონ, არამედ, ეს სახელმწიფო ვალდებულება უნდა იყოს.

**- თანხის უქონლობის გამო, ადრე კლუბები ლიგიდან გარიცხეთ. როგორც ჩანს, ეკონომიკური კრიზისის გამო, ახლა ასეთ ნაბიჯს მოერიდებით...**

- ჩვენი მუშაობაც იმისკენაა მიმართული, რომ მკაცრი ზომების მიღება არ დაგვჭირდეს და გარიცხვამდე არ მივიდეს საქმე. რა საჭიროა სასჯელი, თუკი ის შედეგს ვერ მოიტანს? უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი მოვლენებისგან დავიზღვიოთ თავი. ადრე თუ გვიან, ამ დონეზე მივალთ.

**- უგულავას ახალ ამოცანად ინვესტორების მოზიდვა დაასახელეთ. დღევანდელ ვითარებაში არათუ ახლის მოზიდვა, ძველი სპონსორის შენარჩუნებაც ჭირს...**

- დიახ, მათ შენარჩუნებაზეა ლაპარაკი. ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, ეს გარდაუვალი პროცესია. მზად უნდა ვიყოთ, თუნდაც სახელმწიფო პროგრამაში საჭირო მიმართულებით ცვლილებისთვის.

**- რა ცვლილებას გულისხმობთ?**

- შესაძლოა, სხვა პრიორიტეტები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს...

**- ანუ, ეროვნული ნაკრებიდან აქცენტი, შესაძლოა, ინფრასტრუქტურაზე გადაიტანოთ?**

- ნაკრები პრიორიტეტად დარჩება, რადგან ის პირველი დონის საფეხურია. თუმცა თავად ნაკრების მწვრთნელი მიიჩნევს ეროვნულ ჩემპიონატს პრიორიტეტულად და არ გამოვრიცხავ, მას მეტი ყურადღება დავუთმოთ, თუნდაც ფინანსურად. ეროვნული ჩემპიონატი უფრო მნიშვნელოვანი იმიტომ ხდება, რომ ქართული ფეხბურთი შევინარჩუნოთ. ეკონომიკურმა კრიზისმა პრობლემა მთელი სიმწვავით დააყენა. აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით არველაძეების ოჯახს უახლოესი ნათესავის გარდაცვალება მივუსამძიმრო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ალმასკომის შემდეგ პრესკონფერენცია არ გაიმართა. არ გვინდოდა, რომ საზოგადოებას პასუხგაუცემელი კითხვები დარჩენოდა. ვფიქრობ, გულშემატკივარს მომხდარში ჩვენი ინტერვიუ მეტ-ნაკლებად მაინც გაარკვევს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები





ექტორ კუპერი მორიგ სამშაბათობას 16 დეკემბერს გეგმავს

# კუპერი თბილისურ ლეგიონს ჩაუჯდა

## 16 დეკემბერს სხვანაირი სამშაბათობა იქნება

**ექტორ კუპერმა** „სამშაბათობებს“ მოუხშირა. 9 დეკემბერს არგენტინელმა საგურამოში ქართულ გუნდებში მოთამაშე ნაკრების წევრ-კანდიდატები ავარჯიშა. არც მორიგი სამშაბათი იქნება უქმე - 16 დეკემბერს კუპერი მორიგ წვრთნას გამართავს.

ის „სამშაბათობა“ ცოტა განსხვავებული იქნება. კუპერს იმ ლეგიონერების ნახვაც სურს, ნაკრებში ჯერ რომ არ გამოუძახებია. ის ახლა აგროვებს ინფორმაციას ფეხბურთელებზე, რომლებიც შვებულებას თბილისში ატარებენ.

არც თუ ცოტაა ისეთი ლეგიონერი, ნაკრებისთვის საინტერესო რომ არის, მაგრამ ყურადღებას ჯერ არ აქცევენ. საქართველოს კარგი ფეხბურთელი ბევრი არ ჰყავს და მათზე დაკვირვება, მათი გამოცდა, რა თქმა უნდა, საინტერესო უნდა იყოს ნაკრების მწვრთნელისთვის.

16 დეკემბრის ვარჯიშზე გამოსაძახებელთა სიას კუპერი სავარაუდოდ კვირას დაადგენს. შეგახსენებთ, რომ წინა „სამშაბათობაზე“ არგენტინელმა ერთი ლეგიონერი უკვე გამოიძახა - **დავით სირაძე**, თუმც არ გვგონია, რომ ნაკრების თავკაცმა 9 დეკემბრის ვარჯიშზე ის გამოსაცდელად მიიყვანა. მოკლედ, მწვრთნელმა ვინძლო ისეთებსაც უხმოს, ადრეც რომ ჰყოლია ნაკრებში გამოძახებული. დაველოდოთ...

**დავით თავართქილაძე**

ალიარება

# FIFPro: ჩვენი ფეხბურთი ჩვენთან

**საერთაშორისო** კავშირმა FIFPro-მ (ფეხბურთელთა პროფკავშირები) გუშინ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე მთავარ ამბად საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოაქვეყნა - ხსენებულმა ორგანიზაციამ „ჩვენი ფეხბურთი“ ასოცირებულ წევრად მიიღო.

*„საქართველოში ეს კავშირი წელს დაარსდა. მისი ინიციატორი და თავმჯდომარე ყოფილი ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილია. ის „გრასჰოპერსში“, „ციურიხში“, „ლუცერნში“, „არაუში“, „სიონსა“ და „ბაზელში“ თამაშობდა“* - იუწყება www.fifpro.org.

როგორც ცნობილია, „ჩვენს ფეხბურთს“ FIFPro-ში რეკომენდაცია შვეიცარიაში მოქმედმა ანალოგიურმა კავშირმა გაუწია. შეგახსენებთ, რომ ეს კავშირი ამავდროულად „ჩვენი ფეხბურთის“ პარტნიორიცაა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირის ათასი წვრილმანი
დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ამბავი საოცარი ბურთისა

რაც არ უნდა იძიგძიგოს ოპოზიციურმა ტენდენციებმა, ქვეყნის გამგებელს ერთს ვერ დავუკარგავთ - ქურდები ციხეში ჩასვა და ერთ დროს პრესტიჟული „ტიტული" კანონით დასჯადი გახადა.
და რა შუაშია ყოველივე ეს ფეხბურთთან? ამბავი მოსაყოლად მართლაც რომ ღირს, ოღონდ, ჯერ პრელუდიასაც ნუ გავუშვებთ ხელიდან. პრელუდია ძალზე მნიშვნელოვანია, მის გარეშე ვერ გამოვა ისტორია, ურთიერთობა, კარგი თუ ცუდი საქმე. პრელუდია ხშირად მთავარიც კი არის, მაგალითად, სიყვარულში...
საქართველოში უყვარდათ ქურდები და დღესაც ბევრს უყვარს. მერე გაჩნდა ინტერნეტი, ხალხმა რუსულის გარდა ინგლისურის სწავლაც დაიწყო, შედარებით იოლი გახდა საზღვარგარეთ წასვლა, ქალები ფემინიზმსა და ავტომობილის საჭეს დაეწაფნენ... ერთი სიტყვით, თვალსაწიერი გაიზარდა.
ბავშვებს ხელი ჩამოართვას, მხარზე ხელი მოუთათუნოს, ცოტათი მაინც იყოს საზოგადოებრივი ტიპი... ჰოდა, დადგა მომენტი, როცა ნაკრების ამ ფეხბურთელს ბავშვისთვის ბურთზე ავტოგრაფის გარდა, რაიმე სხარტი წარწერაც უნდა დაესვა. ფიქრს ბევრი დრო არ წაუღია და ბურთზე ასეთი წარწერა გაჩნდა - „ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს სიკვდილი"!
როცა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ამას აკეთებს, საყურადღებო და დამაფიქრებელია. ჩვენთან არ ვითარდება მეცნიერების დარგები, სოციოლოგია ბევრს მხოლოდ გამოკითხვები ჰგონია, არავინ არაფერზე ფიქრობს, გარდა საკუთარი თავისა და ჰა - ნაკრების ფეხბურთელის სლოგანი ბავშვებისთვის - „ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს სიკვდილი"!
ამ ყველაფრის პრელუდია კი ჩვენი ყოფა, აწმყო და წარსულია. ეს ნამდვილი ამბავია, არაფერი არ დაგვიმატებია და არც მოგვიკლია. ვითარება რთულია, მაგრამ არა უსაშველო...
ფეხბურთის ფედერაცია სწორედაც



გაჩნდა ორმაგი სტანდარტებიც. ზოგიერთი ცნობილი განგსტერი, დღეს რესპექტაბელურ პოლიტიკოსად, ბიზნესმენად თუ ფეხბურთში მოსაქმე კაცად იქცა, თუმც ეს არ უნდა იყოს მთავარი...
პეტარ შეგრტს თავისი ადგილი კი მიუჩინეს, მაგრამ მაინც იყო მასში რაღაც საინტერესო, თუნდაც იმიტომ, რომ ხორვატი ამბობდა - მე უნდა შევცვალო ქართული მენტალიტეტიო. აქედან არაფერი გამოვიდა, მაგრამ საერთო ჯამში, რაღაც, ალბათ, მართლაც შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში.
საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ჯერ კიდევ კლაუს ტოპმიოლერის პერიოდიდან მოყოლებული, თამაშობს ერთი კარგი ფეხბურთელი, ერთი ძალიან კარგი ბიჭი. ის ჯერაც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში დასდევს ბურთს და, რა თქმა უნდა, უცხოეთში აპირებს წასვლას.
ფეხბურთის სუბკულტურა აქაც მოითხოვს იმას, რომ ნაკრების მოთამაშემ ავტოგრაფები დაარიგოს,
რომ მოვალეა, ასაკობრივ ნაკრებებში დიდი სიფრთხილით მოეკიდოს კადრების დანიშვნას, გადახედოს მწვრთნელთა რეპუტაციას, განვლილ გზას და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. გასაგებია, რომ რაღაცაზე თვალის დახუჭვა დასაშვებია, ოღონდ, აქაც სწორად უნდა შეირჩეს ზღვარი...
ხალხი კი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ისევ არ დადის. „წერე და იკითხეს" პრინციპი ყველასთვის გასაგები და მოსაბეზრებელია, მაგრამ რა ვქნათ? ახალ წელს ძველი პრობლემებით ვხვდებით და ამასაც თავისი პრელუდია აქვს - არავინ შეიწუხა თავი სტადიონზე ხალხის მისაყვანად.
...და რისი პრელუდია უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციაში მომხდარი ცვლილებები? - კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილების. თუ არ გჯერათ, ვიკამათოთ.
ქურდების საქმისა კი რა გითხრათ... მე მაინც მგონია, რომ ყველაზე დიდი განაბი სახელმწიფოა...

ინტერვიუ
ლევან კორღალიძე



# სპარტაკი? მაგრამ დაჩია არ გამიშვებს...

## იქნებ, კუპერმა მოლდოვაში მოთამაშე ქართველებიც გვინახულოს

**მოლდოვაში სეზონის პირველი ნახევარი დასრულდა. იქ მოასპარეზე ჩვენი ლეგიონერები სამშობლოში დაბრუნდნენ, მათ შორის, ლევან კორღალიძეც, რომელიც „დაჩიაში" თამაშობს და ამ გუნდის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. გაზაფხულზე კი კლუბის მოწინავე ლეგიონერად აღიარეს. სხვათა შორის, კორღალიძე მოლდოვის წლის საუკეთესო ფეხბურთელობის პრეტენდენტიცაა.**

**გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც „დაჩიის" წამყვანი ფიგურა მოლდოვურ პერიპეტიებზე საუბრობს...**

**- ამ წლის „დაჩიის" საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს. გილოცავთ აღიარებას. საინტერესოა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ლეგიონერის სტატუსის მქონე ფეხბურთელისთვის?**

- მოლოცვისთვის მადლობელი ვარ. რაკი მაღიარეს, ალბათ, დავიმსახურე კიდეც, თორემ უცხო ქვეყანაში საუკეთესოდ არავინ გაღიარებს, თუ ადგილობრივებს არ აღემატები. რა თქმა უნდა, სასიხარულოა, როცა შრომას გიფასებენ. მოლდოვაში ეს ნამდვილად არავის ეკარგება.

**- რამდენადაც ვიცით, სტაბილურად თამაშობთ და კლუბშიც დიდ პატივს გცემენ...**

- 18 მატჩიდან 14-ში სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი. ის ოთხი შეხვედრაც სავიზო პრობლემის გამო გამიცდა. ერთის გარდა, ყველა მატჩში სრულად ვითამაშე, ხოლო იმ ერთშიც იმიტომ შემცვალეს, რომ მომდევნო მატჩი „შერიფთან" გვქონდა, თამაშამდე მცირე პაუზა იყო და მწვრთნელებმა დამასვენეს... რაც შეეხება პატივისცემას, რა გითხრათ... ამას მეც ვგრძნობ, კლუბში ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ვიცე-კაპიტნადაც დამასახელეს...

**- „დაჩიის" ქართველებს სასამართლოშიც გქონდათ საქმე. მაინც რა პრობლემა იყო ვიზებთან დაკავშირებით?**

- მოლდოვური კანონების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს მხოლოდ 3 თვით შეუძლია იქ უვიზოდ ყოფნა, მერე კი ვიზა აუცილებლად სჭირდება. ამაზე კლუბს უნდა ეზრუნა, მაგრამ ეტყობა, მხედველობიდან გამორჩათ. სხვათა შორის, ეს პრობლემა მარტო ქართველებს კი არა, სხვა ლეგიონერებსაც შეეხოთ. ვიღაცამ სასამართლოში გვიჩივლა და მთელი ამბები ატყდა. ამის გამო „დაჩიამ" სერიოზულად იზარალა, ლეგიონერების არყოფნით გუნდმა ქულები დაკარგა... ახლა ყველაფერი მოგვარებულია.

**- თქვენს შედეგიანობაზე რას გვეტყოდით?**

- ჩემპიონატში 3 გოლი გავიტანე, თასის გათამაშებაში კი - 2. ამას გარდა, ორივე გათამაშებაში მინიმუმ 20 საგოლე პასი მაინც გავაკეთე. სტანდარტულებსაც მუდმივად მე ვასრულებ...

**- გუნდის გამორჩეულ ფეხბურთელებს ნომრებიც გამორჩეული აქვთ. 22 ნომრით რატომ თამაშობთ? თითქოს, 10-ანს უფრო უნდა იმსახურებდეთ...**

- თავიდანვე მინდოდა 10-ნომრიანი მაისურა, მაგრამ დაკავებული იყო. ახლა გათავისუფლდა და გადმომცეს კიდეც. სეზონის მეორე ნახევრიდან 10 ნომრით ვითამაშებ.

**- „დაჩიის" საუკეთესო ფეხბურთელით სხვა კლუბებიც დაინტერესდებოდნენ. მისამართს ხომ არ იცვლით?**

- „შერიფს" უნდოდა ჩემი გადაბირება. ამაზე ტირასპოლელთა კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილიც მელაპარაკა. „დაჩია" და „შერიფი" კონკურენტები არიან და ამიტომაც არ გამიშვეს. სხვა იქაური კლუბების ვარიანტებიც იყო, მაგრამ სანამ მოლდოვაში ვთამაშობ, არ მგონია, „დაჩია" შემელიოს და სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მე ვფიქრობ. უცხოური კლუბების დაინტერესებაზე კი კლუბის პრეზიდენტმაც მითხრა, მაგრამ ისიც დაამატა - ჯერ ვერსად გაგიშვებთო...

**- გავიგეთ, თითქოს მოსკოვის „სპარტაკს" უნდოდა თქვენი აყვანა, მით უმეტეს, „სპარტაკისა" და „დაჩიის" პრეზიდენტები მეგობრები არიან, ვგონებ - ბიზნესპარტნიორებიც...**

- კი, მეგობრები ნამდვილად არიან, მაგრამ ხომ არ მოგატყუებთ?! „სპარტაკზე" ვერაფერს გეტყვით. ჩვენი კლუბებიც პარტნიორები არიან - ახლახან, მოსკოვიდან წინადადებაც მივიღეთ და ზამთრის მოსამზადებელი შეკრების დროს „სპარტაკთან" ამხანაგურ მატჩსაც გავმართავთ.

**- „შერიფს" 8 ქულით ჩამორჩებით. ალბათ, ჩემპიონობა ძალიან გაგიჭირდებათ...**

- არ არის ეს იმხელა ჩამორჩენა, რომლის დაძლევაც შეუძლებელი იქნება, მაგრამ... ისე, თასის ნახევარფინალშიც ვართ, გაისად „ზიმბრუს" უნდა შევხვდეთ და ვნახოთ... ჩვენ ორივე ფრონტზე ბოლომდე ვიბრძოლებთ და ოქროს მედლებს თუ ვერ შევწვდებით, იქნებ, თასი მაინც მოვიგოთ.

**- „დაჩიის" სხვა ქართველებზე რას გვეტყვით?**

- ჯაბა დვალს შეეძლო, ბომბარდირობისთვის ებრძოლა, მაგრამ ტრავმის გამო ბევრი გაუცდა. ის ახლა კარგადაა და გოლებიც გააქვს, თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაშიც გაიტანა... რაც შეეხება სერგი ორბელაძეს, ისიც ტრავმამ შეაწუხა, თუმცა უკვე მწყობრშია. ორივე სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელია.

**- მოლდოვის ჩემპიონატის დონე რამდენად გაკმაყოფილებს? სჯობია საქართველოს პირველობას?**

- სჯობია, უფრო მაღალი დონისაა. კარგია, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ფეხბურთელებს არჩევს. ეს იქნება იმის ერთ-ერთი პირობა, რომ ქართული პირველობის დონემ აიწიოს. ისე კი, კარგი იქნება, თუ ექტორ კუპერი მოლდოვაში მოთამაშე ქართველებსაც მოგვინახულებს. იმედი მაქვს, ამისთვისაც გამონახავს დროს. ეს ნაკრებს ნამდვილად წაადგება.

**- შესაძლოა, კუპერი ერთ-ერთ „სამშაბათობაზე" მხოლოდ ლეგიონერებს დააკვირდეს. თქვენ ხომ არ დაგკავშირებიან?**

- თბილისში ვარ, მაგრამ ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია. თუ დამიძახებენ, მზად ვარ, ნაკრების მწვრთნელს ჩემი შესაძლებლობები ვაჩვენო.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# თუ ის სიომინს სჭირდება...

## ასათიანი შეიძლება კიევში დარჩეს

საქართველოს ნაკრების წევრ **მალხაზ ასათიანს** კიევის „დინამოში" იჯარის ვადა დეკემბრის ბოლოს უმთავრდება და წესით, მოსკოვის „ლოკომოტივს" უნდა დაუბრუნდეს. თუმცა, როგორც რუსული წყაროები ამტკიცებენ, შესაძლოა, ქართველი ფეხბურთელი „დინამომ" გამოისყიდოს.

*„რაც შეეხება ასათიანს, კლუბები ამ საკითხზე მოლაპარაკებას უახლოეს დღეებში დაიწყებენ. სავარაუდოდ, „ლოკომოტივი" არ მოითხოვს მალხაზის დაბრუნებას და „დინამოს" ასათიანის იჯარის სეზონის ბოლომდე გაგრძელებას შესთავაზებს. აგრეთვე, კიეველებს ქართველის გამოსყიდვის უფლებაც ექნებათ"*, - წერს რუსული „სპორტ დენ ზა დნიომ".

ოთხშაბათს მალხაზ ასათიანმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ითამაშა. „დინამომ" 1:0 დაამარცხა „ფენერბაჰჩე" და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. შესვენებისას, **იური სიომინმა** შემტევი სტილის **ფლორინ ჩერნატი** ასათიანით შეცვალა. ჩვენებურს ურიგოდ არ უთამაშია. მან ორჯერ დაარტყა კარისკენ (ერთხელ ზუსტად), პლუს ამას, გაფრთხილებაც მიიღო, როცა თამაშგარე მდგომარეობის გამო არბიტრის გადაწყვეტილება გააპროტესტა.

*„ჩემი აზრით, ასათიანი დიდებულად ჩაერთო თამაშში"*, - შეაქო შეგირდი **იური სიომინმა**. ვებგვერდმა „დინამომანიამ" კი მალხაზს გარჯა 5,5 ქულად დაუფასა. ასათიანის წასვლა-დარჩენის საკითხზე კომენტარი „დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმაც** გააკეთა:

*„ასათიანის შესახებ მალე დაველაპარაკებით მოსკოვის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას. თუ იური სიომინს ეს ფეხბურთელი სჭირდება, მას ჩვენ აუცილებლად დავტოვებთ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იური სიომინი და მალხაზ ასათიანი

ახალგაზრდული ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# ჭეიშვილიდან შეგრტამდე



რალფ მინგე



პეტარ შეგრტი

| 1994-96 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 6 | 1 | 1 | 22-5 | 19 |
| 2. ბულგარეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-10 | 17 |
| 3. უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-13 | 10 |
| 4. მოლდოვა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-11 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 7-17 | 3 |

| 1996-98 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 5 | 3 | 0 | 7-1 | 18 |
| 2. საქართველო | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| 3. იტალია | 8 | 3 | 2 | 3 | 17-6 | 11 |
| 4. პოლონეთი | 8 | 1 | 5 | 2 | 10-15 | 8 |
| 5. მოლდოვა | 8 | 1 | 1 | 6 | 5-17 | 4 |

| 1998-00 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 32-10 | 23 |
| 2. ნორვეგია | 10 | 7 | 1 | 2 | 21-8 | 22 |
| 3. საქართველო | 10 | 2 | 5 | 3 | 11-13 | 11 |
| 4. ლატვია | 10 | 2 | 3 | 5 | 8-19 | 9 |
| 5. სლოვენია | 10 | 1 | 5 | 4 | 10-19 | 8 |
| 6. ალბანეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-21 | 7 |

| 2000-02 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 14-5 | 19 |
| 2. რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-5 | 16 |
| 3. უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12-9 | 15 |
| 4. ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5-17 | 6 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 9-17 | 3 |

| 2002-04 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 6 | 1 | 1 | 12-6 | 19 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-8 | 15 |
| 3. ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-10 | 10 |
| 4. ირლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 7-16 | 5 |

| 2004-06 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 12 | 9 | 2 | 1 | 30-12 | 29 |
| 2. უკრაინა | 12 | 7 | 2 | 3 | 22-7 | 23 |
| 3. საბერძნეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 18-9 | 20 |
| 4. თურქეთი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-9 | 19 |
| 5. საქართველო | 12 | 3 | 2 | 7 | 7-22 | 11 |
| 6. ალბანეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-27 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-23 | 7 |

| 2006-07 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

| 2007-08 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21-2 | 24 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-6 | 15 |
| 3. პოლონეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9-11 | 9 |
| 4. ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-18 | 6 |
| 5. საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 6-22 | 6 |

*დასარული. დასაწყისი*
*ლელო №290, 10 დეკემბერი, 2008*

## კუთვნილი ადგილი

2006 წლის დასაწყისი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყოველთვის განსაკუთრებულად დარჩება - თბილისში **კლაუს ტოპმიოლერი** ჩამოვიდა. ჯერ მეუღლესთან ერთად გვეწვია, აქაური სტუმართმოყვარეობითა(!) და შეთავაზებული პირობებით(!!!) კმაყოფილი დარჩა და ქართული ფეხბურთის აღორძინებასაც შეგვპირდა. ოღონდ, რამდენიმე მოთხოვნას თუ არ შემისრულებთ, ჩემი იმედი ნუ გექნებათო: საქართველოში ორ-სამ თვეში ერთხელ ჩამოვალ, მსუყე ჯამაგირი დამინიშნეთ მეც და ჩემ დედმამიშვილს, პლუს ამას, ჩემი ახლო მეგობარიც დღემდე უმუშევარია და ახალგაზრდულ ნაკრებში დავასაქმოთო. ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა ჰერ კლაუსის ყველა მოთხოვნა შეასრულეს და ამ დროს კი არავინ დაინტერესებულა, თუ მანამდე რა სამწვრთნელო დამსახურება-რეგალიები ჰქონდათ **ჰაინც ტოპმიოლერსა** და **რალფ მინგეს**. აი, ეს უკანასკნელი დანიშნეს ახალგაზრდულის თავკაცად და ისტორიაშიც (ამ შემთხვევაში უკვე ირონიის გარეშე) შევიდა: საქართველოს 21-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი მანამდე უცხოელი არ გვყოლია!

რალფ მინგე, თავის დროზე, ურიგო ფეხბურთელი არ გახლდათ; პირიქით - ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წამყვან მოთამაშედ მიიჩნეოდა. ანუ, მთლად **ულფ კირსტენის, ანდრეას ტომისა** და **თომას დოლის** დონის ვარსკვლავი არ იყო, მაგრამ ბევრითაც არ ჩამოუვარდებოდა.

ახალ პოსტზე მინგეს სადებიუტო შეხვედრა წარუმატებელი აღმოჩნდა - ჩვენმა ახალგაზრდებმა ალბანელ თანატოლებთან წააგეს (მატჩი ამხანაგური იყო). ამის შემდეგ უკვე ოფიციალური მატჩების ჯერიც დადგა - საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გაევლო. საბედნიეროდ, მეტოქე მეტისმეტად სუსტი შეგვხვდა და მალტის ნაკრებს სტუმრადაც და შინ ერთნაირი ანგარიშით (2:1) ვაჯობეთ. ამ წარმატებით კი ევროპის 2007 წლის შესარჩევ ტურნირზე მონაწილეობის უფლება მივიღეთ. წინა გათამაშებებიდან განსხვავებით, ამჯერად საქმე ბევრად მარტივად გახლდათ: ქვეჯგუფში თითო მატჩი უნდა ჩაგვეტარებინა ლიტვასა და სერბეთთან. თუმცა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მთავარი მწვრთნელი კვლავ შეეცვალა: რალფ მინგე ეროვნულ ნაკრებში ტოპიმ გვერდით ამოიყენა, ხოლო მის ადგილზე ისევ **კობა ჟორჟიკაშვილი** დააბრუნეს. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ლოგიკური სცენარით წარიმართა: ქვეჯგუფის ფავორიტმა, სერბეთის ნაკრებმა ორივე შეხვედრა მოიგო და მომდევნო ეტაპზეც გავიდა. ჩვენ კი, რალა თქმა უნდა (ერთი შესარჩევი ციკლის გამოტოვების მერე), „ტრადიციულ“ ბოლო ადგილზე გავედით - ლიტვასთან მინიმალური ანგარიშით წაგებას (0:1) თბილისში სერბეთთან საშინაო მარცხი (1:3) მივაყოლეთ.

## უდიდესი იმედგაცრუება

...ზემოთ „ისტორიული“ მნიშვნელობის მოვლენა ვახსენეთ და არანაკლები გახლდათ შარშანდელი წელიწადის დასაწყისიც. ჰო, 2007 წლის 7 თებერვალს „ბედნიერება“ გვხვდა წილად, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალი თავკაცი გაგვეცნო. **პეტარ სეგრტი** - ასე გაგვეცნო ხორვატი სპეციალისტი, მანამდე გერმანიაში სკაუტობით რომ ყოფილა დასაქმებული. თუმცა, უმთავრესი ფაქტორი მაინც კლაუს ტოპმიოლერის რეკომენდაცია გახლდათ...

...ისე, ბევრი ვიფიქრეთ: ღირს თუ არა კვლავ პატივცემული პეტარის „საქმენი საგმირონის“ ხელახლა გახსენება. სამი თვის წინ არ იყო, რუსეთისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებებთან სამარცხვინოდ წაგებული მატჩის მერე, „ლელომ“ საკუთარი პოზიცია რომ დააფიქსირა?! თუმცა, ეს უკვე... **შეგრტზე** (ჩემი გვარი ასე გამოითქმისო, დაიჟინა „ტოპისგან“ განსხვავებით ქართველთმოყვარე ხორვატმა) ვწერდით; ჰოდა, აი, მაშინ იყო, შესარჩევი ციკლის გარშემო ძალიან ბევრი უპასუხო კითხვა რომ დაგვიგროვდა. აი, მაგალითად, რატომ ვერ მოხერხდა ოპტიმალური შემადგენლობის მიგნება, როცა ბატონი პეტარის თავკაცობით ჩატარებულ ათ შეხვედრაში ჩვენს ნაკრებში 44-მა ფეხბურთელმა ითამაშა; ანდა, რატომ ხვდებოდნენ ნაკრების 18-კაციან განაცხადში (ხშირად - ძირითადში) ისეთი ფეხბურთელები, ჩვენი ჩემპიონატის საშუალო გუნდებში... მყარ რეზერვისტებად რომ მიიჩნეოდნენ; ან პირიქით - რა მიზეზით არ იწვევდა ან ნაკლებად ენდობოდა ჩინებულ ფორმაში მყოფ ახალგაზრდებს (**ირაკლი ჩირიკაშვილს, ლადო დვალიშვილს, მათე ვაწაძეს, ჯაბა ლიპარტიას, ნიკა კვასხვაძეს**); ის ფაქტორიც ყველამ დაივიწყა, რუსეთთან საშინაო მატჩის წინ ნაკრებს მიღმა ორი წამყვანი ფეხბურთელი რომ აღმოჩნდა: **გურამ კაშია** და **გიორგი მერებაშვილი**. მოკლედ, შეგრტის საქმიანობამ უამრავი კითხვა გააჩინა, თუმცა ყველაზე უსიამოვნო მაინც საკადრო პოლიტიკა გახლდათ. აღარაფერს ვამბობთ „მგზნებარე და პატრიოტულ“ განცხადებებზე, თითქმის ყველა პრინციპული შეხვედრის წინ რომ ვისმენდით ემოციური ხორვატი მწვრთნელისგან. და როგორ „ვიომეთ“ რუს ახალგაზრდებთან, ვფიქრობთ, გახსენებად აღარ ღირს; უბრალოდ, დღემდე ვერ მოგვინელებია, თუ როგორი სამარცხვინო შეხვედრა ჩაატარა ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა. ყველაზე უცნაური კი რუსეთ-პოლონეთის ორმატჩიანი კოშმარის (0:4; 0:5) მერე დაიწყო: შეგრტს, თურმე, აუტანელ პირობებში უხდებოდა მატჩებისთვის მზადება (სასმელ წყალსაც საკუთარი ფულით ყიდულობდა ბიჭებისთვის); თურმე, წამყვანი ფეხბურთელები ეროვნულმა „წაართვა“; თურმე, ძალიან ბევრი სათქმელი დაუგროვდა და შორიდანაც იმუქრებოდა: თბილისში ჩამოვალ და ვილაც-ვილაცეებთან ყველაფერს გავარკვევო! მერე, რაც მოხდა, ისიც ყველამ იცის - არც არავისთან არაფერი გარკვეულა! უბრალოდ, სამიოდ დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ერთსულოვნად (აი, ეს კი, საფირმო ნიშნად იქცა ყველა გადაწყვეტილების მიღებისას)... დაუჭირა მხარი შეგრტის თანამდებობიდან გათავისუფლებას! არადა, ეს კაცი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზეც აცხადებდა პრეტენზიას...



2007 წლის 20 ნოემბერი. საქართველო-რუსეთი 2:0

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით უკანასკნელ შესარჩევ ციკლზეც. უნდა ვაღიაროთ, რომ ჯგუფის უპირობო ფავორიტ ესპანელებს თბილისში ღირსეულად ვეთამაშეთ; რუსეთს სულაც მოვუგეთ, მაგრამ დანარჩენ ექვს შეხვედრაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის ძნელი იყო, გუნდი გვეწოდებინა. შედეგიც ლოგიკური იყო - ქვეჯგუფში ბოლო ადგილი!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი — შეჯამება. უზბეკეთი

# სანამ ჩვენ გვძინავს...


რივალდო უზბეკეთში

„ფუტბოლისტან-უზბეკისტან" - ასე ჰქვია ფიფას ვებგვერდზე განთავსებულ ვიდეორგოლს, რომელიც უზბეკური ფეხბურთის ავანჩავანზე მოგვითხრობს. ისე, ვერ ვიტყვით, რომ უზბეკურ ფეხბურთს ტრადიციები არ აქვს, მაგრამ ის, რაც ახლა იქ ხდება, ჩვენ კი არა, ევროპასაც აკვირვებს. ტაშკენტის „ბუნიოდკორის" თავკაცი ლეგენდარული **ზიკოა**, ერთ-ერთი ფეხბურთელი კი - **რივალდო.** ახლახან, აზიის საუკეთესო ფეხბურთელად იმავე „ბუნიოდკორის" ნახევარმცველი **სერვერ ჯეფაროვი** დაასახელეს. უზბეკეთის ნაკრები ფიფას რეიტინგში 76-ეა (საქართველოს მთელი 25 ადგილით უსწრებს, არადა, ბოლო წელიწადია, ამ გუნდს დაღმასვლა დაეწყო). ცხადია, ყველა ამ სიკეთის მიზეზი ფინანსური მხარეა, დიდძალი ფული...

ან უკვე დასრულებულ სეზონში უზბეკეთის ჩემპიონატში ათზე მეტმა ქართველმა ლეგიონერმა გააგორა ბურთი. ჯერ ის ვთქვათ, რომ უზბეკეთის უმაღლესი ლიგა (ოლიილიგა) 16-გუნდიანია. 79 ქულით ჩემპიონი „ბუნიოდკორი" გახდა, ამ გუნდის ნახევარმცველმა ჯეფაროვმა კი 19 გოლით ბომბარდირის ტიტული მოიხვეჭა. ეს კლუბი ფინანსურად იმდენად ძლიერია, ახლახან დსთის თასზე თამაშიც არ იკადრა. სამაგიეროდ, ზიკო და კომპანია მიიწვიეს „პირველი არხის" ტურნირზე, რომელიც გაცილებით პრესტიჟულია. „ბუნიოდკორის" მესვეურები ახალ სტადიონსაც აშენებენ. ეს სიამოვნება 150 მილიონი დოლარი დაჯდება.

უზბეკეთში ყველაზე „ქართული" ქალაქი ანდიჟანია (უზბეკურად - ანდიჟონი). ამ ქალაქის ორ კლუბში სულ 9 ჩვენებურმა ითამაშა. „ანდიჟანმა" 46 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო „უზ დონგ ჟუმ" (13 ქულა) - უკანასკნელი. ორივე კლუბი ფინანსურად წელგამართულია. „უზ დონგ ჟუს" ხელმძღვანელობა ჯერაც არ კარგავს იმედს, რომ ოლიილიგის დატოვება არ მოუწევს (შესაძლოა, პირველი ლიგის ორი გამარჯვებული ფინანსური პრობლემების გამო უმაღლესში არ დაუშვან). მეორე წრეში ამ გუნდის დაცვაში **ლევან ბერუაშვილი** თამაშობდა, ნახევარდაცვაში - **ზურაბ ავალიანი.** პირველ წრეში „უზ დონგ ჟუში" სხვა ჩვენებურებიც ირჯებოდნენ: **გიორგი მიქაძე, ზვიად ქუთათელაძე** და **ზურაბ ქვაჩახია.**

მეხუთეადგილოსან „ანდიჟანში" ქართველთაგან ყველაზე უკეთ **ლევან მდივნიშვილი** თამაშობდა. ამ გუნდის მიერ გატანილი 35 გოლიდან 11 - ქართველი ლეგიონერის ანგარიშზეა. ურიგოდ არ უთამაშიათ **ზურაბ ძამსაშვილსა** (1 გოლი) და **თენგიზ კობიაშვილსაც** (2 გოლი).

„ანდიჟანში" იასპარეზა აგრეთვე **გიორგი კრასოვსკიმ.** სეზონის პირველ ნახევარში იქ თამაშობდა **ვლადიმერ გოჩაშვილიც.** ვებგვერდი „ინტერ ფუტბოლი" ლიგაში ყოველთვიურად 3-3 ფეხბურთელს გამოყოფდა. ოქტომბრის გამარჯვებულთა შორის მდივნიშვილი მოხვდა. ეს ფორვარდი ქუთაისის „ტორპედოსა" და ჭიათურის „მაღაროელში" თამაშობდა. უზბეკეთის ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გავიდა „ნასაფი", რომლის რიგებშიც 28 წლის **რამაზ ჯაბნიძე** თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ოლიმპი

# მეგრელაძე და ონიანი დინამოსთვის ემზადებიან

რუსთავის „ოლიმპის" ლიდერები **გია მეგრელაძე** და **გიორგი ონიანი** თბილისის „დინამოსთან" მატჩისთვის ემზადებიან. ორივე მათგანმა ტრავმის გამო რამდენიმე ტური დაისვენა. ონიანიც და მეგრელაძეც ბოლნისის „სიონთან" მატჩში დაშავდნენ - ონიანმა ხელის თითი მოიტახა, მეგრელაძეს კი კუნთი დაეჭიმა. უკვე ორივე ფეხბურთელი მომჯობინდა და არ არის გამორიცხული, 13 დეკემბერს თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ითამაშონ კიდეც.

*„ისინი გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. მეგრელაძე ერთი კვირის წინ დავიბრუნდა. მისი დღევანდელი კონდიციებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, შეძლებს თუ არა „დინამოს" წინააღმდეგ თამაშს. ასეთივე მდგომარეობაა ონიანთან დაკავშირებითაც. მან თაბაშირი მოიხსნა და მატჩისთვის ემზადება. თუმცა ჯერ არ ვიცი, ძირითადში დავაყენებ თუ არა. ასე რომ, „დინამოსთან" მატჩის წინ ტრავმირებული მხოლოდ აქვსენტი გილაური დაგვრჩა. რაც შეეხება გიორგი ფეიქრიშვილს, ის „დინამოსგან" არენდით დავიმატეთ და ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვს"* - გვითხრა რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა **ვარლამ კილასონიამ.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ბეგლარიშვილი: ტვენტე არა, მაინც აიაქსი

კვიპროსში გამართულ ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ჯგუფში ჩარჩა. თითქოს ნორმალური სტარტის (ორი ფრე დანიასა და კვიპროსთან) შემდეგ **ზაურ სვანაძის** შეგირდებმა ბოლო ტურში ჩეხეთთან 0:1 წააგეს და ელიტრაუნდში მოხვედრის იმედი გადაიწურეს.

ამის მიუხედავად, გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელთაც უცხოელ სელექციონერთა ყურადღება მიიპყრეს, მაგალითად, **გეთიაშვილი, კაკუბავა, ქანთარია**... თუმცა ტურნირის მიმოხილვის დროს თითქმის ყველას გამოგვრჩა, რომ საქართველოს 19-წლამდელებში ამსტერდამის „აიაქსის" დუბლშემადგენლობის მოთამაშე **ზაქარია ბეგლარიშვილს** თითქმის არ უთამაშია, არადა, ეს არის ფეხბურთელი, რომელიც მანამდე **პეტარ შეგრტმა** ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჰოლანდიური გრანდი შემთხვევით არავის იწვევს.

როგორ და რანაირად ვერ გეტყვით, მაგრამ ამტკიცებენ, რომ „არველაძეების ფონდის" მიერ „აიაქსში" გაშვებული 18 წლის ნახევარმცველი შეგრტმა აითვალწუნა და კვიპროსულ ბატალიებში მის თამაშს ბლოკავდა. ისიც გავიგეთ, **ზაურ სვანაძემ** ხორვატს არ მოუსმინა და ბეგლარიშვილი დანიასთან და ჩეხეთთან მაინც ათამაშაო. ძნელი სათქმელია, რა არის ამ ისტორიაში მართალი და რა - ტყუილი, მაგრამ ფაქტია, რომ ბეგლარიშვილს ყველა მატჩში არ უთამაშია, შეგრტი კი იმ დღეებში კვიპროსში იყო...

თავად ბეგლარიშვილმა ამ თემაზე საუბარს ტაქტიანად აარიდა თავი: *„ტრავმირებული არ ვყოფილვარ, ალბათ, ძირითადში სათამაშოდ მზად არ ვიყავი. პირადად მე, გარკვევით მინდა ვთქვა, რომ ზაურ სვანაძეზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის. შეგრტს რაც შეეხება, მასზე ვერაფერს მოგახსენებთ. რას ვიზამთ, ძირითადში ყოველთვის ვერ ითამაშებ. ფეხბურთელი ამისთვის მზად უნდა იყოს".*

ზაქარია ამჟამად თბილისშია. ამსტერდამში მას 4-5 იანვრისთვის ელოდებიან: *„ჩემი მწვრთნელი „აიაქსის" ყოფილი ნახევარმცველი აარონ ვინტერია. მწვრთნელობა მცირე ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ძალიან საინტერესო ვარჯიშები აქვს. მე კი ხან დუბლებში ვვარჯიშობ, ხან „აიაქსის" A 1-ში. ჯერ არის მთავარი გუნდი, შემდეგ დუბლები და მერე მოდის A 1"*,- ამბობს ბეგლარიშვილი.

მართალია, ბეგლარიშვილით „ტვენტე" დაინტერესდა, მაგრამ 18 წლის ნახევარმცველს კლუბის შეცვლა არ სურს: *„ჩვენთან მატჩის შემდეგ, „ტვენტე" დაინტერესდა, მაგრამ „აიაქსიდან" წასვლა არ მსურს. ეს კლუბი ჰოლანდიისთვის სულ სხვა დონეა. ჩემი დასაწუნი „ტვენტეს" არაფერი აქვს, მაგრამ კლუბის შეცვლას არ ვაპირებ. ასე რომ, 4 ან 5 იანვარს „აიაქსს" შევუერთდები"* - გვიმხელს ბეგლარიშვილი.

ამჟამად, ზაქარია ფორმის შესანარჩუნებლად გორის „დილაში" ვარჯიშობს, რომელსაც მისი ბავშვობის მწვრთნელი **პაატა მეტრეველი** წვრთნის. ზაქარია მისი ხელმძღვანელობით ემზადება; ტრენაჟორებზე, საცურაო აუზსა და ბურთით მსუბუქი ვარჯიშით ფორმას ინარჩუნებს.

**მერაბ მამულაშვილი**


ზაქარია ბეგლარიშვილი

ლეგიონერი — რას წერენ ჩვენებურებზე

# სუპერტალანტი

## ტოპმიოლერი ქართველ ვირტუოზს ვერ ივიწყებს და მას ლეო მესის ადარებს

**მსოფლიო** ფეხბურთში ბევრი ახალგაზრდა ტალანტია, რომელზეც ეროვნული გუნდები და კლუბების მესვეურები, ცხადია, გულშემატკივრებიც, დიდ იმედებს ამყარებენ. მათ შორისაა საქართველოს ნაკრებისა და „შალკეს" ნახევარმცველი ლევან ყენიაც. უცხოურ პრესაში მასზე არა ერთი მასალა მომზადებულა. დღეს ერთ მათგანზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ვებგვერდ DER WESTEN-ის სტატიის სათაური მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველია - „სუპერტალანტი". აი, ეს წერილიც:

- „შალკეს" თავკაცი ფრედ რუტენი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს - ეს ნამდვილი ვირტუოზია, დიდი ტალანტი. მას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. მან უკვე განაახლა ვარჯიში და ვიმედოვნებ, ფორმას მალე აღიდგენს...

ეს ფეხბურთელი ლევან ყენიაა. მას ჯერ კიდევ 16 წლისას ჰქონდა დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, სადაც დღემდე 14 მატჩში 3 გოლი გაიტანა. „შალკემდე" მისი გადაბირება სხვა კლუბებსაც სურდათ, მაგრამ „ხუმარებს" ქართველ ვირტუოზთან მიმართებაში სულაც არ უხუმრიათ და 2012 წლამდე გაუფორმეს კონტრაქტი. ლევან ყენია არ არის ტანმაღალი (176 სმ), მაგრამ საოცრად ფლობს ბურთს, თამაშსაც სწრაფად და სწორად კითხულობს და ჩინებული პასიც აქვს. ის კლასიკური 10 ნომერია, თუმცა წინა ხაზზეც საკმაოდ სახიფათოა.

ყენიას დღემდე ვერ ივიწყებს საქართველოს ნაკრებში მისი ყოფილი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი.** როცა ჟურნალისტები მას ყენიას უხსენებენ, ტოპი ყოველთვის აღფრთოვანებული ამბობს:

- ყენია? ეს სუპერტალანტია. მისი თამაშის მანერა ილდირაი ბაშთურქს მაგონებს. უფრო მეტიც, ყენიას მესის ახალგაზრდული სისხლი აქვს. შესაძლოა, ის ახალი მესიც კი არის. „ბარსას" ვარსკვლავი ახლა 21 წლისაა და ამ ასაკში ყენიაც უკვე ვარსკვლავი უნდა იყოს. საამისოდ მას ყველა მონაცემი აქვს. ლევანს შეუძლია, მატჩის შედეგზე გავლენა მოახდინოს, ჩინებული პასი აქვს, სწრაფად აზროვნებს...

- ყენიაზე დიდ იმედებს ამყარებენ სამშობლოშიც. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის „ბარსელონაშიც" იყო. სწორედ მაშინ სურდა ამ სუპერტალანტის გადაბირება ესპანურ „ლევანტეს". იმ პერიოდში საქართველოს ნაკრებში ვმუშაობდი და ეს ამბები კარგად მახსოვს" - ამბობს ტოპმიოლერი.


ლევან ყენია

წერილი ისევ ტოპმიოლერის სიტყვებით მთავრდება: - *„სანაძლეოს ჩამოვდივარ, გნებავთ, გარანტიას ვიძლევი - „შალკეს" თავკაცმა ფრედ რუტენმა ყენია ხუთ საშინაო მატჩში ზედიზედ ათამაშოს ძირითად შემადგენლობაში და მსოფლიოში მწვრთნელი არ დარჩება, ვისაც ამ სუპერტალანტის სახელი არ ეცოდინება".*

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

სავარაუდო ტრანსფერი

# მაკარიძე დაბრუნდა რათა... წავიდეს?


გიორგი მაკარიძე

მოგეხსენებათ, 18 წლის მეკარე **გიორგი მაკარიძე,** რომელსაც ჭაბუკთა გარდა, ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, გერმანიაში იმყოფებოდა. მაკარიძე დორტმუნდში „ბორუსიის" მიწვევით ჩავიდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ამავე კლუბის მეორე გუნდში ვარჯიშობდა. ის გუშინ დაბრუნდა სამშობლოში.

*„დორტმუნდში ერთი კვირის განმავლობაში ვიყავი. ვიზა სწორედ ერთკვირიანი იყო და ამიტომაც დავბრუნდი. დუბლებში ვვარჯიშობდი. ტესტირებაზე სხვა გუნდის სელექციონერებმაც მნახეს. თუმცა, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია. მითხრეს - შინ დაბრუნდი, დაგიკავშირდებით და პასუხს გეტყვითო. ტესტირებისას მწვრთნელებისგან სიმპათიას ვგრძნობდი და ვნახოთ, რას გადაწყვეტენ"*, - გვითხრა მაკარიძემ.

როგორც გავიგეთ, მისი საკითხი ამ თვეშივე გაირკვევა. ფეხბურთელთან დაახლოებულმა წყარომ გაგვიმხილა, რომ დიდი შანსია, გიორგიმ კარიერა უცხოეთის ერთ-ერთ კლუბში გააგრძელოს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# ბილბაომ და ლევანტემ თამაში ჩააწყვეს?

## ვალენსიური კლუბის პრეზიდენტს დაპატიმრება ემუქრება



ფოტო ბილბაოსა და ლევანტეს სკანდალური მატჩიდან ...

ესპანურ ფეხბურთში სერიოზული სკანდალი მწიფდება. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის სამეფო ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს „ბილბაოსა“ და “ლევანტეს“ მესვეურთა პატიოსნებაში სერიოზული ეჭვი შეეპარა. ამ უნდობლობას ძალიან წონადი მიზეზი აქვს. საქმე 2006-07 წლების სეზონის ბოლო ტურს ეხება. „ლევანტემ“ ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე პრიმერა დივიზიონში დარჩენა გაინაღდა. „ბილბაოს“ კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად გამარჯვება სჭირდებოდა. თამაშის დაწყების წინ სამართალდამცავ სტრუქტურაში ოპერატიული ინფორმაცია შესულა, ბასკები და ვალენსიელები თამაშის ჩაწყობას აპირებენო. პოლიცია ინფორმატორის ვინაობას ბუნებრივია, არ ახმაურებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით მოკვლევაში ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტიც ჩაერთო. ამ ორგანომ შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ინფორმაცია მოაგროვა და ყველა მასალა პოლიციას გადაუგზავნა. ფედერაციის მესვეურთა თქმით, დანაშაულის ნიშნები აშკარაა და აუცილებელია, რომ გამოძიებამ ახალი დეტალები შეიტყოს.

როგორც გაირკვა, გამოძიება უკვე წელიწად-ნახევარია მიმდინარეობს, მაგრამ საზოგადოებამ ამის შესახებ მხოლოდ ახლა შეიტყო. ზემოხსენებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე პოლიციამ სასამართლოში „ლევანტეს“ პრეზიდენტის მობილური ტელეფონის მოსმენის სანქცია აიღო. ვალენსიური კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა, რა თქმა უნდა, ეს არ იცოდა და 2007 წლის ივნისში საბედისწერო ნომერზე დარეკა. სენიორ **ხულიო რომერომ** „ბილბაოს“ წარმომადგენელს გარკვევით უთხრა, ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზე იქნება, პრობლემები არ შეგექმნებათო.

თავისთავად, ეს სიტყვები ბევრს არაფერს ნიშნავს. ზოგადი საუბარი მტკიცებულებად რომ არ გამოდგება, პრეზიდენტი რომერო გისოსებს მიღმა ამიტომაც არ ზის, მაგრამ გამოძიება გრძელდება და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ციხეში ჩაჯდომა ხულიო რომეროს გარდა კიდევ არაერთ ადამიანს მოუწევს. ბოროტი ენების თქმით, ამ საქმეში ფედერაციის პრეზიდენტი **ახნელ მარია ვილიარიცაა** ჩართული, თუმცა სამართალდამცავებს მის წინააღმდეგ სამხილი არ გააჩნიათ. ყოველ შემთხვევაში, გამომძიებლები ასე ამბობენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვალენსია

# ღამურები გადარჩნენ

„ვალენსიის“ ჯოჯოხეთურ პრობლემებს რამდენიმე სტატია მივუძღვენით. როგორც იცით, ესპანური კლუბი გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. „ღამურებს“ 31 დეკემბრამდე 50-მილიონიანი ვალი აქვთ გადასახდელი. ერთი დღის გადაცილების შემთხვევაშიც საქმეში შესაბამისი სტრუქტურები ჩაერთვებიან და გუნდის გაკოტრებულად გამოცხადების პროცედურა დაიწყება. ისიც მოგახსენეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მადრიდულ ბანკ „ბანკახასთან“ მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ დედაქალაქურმა საფინანსო ინსტიტუტმა ხელშეკრულების გაფორმება არ ისურვა. საბოლოო უარის თქმის შემდეგ „ვალენსია“ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ „ღამურებს“ განგებამ წყალობის თვალით გადმოხედა და მხსნელი თავისით მოევლინა.

გუშინ ყველასთვის მოულოდნელად „ვალენსიის“ პრეზიდენტს ამერიკული საინვესტიციო ჯგუფის ესპანეთის ოფისის გენერალური დირექტორი **ფრანსისკო მარტინესი** ადვოკატებთან ერთად ესტუმრა. რა იყო ვიზიტის მიზანი, ამას თავად სენიორ მარტინესის განცხადების წაკითხვით გაიგებთ: *„ვალენსიის“ პრობლემების შესახებ მთელმა ესპანეთმა გაიგო. გარკვეული მიზეზების გამო გუნდი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საინვესტიციო ჯგუფს, რომელსაც მე წარმოვადგენ, გაკოტრების პირას მყოფ კომპანიებში თანხის დაბანდების დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენი თანადგომით არა ერთი ორგანიზაცია გადარჩენილა. ამერიკაში დავრეკე და ხელმძღვანელებს „ვალენსიის“ მდგომარეობის შესახებ მოვახსენე. პასუხმა ცოტა დააგვიანა, მაგრამ მათ მწვანე შუქი ამინთეს და მთხოვეს, კლუბის ხელმძღვანელებს შევხვედროდი. როგორც წესი, ინვესტიციის განხორციელებას ხანგრძლივი კვლევითი სამუშაო უძღვის ხოლმე წინ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი საინვესტიციო ჯგუფი გაკოტრების საფრთხის წინაშე მყოფი ფირმების დახმარების დიდ გამოცდილებას ფლობს. ამ სიტუაციაში კვლევის ჩატარების დრო არ არის ხოლმე. გუნდის მესვეურებს დოკუმენტები გამოვართვი, ვთარგმნეთ და ამერიკაში ფაქსით გავაგზავნეთ. ექსპერტებმა მდგომარეობა სასწრაფოდ შეისწავლეს და დადებითი პასუხი შემოგვითვალეს. გადაწყდა, რომ „ვალენსიას“ 50-მილიონიანი ინვესტიციით დავეხმარებით. ამ თანხის სანაცვლოდ, ბუნებრივია, აქციათა გარკვეულ ნაწილს მივიღებთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გუნდი კრიზისს მალე დააღწევს თავს და ჩვენი ინვესტიციის წყალობით, ფინანსურ მოგებასაც მოიტანს.“*

„ღამურების“ პრეზიდენტი სენიორ **სორიანო** ამერიკული საინვესტიციო ჯგუფის მოულოდნელი გამოჩენით იმდენად ბედნიერი დარჩა, რომ ემოციები ვერ მოთოკა და გუნდის გადარჩენით გახარებულმა პატარა ბავშვივით იტირა. მისი თხოვნით, „დიარიო ასის“ რედაქციამ მათი კორესპონდენტის მიერ გადაღებული ექსკლუზიური ფოტოს გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა, თუმცა ინფორმაცია მაინც არ დამალა და მთელ ქვეყანას მოსდო, რომ სორიანო გულამოსკვნით ქვითინებდა. ასეა თუ ისე, „ვალენსიის“ გულშემატკივრებს მისალოცად აქვთ საქმე. ყოველ შემთხვევაში, ვალს მაინც გადაიხდიან და ყველაფრის ნულიდან დაწყებას შეეცდებიან.

**ილია ნიკოლაიშვილი**



დავიდ ვილიასა და დავიდ სილვას საქმე მისალოცად აქვთ

ამბები

## ჩაბი ალონსო საუკეთესოა

საკმაოდ საინტერესო სტატისტიკა გამოქვეყნდა ბრიტანულ პრესაში, რომლის თანახმადაც ინგლისურ პრემიერლიგაში საუკეთესო ფეხბურთელი „ლივერპულის“ ნახევარმცველი **ჩაბი ალონსოა**. საქმე ეხება სეზონის განმავლობაში გაკეთებულ ზუსტ პასებს. მაშ ასე, გთავაზობთ სრულ სიას: 1. **ჩაბი ალონსო** (ლივერპული) - 1005 ზუსტი პასი; 2. **ჯონ ობი მიკელი** (ჩელსი) - 957; 3. **დენილსონი** (არსენალი) - 922 4. **ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი); 901; 5. **ფრანსესკ ფაბრეგასი** (არსენალი) - 848; 6. **ჯონათან გრინინგი** (ვესტ ბრომვიჩი) - 799; 7. **ჯონ ტერი** (ჩელსი) - 792; 8. **დეკუ** (ჩელსი) - 785; 9. **ჯიმი ბულარდი** (ფულჰემი) - 784; 10. **გაელ კლიში** (არსენალი) - 718.

## სოლიდი ნორვეგიის ნაკრებში?

ნორვეგიული გაზეთების ცნობით, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, შეიძლება, **ტრონდ სოლიდი** დაინიშნოს. ამჟამად ეს სპეციალისტი ჰოლანდიაში მოღვაწეობს. ის „ჰერენვეენის“ დამრიგებელია. 14 ტურის შემდეგ მისმა შეგირდებმა 23 ქულა დააგროვეს და მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან. სოლიდის გუნდი ლიდერ „ალკმაარს“ ცხრა ქულით ჩამორჩება.

რამდენიმე დღეის წინ ნორვეგიის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. **აგე ჰარეიდემ** თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა. რომ არ გადამდგარიყო, მას მაინც კარისაკენ მიუთითებდნენ. 2008 წელს ნორვეგიელებმა რვა შეხვედრა ჩაატარეს, ოთხი წააგეს, ოთხი ფრედ ითამაშეს. სოლიდი „ჰერენვეენში“ გასულ ზაფხულს, „ფეიენოორდში“ გადასული **გერტან ფერბეეკის** შემცვლელად მივიდა. თუმცა მის დანიშვნას გუნდის თამაშის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. „ჰერენვეენი“ ჰოლანდიის ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური გუნდია. სპეკულაციების თანახმად, სოლიდს თანამდებობის დატოვება ემუქრება.

## ვან დერ მეიდეს კიდევ ერთი შანსი

**ენდი ვან დერ მეიდეს** იმედი აქვს, რომ „ევერტონის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიბრუნებს. ჰოლანდიელი გარემარბი ლივერპულურ კლუბში 2005 წლის ზაფხულში გადავიდა. მაგრამ ქრონიკულმა ტრავმებმა თავის წარმოჩენის საშუალება არ მისცა. მორიგი ტრავმის მოშუშების შემდეგ, ვან დერ მეიდემ „ასტონ ვილასთან“ ბოლო ტურის შეხვედრაში (2:3) ითამაშა. ამ უქმეებზე „ევერტონი“ „მანჩესტერ სიტის“ უნდა ესტუმროს. მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** ფეხბურთელის განაცხადში შეყვანას აპირებს. ვან დერ მეიდე: *„მინდა, მწვრთნელს დავუმტკიცო, რომ გუნდისათვის სარგებლის მოტანა კიდევ შემიძლია. ამ შანსს დიდი ხნის განმავლობაში ველოდი. მადლობა გულშემატკივარს, რომელიც თბილად შემხვდა. შევეცდები, მადლობა კარგი თამაშით გადავიხადო.“*

## ავსტრალია 2018

ავსტრალიის მთავრობამ 30 მილიონი დოლარი გამოყო, რათა 2018 წელს ავსტრალიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების კამპანიამ სტარტი აიღოს. აღნიშნული იდეა სპონტანურად დაიბადა, მაგრამ როგორც საფეხბურთო წრეები, ისე ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები სერიოზულად მიუდგნენ. *„ეს არ არის უტოპიური გეგმა. პირიქით, სავსებით რეალურია. 80 წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენების ეპიცენტრში ევროპა და სამხრეთი ამერიკა იყვნენ, მაგრამ ფეხბურთს ხომ მთელ პლანეტაზე თამაშობენ. მოვიდა დრო, რათა სხვა კონტინენტების პერსპექტივაზეც ვიზრუნოთ,* - განუცხადა „როიტერს“ ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრენკ ლოუიმ** - *ჩვენი ქვეყანა დიდი ტურნირების ორგანიზების დიდი გამოცდილებას ფლობს. 1956 წელს მელბურნსა და 2000 წელს სიდნეიში ოლიმპიადები მაღალ დონეზე ჩავატარეთ. 1987 წელს ახალ ზელანდიასთან ერთად ვუმასპინძლეთ რაგბის მსოფლიო თასს, ხოლო 2003-ში უკვე დამოუკიდებლად ჩავატარეთ გრანდიოზული ღონისძიება. ახლა ფეხბურთის დროა. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა უდიდეს იმპულსი იქნება ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის“.*

## სუასო ინგლისში?

მილანის „ინტერის“ ფორვარდი, 29 წლის ჰონდურასელი **დავიდ სუასო** შეიძლება ინგლისში გადაბარგდეს. ფეხბურთელი „ნერაძურიდან“ დიდ კონკურენციას გაექცა და თავი ლისაბონის „ბენფიკას“ შეაფარა. იქ ფეხბურთელი წარმატებით ასპარეზობს. ტრავმის გამო მას გარკვეული პერიოდი გაუცდა, მაგრამ ახლა ფორმაშია და საერთო ჯამში ექვს შეხვედრაში ოთხი გოლის გატანა მოახერხა. ჰონდურასელით „ასტონ ვილა“, „ევერტონი“ და „ნიუკასლი“ არიან დაინტერესებულნი. კვალიფიციური ფორვარდის გადაბირება იტალიურ გუნდებსაც სურთ. ლაპარაკია „რომასა“ და „ტორინოზე“. *„ჩემს შვილს ახლა მხოლოდ „ბენფიკა“ აინტერესებს,* - განაცხადა **დონ ნიკო სუასომ**, ფეხბურთელის მამამ და პარალელურად აგენტმა. - *დავიდს „ინტერში“ დაბრუნება გაუჭირდება, ამიტომ პრემიერლიგისა და სერია A-ს კლუბების დაინტერესება ძალიან საინტერესო იქნება... ოღონდ სეზონის დასრულების შემდეგ. ივნისში „ბენფიკას“ გაუჭირდება მოთამაშის შენარჩუნება, რადგან ის პროფესიონალია და გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს“.*

## გრინი და აპსონი ტოტენჰემში

„ტოტენჰემის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** მას შემდეგ, რაც „პორტსმუთიდან“ **დევიდ ჯეიმსის** გადაბირების იმედი დაკარგა, მიზანში მეორე ინგლისელი მეკარე ამოიღო. ლაპარაკია 27 წლის ვესტჰემელ **რობერტ გრინზე**. „მამლებს“ დაცვის პრობლემაც აწუხებთ. ალბათ იცით, რომ გუნდის კაპიტან **ლედლი კინგს** პერმანენტული ტრავმიანობა მთელი კარიერა თან სდევს და შესაბამისად, რედნაპი მის იმედად მომავალში ველარ იქნება. ამიტომ მას იმავე „ვესტ ჰემიდან“ **მეტიუ აპსონის** შეძენა სურს. „ტოტენჰემის“ პრეზიდენტი **დენიელ ლევი** მზადაა, „ჩაქუჩების“ ხელმძღვანელობას უახლოეს დღეებში შეხვდეს და ამ ორ ფეხბურთელში 16 მილიონი გირვანქა შესთავაზოს, - გვამცნობს „დეილი მირორი“.

## გარდაიცვალა მუნდიალის ბომბარდირი

გუშინწინ გარდაიცვალა იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 72 წლის ხორვატი **დრაჟან იერკოვიჩი**. მას გულის მძიმე დაავადება აწუხებდა. სულ იუგოსლავიის ნაკრებში მან 21 შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა. ჩილეში გამართულ ჩემპიონატს მრავალი ბომბარდირი ჰყავდა. იერკოვიჩთან ერთად 4-4 გოლის გატანა მოახერხეს ბრაზილიელებმა **გარინჩამ და ვავამ**, უნგრელმა **ფლორიან ალბერტმა**, ჩილელმა **მარსელო სანჩესმა** და საბჭოელმა **ვალენტინ ივანოვმა**. საკლუბო დონეზე იერკოვიჩი ზაგრების „დინამოში“ თამაშობდა, სადაც 300-მდე გოლის გატანა მოახერხა. ბატონი დრაჟანი მუშაობდა მწვრთნელადაც. 1990-92 წლებში მშობლიური ქვეყნის ეროვნული გუნდის პირველი მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# რაულის ფენომენი: 66 გოლი ევროთასებზე!

## მადრიდელთა კაპიტანმა ინძაგის გაასწრო, ბაიერნი ჯგუფური ეტაპის ყველაზე შედეგიანი გუნდია

„რეალის" სავიზიტო ბარათმა რაულმა ოთხშაბათს თავისი გენიალური შედეგი „ზენიტთან" კიდევ უფრო გააუმჯობესა, გაიტანა რა 65-ე და 66-ე გოლები ევროთასებზე. ასე რომ, მან პიპო ინძაგი (64 გოლი) უკან მოიტოვა. „მანჩესტერ იუნაიტედი" „ოლბორგთან" ფრეს რომ დასჯერდა, ეს სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს ოდნავადაც არ აკნინებს. მიუნხენის „ბაიერნმა" ლიონში მოიგო და ჯგუფური ეტაპის საუკეთესო გუნდი გახდა. ტურინის „იუვენტუსმა" კი „ბატეს" მეორე თამაშიც ვერ (არ) მოუგო...



31 წლის რაულს ევროთასებზე 66 გოლი აქვს გატანილი, აქედან, 64 მან ჩემპიონთა ლიგაში გაიტანა

### E ჯგუფი

### მანჩესტერი–ოლბორგი 2:2

**მანჩესტერი:** კუჩაკი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ევანსი, ო'ში, ნანი, გიბსონი, ანდერსონი, გაგზი, ტევესი, რუნი.

**ოლბორგი:** ზაზა, ბოგელუნდი, ოლფერსი, მ. იაკობსენი, პედერსენი, ენევოლდსენი, აუგუსტინუსენი, რისგარდი, საგანოვსკი, დუე, კურტი.

**გოლები:** 1:0 ტევესი (3), 1:1 იაკობსენი (33), 1:2 კურტი (45+2), 2:2 რუნი (52)

**არბიტრი:** ლორან დუჰამელი (საფრანგეთი)

**მაყურებელი:** 75 000

„მანჩესტერის" მთავარმა მწვრთნელმა **სერ ალექს ფერგიუსონმა** გუნდის ძირითადი შემადგენლობა ერთბაშად ცხრა პოზიციაზე შეცვალა. ორი ბედნიერიდან, ერთ-ერთი მათგანი **კარლოს ტევესი** გახლდათ, რომელმაც გასულ ოთხშაბათს ლიგის თასზე „ბლექბერნს" 4 გოლი გაუტანა. არგენტინელმა მწვრთნელს იმედები არც „ოლბორგთან" გაუცრუა და უკვე მესამე წუთზე ანგარიში გახსნა. მაგრამ დანიელებმა იყნოსეს, რომ ისტორიული შედეგის მიღწევა შეეძლოთ - ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, მერე კი სულაც იგებდნენ. ოქროს ბურთის კავალერი **კრისტიანო რონალდო** მატჩს თვალყურს ტრიბუნებიდან ადევნებდა. როდესაც ფერგიუსონმა იგრძნო, რომ ცვლილებები იყო საჭირო, მოედანზე ვეტერანი **პოლ სქოულზი** შეუშვა, რომელმაც მაშინვე დაატყო თამაშს თავისი ხელი. სწორედ სქოულზის გამოჩენის შემდეგ გაათანაბრა **უეინ რუნიმ** ანგარიში. ამრიგად, „მანჩესტერმა" ჯგუფში მხოლოდ 2 თამაში მოიგო (4 ფრე), მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მანკუნიანელებს პირველი ადგილი დაეკავებინათ.

*„უკვე დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თურმე „მანჩესტერი" მინიმალისტი გახდა. არ მესმის, რა არის იმაში ცუდი, რომ ძალები დავზოგოთ, როცა სულაც არ არის აუცილებელი, რომ თავი მოვიკლათ. რაც მთავარია, პირველი ადგილი დავიკავეთ,"* - განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა.

### სელტიკი–ვილიარეალი 2:0

**სელტიკი:** ბორუცი, ჰინკელი, გ. კოლდუელი, მაკმანუსი, მ. უილსონი (82. ო'დი), ნაკამურა, ს. ბრაუნი, ჰარტლი, მაკგიდი (75. მაკგოვანი), სამარასი (81. მაკდონალდი), მელონი.

**ვილიარეალი:** ვიერა, ანხელი, ფუენტესი, გონსალო როდრიგესი, ბრუნო სორიანო, მარკოს სენა (46. ნიჰათი), ედმილსონი, კანი, მატი ფერნანდესი, ფრანკო, იბაგასა (60, სანტი კასორლა).

**გოლები:** 1:0 მელონი (14), 2:0 მაკგიდი (45+2)

**გაძევება:** ფრანკო (35. ვილიარეალი)

**არბიტრი:** კლაუდიო ჩირკეტა (შვეიცარია)

**მაყურებელი:** 58 000

გლაზგოს „სელტიკს" ბოლო ადგილი განაღდებული ჰქონდა და ამრიგად, შოტლანდიელები „ვილიარეალთან" მხოლოდ პრესტიჟისთვისღა იბრძოდნენ. „სელტიკს" ეს თამაში რომ არ მოეგო, ისტორიაში შევიდოდა, როგორც ყველაზე სუსტი შოტლანდიური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში და რაკი გლაზგოელებს ეს ძალიან არ უნდოდათ, ესპანურ კლუბს თავიდანვე შემტევი ფეხბურთი დაუპირისპირეს. თუმცა აქ ისიც აღსანიშნავია, რომ გლაზგოელ ფანებს ეს ყველაფერი აღარ ანაღვლებდათ - „სელტიკ პარკის" ტრიბუნები გადაჭედილი არ ყოფილა. „ვილიარეალს" კი გამარჯვების შემთხვევაში, „მანჩესტერის" გადასწრება და პირველი ადგილის დაკავება შეეძლო. ესპანელების მეკარე **სებასტიან ვიერამ მელონის** გოლის დროს უპატიებელი შეცდომა დაუშვა. მერე, 35-ე წუთზე ვილიარეალს" თავდამსხმელი **გილერმო ფრანკო** არასპორტული საქციელის გამო მოედნიდან გაუძევეს. 45-ე წუთზე კი, **მაკგიდიმ** მეორე გოლი გაუტანა „ვილიარეალს", რითაც „სელტიკს" პრესტიჟის გამარჯვება მოუტანა, ესპანელებს კი პირველ ადგილზე ფიქრი შეაწყვეტინა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 6 | 2 | 4 | 0 | 9-3 | 10 |
| 2. ვილიარეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 3. ოლბორგი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-14 | 6 |
| 4. სელტიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |

### F ჯგუფი

### ლიონი–ბაიერნი 2:3

**ლიონი:** ლორისი, გასამა (64. კალსტრიომი), მენსა, ბუმსონგი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, გოვუ, ედერსონი (77. ს. დელგადო), მუნიე (64. ფრედი), ბენზემა.

**ბაიერნი:** რენსინგი, ოდო (90. ბრენო), დემიკელისი, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი, ბოროვსკი, შვაინშტაიგერი (89. ჰამით ალტინთოფი), რიბერი, ტონი, კლოზე (69. ოტლი).

**გოლები:** 0:1 კლოზე (12), 0:2 რიბერი (34), 0:3 კლოზე (37), 1:3 გოვუ (52), 2:3 ბენზემა (68)

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

**მაყურებელი:** 40 000

**იურგენ კლინსმანი** ლიონში 10-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა - ამჯერად „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში. და რა მოხდა 10 წლის წინ? კარგად გაიხსენეთ! მსოფლიოს ჩემპიონატის (საფრანგეთი 1998) მეოთხედფინალური მატჩი, გერმანიასა და ხორვატიას შორის სწორედ ლიონში შედგა და ის თამაში გერმანელებმა 0:3 დათმეს. კლინსმანი მაშინ ბუნდესგუნდის თავდამსხმელი გახლდათ. ახლა კი პირველი ტაიმის შემდეგ, კლინსის გუნდი „ლიონს" 3:0-ს უგებდა. იურგენი კი იღიმებოდა. მერე ფრანგები აზრზე მოვიდნენ და ჯერ **გოვუმ** შეძლო გოლის გატანა, მერე კი **ბენზემამ** სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ის, რომ მატჩი 3:3 არ დამთავრდა, ბავარიელთა მეკარე **მიხაელ რეინზინგის** დამსახურებაა. ახალგაზრდა გოლკიპერმა არაერთხელ იხსნა რეკორდმაისტერი, რითაც გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 2001/2002 წლების სეზონების შემდეგ საუკეთესო შედეგი დაუფიქსირა: 14 ქულა, ბურთების შეფარდება 12:4. ისე, „ბაიერნმა" ჯგუფში მაშინაც 14 ქულა დააგროვა, ბურთების შეფარდება კი 14:5-ზე ჰქონდა.

*„ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ბუნდესლიგაშიც გამოვსწორდით და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიც ისე დავასრულეთ, როგორც „ბაიერნს" შეეფერება. ერთი თამაშიც და შესვენებაზე აბსოლუტურად დამშვიდებულები გავალთ, სეზონის მეორე ნახევრისთვის კარგად მოვემზადებით და ასეთივე შემართებით გავაგრძელებთ,"* - გახარებული იყო კლინსმანი.

### სტიაუა–ფიორენტინა 0:1

**სტიაუა:** საპატა, გოლანსკი, ბაჩიუ, რადოი, მარინი, ო. პეტრე, ტიაგო გომეში (88. პლეშანი), ნიკოლიცა, დაირო მორენო, ტოხა, სემედო (57. ლოვინი).

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური, გამბერინი, კროლდრუპი, ვარგასი, დონადელი, ფელიპე მელო, მონტოლივო (90+1. მასი), სანტანა (78. ალმირონი), ჯილარდინო (83. ოსვალდო), მუტუ.

**გოლი:** 0:1 ჯილარდინო (66)

**გაძევება:** გოლანსკი (72. სტიაუა)

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 14 000

ბუქარესტის „სტიაუა" ბოლო ტურის წინ უმძიმეს ვითარებაში იყო. თუკი „ფიორენტინას" დაამარცხებდა, გუნდი მესამე ადგილზე გადიოდა და უეფას თასზე გადაინაცვლებდა, მაგრამ ფლორენციელებმა მეტოქეს არაფერი გააბედვინეს. „სტიაუა" დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფურ ეტაპზე ყველა გუნდის შედეგი რომ შევაჯამოთ, ბუქარესტელები ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდნენ. მათზე უარესი შედეგი მხოლოდ „ბაზელს" ჰქონდა. 20 000-მა მაყურებელმა ბარათების კორიანტელი იხილა: 7 გაფრთხილება, 1 გაძევება. საინტერესო ის გახლავთ, რომ პირველი ორი გაფრთხილება „სტიაუის" ფეხბურთელებმა „ფიორენტინის" საჯარიმოში სიმულაციისთვის მიიღეს - ბუქარესტელები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ პენალტის დარტყმის უფლება მოეპოვებინათ. მაგალითად, **ნიკოლიცამ** უკვე პირველივე წუთზე სცადა თერთმეტმეტრიანის მოპოვება, მაგრამ მსაჯს არა პენალტი, არამედ ყვითელი ბარათი გამოსტყუა. **მორენამ** იგივე საქციელისთვის გაფრთხილება მე-20 წუთზე მიიღო. მოკლედ, ბუქარესტელები თავისას ცდილობდნენ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-4 | 14 |
| 2. ლიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 14-10 | 11 |
| 3. ფიორენტინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 4. სტიაუა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-12 | 1 |

### G ჯგუფი

### პორტუ–არსენალი 2:0

**პორტუ:** ჰელტონი, ფუჩილე, როლანდო, ბრუნო ალვეში, პედრო ემანუელი, ფერნანდო, ლუჩო გონსალესი (78. ტომაშ კოშტა), რაულ მეირელესი, კრისტიან როდრიგესი (78. მარიანო გონსალესი), ჰულკი (88. გარენი), ლისანდრო ლოპესი.

**არსენალი:** ალმუნია, ებუე, გალასი, სილვესტრი, ჯურუ, რამზი (59. ვილშეირი), დიაბი (61. გიბსი), სონგი (79. რენდალი), დენილსონი, ველა, ბენდტნერი.

**გოლები:** 1:0 ბრუნო ალვეში (38), 2:0 ლისანდრო ლოპესი (54)

**არბიტრი:** კიროს ვასარსი (საბერძნეთი)

**მაყურებელი:** 30 000

**არსენ ვენგერმა** მოედანზე ისევ საბავშვო ბაღი გაიყვანა (სხვა გზა არც ჰქონდა, რადგან არაერთი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული) და საბოლოოდ ის შედეგი მიიღო, რომ „არსენალი" „პორტუსთან" დამარცხდა და ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდა. ჩვენ კი ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: **რობინ ვან პერსის, ემანუელ ადებაიორის, სამირ ნასრისა** და **სესკ ფაბრეგასის** გარეშე „მეთოფეები" ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენენ. ვენგერმა მეორე ტაიმში მოედანზე შემდეგი ფეხბურთელები შეუშვა: **ერენ კირან გიბსი, ჯეკ ვილშეირი** და **მარკ რენდალი** - მათ ვინ არ იცნობს...

*„რას ვიზამთ, ასე გამოვიდა. რაც არის, არის. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ პირველი ადგილის დაკავებას. მთავარია, რომ მერვედფინალში ვართ. სხვა დანარჩენი კი უკვე წილისყრაზე, ჩვენს მომზადებასა და იღბალზეა დამოკიდებული. იღბალში კი მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ მერვედფინალისთვის წამყვანი ფეხბურთელები მწყობრში მყავდნენ",* - აღნიშნა ვენგერმა.

რაც შეეხება „პორტუს" - შეგახსენებთ, რომ ამ გუნდს სამი ტურის შემდეგ მხოლოდ სამი ქულა ჰქონდა. პორტუგალიელებმა თავი არ დაზოგეს, კარგადაც ითამაშეს და ზოგადად, ზედიზედ მეშვიდე ოფიციალური მატჩი მოიგეს. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ გუნდს, რომელმაც 2004 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო, საკუთარ მოედანზე ინგლისურ კლუბთან არასდროს წაუგია.

### დინამო–ფენერბაჰჩე 1:0

**დინამო:** ბოგუში, ბეტაო, დიახატე, მიხალიკი, ნესმაჩნი, ვუკოევიჩი, გიოანე, ერიომენკო, ჩერნატი (46. ასათიანი), ბანგურა (55. კრავეცი), მილევსკი.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, გიონული, ედუ დრასენა, ლუგანო, რობერტო კარლოსი, სელჩუქ საჰინი (58. მალდონადო), ხოსიკო, დეივიდი, ალექსი (64. ბილგინი), უგურ ბორალი (71. ილჰან ფარლაქი), გუისა.

**გოლი:** 1:0 ერიომენკო (20)

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

**მაყურებელი:** 15 000

კიევის „დინამოს" თავკაც **იური სიომინს** ასეთი რიტუალი აქვს: ყოველი თამაშის წინ, მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე, ის სტადიონზე შედის, მოედანს წრეს არტყამს, თილისმას კოცნის და გასვლის წინ პირჯვარს იწერს. „ფენერბაჰჩესთან" ამ რიტუალმა შედეგი გამოიღო: კიეველებმა **ერემენკოს** გოლით იმარჯვეს და უეფას თასის საგზური მოიპოვეს.

ისე, ცნობილია, რომ „ფენერის" თავკაცი **ლუის არაგონესიც** ცრუმორწმუნეა, მაგრამ როგორც ჩანს, ევროპის ჩემპიონმა მწვრთნელმა იმ საღამოს რიტუალი არასრულყოფილად ან არასწორად შეასრულა. შესაძლოა, სულაც დაავიწყდა - არაგონესი ნამდვილად აღარ არის ახალგაზრდა. ასეა თუ ისე, ფაქტია, „ფენერბაჰჩემ" „დინამოს" საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირა და დამსახურებულად დამარცხდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 6 | 4 | 0 | 2 | 9-8 | 12 |
| 2. არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-5 | 11 |
| 3. დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 4-4 | 8 |
| 4. ფენერბაჰჩე | 6 | 0 | 2 | 4 | 4-11 | 2 |

### H ჯგუფი

### რეალი–ზენიტი 3:0

**რეალი:** დუდეკი, მიჩელ სალგადო, სერხიო რამოსი, კანავარო, მარსელო, გაგო, გუტი (52. ხავი გარსია), ვან დერ ვაარტი (46. მეცელდერი), რაული (61. სავიოლა), იგუაინი, რობენი.

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, ლომბაერტსი (76. დომინგესი), კრიჟანაცი, შირლი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, ზირიანოვი, დანი, არშავინი (46. ფაიზულინი), პოგრებნიაკი (72. ფათიჰ თექე).

**გოლები:** 1:0 რაული (25), 2:0 რობენი (50), 3:0 რაული (57)

**არბიტრი:** იონას ერიქსონი (შვედეთი)

**მაყურებელი:** 65 000

ლაპარაკი იმაზე, რომ **ხუანდე რამოსმა** ორ დღეში „რეალი" კარდინალურად შეცვალა და რომ მადრიდელებმა ამიტომაც გაანადგურეს „ზენიტი", სრული აბსურდია. „ტოტენჰემის" ყოფილმა თავკაცმა, რომელმაც სამეფო გუნდში **ბერნდ შუსტერი** შეცვალა, „სევილიასთან" 3:4-სგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ცვლილება შეიტანა და ისიც ასეთი: **იკერ კასილიასი** დაასვენა და **ირჟი დუდეკი** გაახარა.

მადრიდელთა გამარჯვება **რაულის** დამსახურებაა, რომელმაც 65-ე და 66-ე გოლები გაიტანა, რაც მას ევროთასების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის წოდებას ანიჭებს. აქამდე რაული **ფილიპო ინძაგისთან** ერთად პირველ და მეორე ადგილებს იყოფდა. ახლა კი 31 წლის ესპანელი „სუპერპიპოს" 2 გოლით უსწრებს. აღსანიშნავია, რომ რაულს 66-დან 64 გოლი ჩემპიონთა ლიგაში აქვს გატანილი. ჰო მართლა, რამოსმა **კრისტოფ მეტცელდერს** მისცა შანსი, შეუშვა რა მოედანზე მეორე ტაიმში. გერმანელ მცველს ერთადერთი გამოსარჩევი მომენტი ჰქონდა, როცა მისი თავური დარტყმა ძელს მოხვდა - ოღონდ, ეს „რეალის" კარი იყო...

### იუვენტუსი–ბატე 0:0

**იუვენტუსი:** მანინგერი, გრიგერა, ლეგროტალიე, მელბერგი, მოლინარო, მარკიონი, კ. ძანეტი, ნედვედი (90+1. კასტალია), დე სელიე, ჯოვინკო (87. ესპოზიტო), ამაური (57. დელ პიერო).

**ბატე:** ვერემკო, ხაგუში, კაზანცევი, სოსნოვსკი, იურევიჩი, სივაკოვი, ლიხტაროვიჩი (57. ვოლოდკო), კრივეცი (89. ერმაკოვიჩი), ბლიზნიუკი, სტასევიჩი (61. ნეჰაიჩიკი), როდიონოვი.

*52-ე წუთზე ჯოვინკომ (იუვენტუსი) ვერ გამოიყენა პენალტი*

**არბიტრი:** კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

**მაყურებელი:** 5 000

ჯგუფის გამარჯვებული კი ტურინის „იუვენტუსია" - „ბებერი ქალბატონი" ჩემპიონთა ლიგაში შთამბეჭდავად დაბრუნდა და ჯგუფში „რეალი" ჩამოიტოვა. მაგრამ „იუვენტუსი" ტიპურ „იუვენტუსად" რჩება: გაგეცინებათ და, **კლაუდიო რანიერის** გუნდმა მადრიდულ გრანდს ორივე თამაში მოუგო, „ბატეს" კი ვერც ერთი! თუმცა „იუვეს" შემთხვევაში ეს პარადოქსი არ არის, ტურინელები საქმეს ყოველთვის ყველაზე პრაგმატულად უდგებოდნენ. ახლაც: ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად ფრეც ჰყოფნიდათ და მეტზე არც უზრუნიათ. პირველ ტაიმში ტურინელებმა „ბატეს" კარისკენ 11-ჯერ დაარტყეს, მაგრამ არცერთი დარტყმა არ აღმოჩნდა შედეგიანი. 53-ე წუთზე **სებასტიან ჯოვინკომ** თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა (კარს ზემოდან გადააცილა).

მეორე ტაიმში რანიერიმ **კარვალიო ამაური ალექს დელ პიეროთი** (1.73 მეტრი) შეცვალა და თავდასხმაში ჯოვინკოსთან (1.64 მეტრი) ერთად გაამწესა. ამას დაუმატეთ **მარკიონი**, რომელიც 1.75 მეტრი სიმაღლისაა. მოკლედ, რანიერი დაბლებით უტევდა. მიუხედავად ამისა, დელ პიეროს ორჯერ მიეცა თავით (!) გოლის გატანის შანსი. მარკიონიმ კი „ბატეს" კარის ძელი შეაზანზარა. მოკლედ, სადაც საჭირო იყო (რეალთან), ტურინელებმა შესანიშნავად ითამაშეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა პირველი ადგილის დასაკავებლად. „ბატეს" ფეხბურთელებს კი შეუძლიათ, იმით იამაყონ, რომ სამიდან ორი ფრე ჯგუფის გამარჯვებულ „იუვენტუსთან" გაახერხეს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 6 | 3 | 4 | 0 | 7-3 | 12 |
| 2. რეალი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-5 | 12 |
| 3. ზენიტი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |
| 4. ბატე | 6 | 0 | 3 | 3 | 3-8 | 3 |

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხუანდე რამოსი პირველი სუპერკლასიკოსათვის ემზადება

# ბარსელონა, კატალონიელების ბედისწერაა

## ჩავიმ კასილიასს ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა, მოემზადე, გოლი უნდა გაგიტანოო

ხვალ დიდი დღეა. ესპანეთში ასეთი დღე წელიწადში ორჯერ დგება ხოლმე. სუპერკლასიკო იქაურების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიესტაა. ახლა ბარსელონაში ყოფნას არაფერი აჯობებს. მთელი კატალონია თავმოყვარეობის დასაცავად ბრძოლისთვის ემზადება. „ბარსელონა“ კატალონიის არმიაა, რომელმაც საფეხბურთო მოედანზე თავი უნდა დადოს და მადრიდული გრანდი მიწასთან გაასწოროს. ეს აბსოლუტური ამოცანაა, რომელიც დროსა და რევიზიას არ ექვემდებარება. *„უფრო მეტი ვიდრე უბრალოდ კლუბი“* - „ბარსას“ დამაარსებლებმა ეს სლოგანი შემთხვევით არ მოიგონეს. „ბარსელონა“ კატალონიელების სული და გულია, ის ისე უყვართ, როგორც საკუთარი შვილი. მერე რა, რომ სუპერკლასიკო ყოველ წელს იმართება, თანაც ორჯერ. ყოველ ჯერზე ყველაფერი თავიდან იწყება, ემოციები არასოდეს ხუნდება. გამარჯვება არავის მობეზრდება, არც წინა წელს განცდილი წარუმატებლობა დაავიწყდება ვინმეს. კატალონია ახლა დაუნდობელ რევანშზე ოცნებობს. ამ დიდი მატჩის წინ ციებ-ცხელება მთელ რეგიონს ედება. სამსახურებში სამუშაო საათებში ფეხბურთზე საუბარი სანქცირებული ხდება, ვერც ერთი უფროსი ვერ გაბედავს თანამშრომელს უთხრას, რა დროს „ბარსა“ „რეალია“, წადი, საქმეს მიხედეო. იქ ყველას ესმის, რომ თამაში თანადგომითა და ურთიერთგატანით უნდა მოიგონ. სხვანაირად არასოდეს ყოფილა...

„ბარსელონისა“ და „რეალის“ დაპირისპირების ისტორიას ძალიან ბევრი მტრობა და სიძულვილი ახსოვს, მაგრამ ეს დიადი მოვლენა პატივისცემისა და მეგობრობისგანაც არ არის სტერილური. დაპირისპირებულ ბანაკებში ყოველთვის მოინახება ერთი ორი ადამიანი, რომელსაც მეტოქესთან გულწრფელი მეგობრობა და დიდი სიყვარული აკავშირებს. მაგალითისთვის **იკერ კასილიასისა** და **ჩავი ერნანდესის** მრავალწლიანი მეგობრობა შეგვიძლია ვახსენოთ. სამეფო კლუბის მეკარე და კატალონიელთა საამაყო ფეხბურთელი ერთმანეთის ძმურ სიყვარულს არასოდეს მალავდნენ, მაგრამ ორივე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სუპერკლასიკოში მეგობრობა და ნდობა არ არსებობს. ბოლოს ისინი ნახევარი წლის წინ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წინა კლასიკო „ბარსას“ კრახითა და განადგურებით დასრულდა. ჩავი მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია, მაგრამ წინა სეზონის ფიასკო მისთვისაც დიდი შეურაცხყოფა იყო. ერნანდესმა ბევრისთვის მოულოდნელად შურისძიებაზე ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო საუბარი. „ბარსას“ სიმბოლოდ შერაცხულმა კაცმა გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ სამეფო კლუბის გასანადგურებლად თავს არ დაზოგავს. მთავარი გამარჯვებაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „რეალი“ შინ კუდამოძუებული და განადგურებული გაისტუმრონ: *„ბარსელონა“ ჩემი სახლია. ვარჯიშზე მოსვლისას ისეთი განწყობა არ მაქვს, როგორიც მილიონობით ადამიანს სამსახურში მისვლისას უჩნდება. „ბარსელონა“ ჩვენი ბედისწერაა და არა სამსახური. შარშან ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სეზონი ჩავატარეთ. ტრაგედია მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ჩემპიონები ვერ გავხდით, გაცილებით უფრო მტკივნეული იყო „რეალისთვის“ ღირსების დერეფნის მოწყობა და მადრიდში 1:4 წაგება. იმ საღამოს შემდეგ რამდენიმე ღამის განმავლობაში სული მეხუთებოდა და გაოფლიანებულს მეღვიძებოდა. მაშინ თავმოყვარეობა შეგველახა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მტკიოდა, რომ ჩვენს გულშემატკივრებს ბოლოს სიხარულიც მოვუსპეთ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რომ მოგვეგო, ხალხს ჩემპიონობის დაკარგვით გამოწვეულ სევდას გავუფანტავდით, თუმცა რომელ მოგებაზეა საუბარი, როცა მადრიდელებმა პირწმინდად დაგვჩაგრეს. იმ ჯოჯოხეთის დავიწყება შეუძლებელია. დადგა დრო, რევანშზე ვიფიქროთ. ჩემგან ამ სიტყვებს ხშირად ვერ გაიგებთ, მაგრამ ახლა ვამბობ, რომ „ბარსელონამ“ „რეალზე“ შური უნდა იძიოს. ვფიქრობ, ამისთვის ყველა პირობა გვაქვს. რა თქმა უნდა, მთავარი გამარჯვებაა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოვიგოთ. სუპერკლასიკო სიგიჟეა. ის ხშირად სცილდება რაციონალურ ფარგლებს. 2007 წლის მატჩი გავიხსენოთ. მაშინ თამაში 3:3 დასრულდა, მაგრამ გულშემატკივრები სახლში ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ. იმიტომ, რომ ჩვენ ფეერიული შეხვედრა ჩავატარეთ. ლეო მესიმ მთელი სამყარო აღაფრთოვანა. ახლაც ასე უნდა ვითამაშოთ, მაგრამ სამი ბურთი აღარ უნდა გავუშვათ. მჯერა, საფინალო სასტვენი ერთდროულად სიხარულსა და გულდაწყვეტას მოგვიტანს. სიხარულის მიზეზი გამარჯვება იქნება, გულდაწყვეტას კი სპექტაკლის დასრულება მოგვგვრის.“*

ჩავის ამ მაღალფარდოვან განცხადებას იკერ კასილიასი გამოეხმაურა. „რეალის“ გენიალურმა მეკარემ წინასწარ იცოდა, რომ მისი მეგობრის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება მოუწევდა. „ელ მუნდო დეპორტივომ“ ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავები ამ საინტერესო პროექტზე უპრობლემოდ დაითანხმა. როცა მათ გაიგეს, რომ კატალონიური გაზეთი მასალის მომზადებას აპირებდა, უკან არ დაიხიეს და საზოგადოებას თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს. კასილიასი ბარსელონელი მეგობრის ოპტიმიზმს მშვიდად შეხვდა, მაგრამ იქვე ყველას აგრძნობინა, რომ სამეფო კლუბი „კამპ ნოუზე“ კაპიტულაციის გამოსაცხადებლად არ მიდის: *„მე მესმის ჩავის, შარშანდელი იარა მას არ მოშუშებია, მაგრამ ვინმემ დამარწმუნოს, „ბარსას“ ჩვენი განადგურების შანსი რომ მისცემოდა, იმავეს არ გააკეთებდა. ჩვენ გენიალური თამაშის მსახურები ვართ. ფეხბურთში დანდობა არ არსებობს. ვიცი, შარშან ნაკლები ანგარიშით რომ მოგვეგო, კატალონიელები ახლა ასეთი გამწარებულები არ იქნებოდნენ, მაგრამ ექვსი თვის წინ მომავალზე ვინ იფიქრებდა? ამ შემთხვევაში პრაგმატულობა გამორიცხულია. როცა საშუალება გაქვს, მეტოქე ბოლომდე უნდა გაანადგურო. „რეალმა“ ეს შეძლო, მაგრამ ახლა „ბარსელონა“ გვემუქრება. ვაღიარებ, კატალონიელები წელს ჩვენზე უკეთ თამაშობენ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ერთი შეხვედრის უმაღლეს დონეზე ჩატარება ყოველთვის შეიძლება. მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე სუპერკლასიკოს ეხება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სამეფო კლუბი „კამპ ნოუზე“ მოსაგებად იბრძოლებს, ყველა სხვა შედეგი ჩვენთვის მიუღებელი და წარუმატებელი იქნება. „ბარსა“ ახლა ცხრა ქულით გვისწრებს, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ორი წლის წინ სეზონის დასრულებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე ისინი რვა ქულით გვისწრებდნენ, მაგრამ ჩემპიონები ჩვენ გავხდით. ბარსელონაში გამარჯვების შემთხვევაში სხვაობა 6 ქულამდე შემცირდება. ალბათ, ყველა ხვდება ეს რას ნიშნავს. ჩავი ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია, მაგრამ მან იცის, რომ თავს შევაკლავ. ცხადია, ისიც არ დამინდობს. ხიბლი სწორედ ამაშია. გუშინ ჩავიმ მესიჯი მომწერა, მოემზადე, გოლი უნდა გაგიტანოო. ვუპასუხე ვერ ეღირსები-მეთქი. არავინ იცის, ჩვენ შორის ვის გაუმართლებს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, გულშემატკივრები ულამაზეს სანახაობას იხილავენ. „კამპ ნოუზე“ ვძულვართ, თუმცა იქ თამაში ძალიან მსიამოვნებს.“*

### დაცვა ხუანდეს მთავარი საზრუნავია

როგორც ხედავთ, იკერი დიდ გულზეა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სამეფო კლუბი წლევანდელ პირველ სუპერკლასიკოს სერიოზული პრობლემებით ხვდება. რამდენიმე დღის წინ გუნდში მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. **ბერნდ შუსტერმა** ნდობის მანდატი ამოწურა და ის **ხუანდე რამოსით** შეცვალეს. ახალმა მწვრთნელმა გამარჯვებისთვის აუცილებელი ტაქტიკა ექსტრემალურ პირობებში უნდა შეიმუშაოს. შეუძლებელია იმის თქმა, რომ სენიორ რამოსი „რეალის“ შესაძლებლობებს ბოლომდე იცნობს, მაგრამ მას სხვა გზა არ აქვს, ხუანდემ შეუძლებელი უნდა შეძლოს, ყოველ შემთხვევაში, უნდა სცადოს მაინც. ჩემპიონთა ლიგაში „ზენიტის“ დამარცხება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მიმომხილველები თანხმდებიან, რომ „ზენიტი“ „ბარსას“ საპირწონედ ვერ გამოდგება. სპეციალისტები კატალონიელებს ფავორიტად მიიჩნევენ და **ლეო მესისგან** საუკეთესო თამაშს ელიან. ხუანდე რამოსის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი სწორედ არგენტინელი დემონის გაუვნებელყოფაა. ესპანელი ჟურნალისტების მიერ „რეალის“ ბოლო ვარჯიშებზე მომზადებული რეპორტაჟი გვარწმუნებს, რომ დედაქალაქელთა ახალი დამრიგებელი მესის გაუვნებელყოფაზე სერიოზულად ღელავს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლეოსთან ბრძოლა გამოცდილ, მაგრამ არასტაბილურ და არასაიმედო **მიჩელ სალგადოს** დაევალება. თუ რამოსს მართლა ასეთი ჩანაფიქრი აქვს, აფერუმ მის გამბედაობას. სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ვერ წარმომიდგენია, მიჩელ სალგადომ მესის რა უნდა დაუპირისპიროს. გასაგებია, რომ სხვა ფაქტორებიც გასათვალისწინებელია. არგენტინელს მხოლოდ ერთ კაცს გიჟის მეტი არავინ შეატოვებს. სალგადოს დაზღვევას დიდი ყურადღება დაეთმობა, შესაძლოა, ცაცია ლეო მარჯვენა ფეხზე ადგეს და შესაძლებლობები ვერ გამოავლინოს, ან თავად სალგადოში მოხდეს საოცარი ტრანსფორმაცია და კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატაროს, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია და სხვა არაფერი. რეალურად კი მიჩელ სალგადო ლეო მესის გამჩერებელი კაცი არ არის. ვეტერან მცველზე აქცენტის გაკეთება რამოსისთვის ალბათ, იძულებითი ნაბიჯია, რადგან ტრავმებით გათანგულ „რეალს“ ბევრი ალტერნატივა არ გააჩნია. და მაინც, ესპანელისა და არგენტინელის შესაძლო დუელი, სამეფო კლუბისთვის მომაკვდინებლად სახიფათოა. ჩემი აზრით, გაცილებით უკეთესი იქნება, სენიორ რამოსმა „ბარსას“ ჯადოქარს **როისტონ დრენტე** დაუპირისპიროს. ჰოლანდიელი ახალგაზრდაა, სალგადოზე ბევრად ენერგიული და ძლიერია. მართალია, გამოცდილება აკლია, მაგრამ მიჩელი მეტისმიეტად მოუქნელია და ორთაბრძოლაში შესვლას ხშირად აგვიანებს. ლეო კი ამას, რა თქმა უნდა, არ აპატიებს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მესი სტუმართა ერთადერთი პრობლემა არ არის. მაშინ, როცა **პეპე** ტრავმირებულია, **ფაბიო კანავაროს** რომელიმე სხვა ფეხბურთელი უნდა დაეხმაროს. გვეგონა, რომ რამოსი იტალიელი მცველისა და **მეტცელდერის** დუეტზე იფიქრებდა, მაგრამ ისევ და ისევ ესპანელი ჟურნალისტების რეპორტაჟიდან ვიგებთ, რომ ახალი მწვრთნელი დაცვის ცენტრში **სერხიო რამოსის** დაყენებას აპირებს. მეტცელდერს კი განაპირა მცველად მოიაზრებს. ეს მოსალოდნელი ცვლილება ალბათ, **სამუელ ეტოოს** შიშით უნდა იყოს განპირობებული. დასამალი არ არის, რომ კამერუნელ ფორვარდს განსაკუთრებული მეურვეობა სჭირდება. მეტცელდერი არ არის საუკეთესო ფორმაში და დიდია იმის ალბათობა, რომ ეტოომ დაჩაგროს. ასე თუ ისე, ბატონი ხუანდე კანავაროსა და სერხიო რამოსს საგანგებო რეჟიმში ავარჯიშებდა. ყველაზე დიდი დრო დაზღვევის დახვეწას მოხმარდა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მადრიდელებს შეტევაზე თითქმის არ უმუშავიათ. მწვრთნელი **რაულს** შიგადაშიგ თუ მისცემდა მითითებას. ეს ერთი მხრივ ამ ფეხბურთელისადმი ნდობის გამოხატულებაა, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობია. სამეფო კლუბის დამრიგებლის მთავარი საზრუნავი „კამპ ნოუზე“ კარის მშრალად შენახვაა. ისევ და ისევ იმ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი რომ „ბარსელონის“ თავდამსხმელები და შემტევი ნახევარმცველები არაჩვეულებრივ ფორმაში არიან. ამ ბიჭებმა ბოლო ორი ფიესტა „სანჩეს პისხუანსა“ და „კამპ ნოუზე“ შემოგვთავაზეს. ბარსელონელმა ვარსკვლავებმა „სევილიას“ გასვლაზე 3:0 მოუგეს. „ვალენსიას“ კი 4:0 სძლიეს. ამას ჩემპიონთა ლიგაში „შახტართან“ წაგება (2:3) მოჰყვა, მაგრამ იმ შეხვედრაში **პეპ გვარდიოლამ** 11 სათადარიგო ფეხბურთელი დააყენა. ასე რომ, ის ბიჭები, რომლისაც ხუანდე რამოსს ასე ძალიან ეშინია, არაფერ შუაში არიან.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ჩავი ერნანდესი ძველი მეგობრის, იკერ კასილიასის კარის დალაშქვრით იმუქრება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ჯან პიერო გასპერინი



# ჯენოას მწვრთნელს მადა გაეხსნა

**იტალიის უძველესი კლუბი „ჯენოა“ სერია A-ს ორი წლის წინ დაუბრუნდა. გენუელები მიმდინარე სეზონს ერთობ შთამბეჭდავად ატარებენ და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე იმყოფებიან. ბოლო ტურში „ჯენოამ“ თანაქალაქელ „სამპდორის“ დერბი მოუგო (1:0), თანაც - ნომინალური სტუმრის რანგში და მეტოქე გუნდის ქომაგებით გადაჭედილ „მარასიზე“. ამ წარმატების შემდეგ კლუბის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, ყურადღების ცენტრშია მთავარი მწვრთნელი ჯან პიერო გასპერინიც. „გაძეტა დელლო სპორტმა“ მას ინტერვიუ სთხოვა...**

**- „ჯენოა“ თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს. სადამდე შეიძლება წავიდეს თქვენი გუნდი?**

- ალბათ, შედეგს გულისხმობთ, რომელსაც სეზონის ბოლოს მივიღებთ. ძნელი სათქმელია, სადამდე წავალთ, რადგან წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი და რა მოხდება, კაცმა არ იცის. ჩვენ გეგმის მიხედვით მივდივართ და თუ ასევე გავაგრძელებთ, ევროტურნირებზე ნამდვილად მოვხვდებით. ფეხბურთელებში დიდ ენთუზიაზმს ვხედავ, ისინი მოტივირებულნი არიან, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

**- მთავარი მიზანი ევროასპარეზზე გასვლაა?**

- გულახდილად გეტყვით, სეზონის წინ ასეთი მიზანი ნამდვილად არ დაგვისახავს, რადგან ფეხბურთელთა მიმართ ეს უსამართლო მოთხოვნა იქნებოდა. სერია A-ში უმაღლესი კლასის გუნდები თამაშობენ, მათთან კონკურენცია კი ურთულესი საქმეა. ათეულში მოხვედრაზე გვქონდა ორიენტაცია აღებული, თუმც რა დამასალია და, სეზონის მიმდინარეობამ ჩვენში სხვა ამბიცია გააჩინა, ოღონდ, ჯანსაღ ამბიციას ვგულისხმობ, არ იფიქროთ, რომ საკუთარ შესაძლებლობებს გადამეტებულად ვაფასებთ.

**- „ჯენოა“ საკუთარ მოედანზე შესანიშნავად თამაშობს, რასაც ვერ ვიტყვით გასვლით პაექრობებზე. რას შეიძლება ეს მივაწეროთ?**

- ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, რადგან „ჯენოა“ იმ კლასის გუნდი არ არის, გასვლით და საშინაო შეხვედრებში ერთნაირი წარმატებით იასპარეზოს. ჩემს განკარგულებაში ისეთი ფეხბურთელები არიან, რომელთაც შემტევი ფეხბურთი უკეთ გამოსდით. შეგვიძლია, მეტოქეს თავს მოვახვიოთ ჩვენი თამაში, რაც, ბუნებრივია, „მარასიზე“ შედარებით ადვილი მისაღწევია. გასვლით თამაშებს კი კონტრშეტევებზე გადაწყობა სჭირდება და ამ კუთხით აქტიურად ვმუშაობთ. ბოლო პერიოდში სტუმრად უკეთ გამოვიყურებით, რაც დიდი შრომის შედეგია.

**- გენუურ დერბის შევეხოთ. ელოდით გამარჯვებას?**

- ველოდით და ვგეგმავდით კიდეც. მთელი კვირა ვემზადებოდით ამ თამაშისთვის და ბუნებრივია, 3 ქულის მოპოვებაც გვსურდა. საბედნიეროდ, მიზანს მივაღწიეთ და ამით უზომოდ კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, „ჯენოამ“ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და გამარჯვება ალალად დაიმსახურა. პირველსავე წუთებიდან ორგანიზებულად ვმოქმედებდით, ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა და საით უნდა წაგვეყვანა თამაში. ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები სრულად და ზუსტად გადაიტანეს მოედანზე. აბსოლუტურად ყველა რგოლი მოწოდების სიმაღლეზე იყო.

**- დიეგო მილიტომ სიტყვა შეასრულა და „სამპდორიას“ გადამწყვეტი გოლი გაუტანა...**

- ის ბრწყინვალე ფეხბურთელია და გარდა იმისა, რომ ნამდვილი ბომბარდირიცაა, უკან დახევასაც არ თაკილობს და ყოველმხრივ პროდუქტიულად ირჯება. თანაც, ის ძალზე ტექნიკურია და მოედანზე შოუსაც ქმნის. ტიფოზებს დიეგო უზომოდ უყვართ, რაც აბსოლუტურად გასაგებია. მილიტო დერბისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა, ცდილობდა, გულშემატკივრებთან ნაკლები კონტაქტი ჰქონოდა და კონცენტრირებული ყოფილიყო. არგენტინელი საქმეს პროფესიულად უდგება, რაც ყველაზე მეტად მომწონს.

**- მატჩის შემდეგ გენუის ერთი ნაწილი ჭკუიდან შეიშალა, ქალაქის ქუჩებში ზეიმი დილამდე გაგრძელდა...**

- სანამ ჩვენს ტიფოზებზე ვიტყოდე, მინდა, მადლობა გადავუხადო „სამპდორიის“ გულშემატკივრებს. მატჩამდე ბევრი ლაპარაკობდა უსაფრთხოებაზე, განსაკუთრებულ ზომებზე, რისი საჭიროებაც ნამდვილად არ ყოფილა. „სამპის“ ქომაგებმა გულმხურვალედ დაუჭირეს მხარი საყვარელ გუნდს და მარცხსაც ღირსეულად შეხვდნენ. რაც შეეხება „ჯენოას“ მხარდამჭერებს, მათთვის გუნდი ცხოვრების ნაწილია და პირველ რიგში, სწორედ ის მახარებს, რომ დერბის მოგებით ტიფოზებს ვასიამოვნეთ. „ჯენოა“ რომ განსაკუთრებით კარგად თამაშობს საკუთარ მოედანზე, ამაში ლომის წილი სწორედ გულშემატკივრებს მიუძღვით. ისინი სტადიონზე ფანტასტიკურ ატმოსფეროს ქმნიან და სტიმულს გვაძლევენ. სწორედ ამიტომაა, რომ მატჩიდან მატჩამდე უკეთ ვითამაშოთ.

**- ზამთრის სატრანსფერო ბაზარი მალე გაიხსნება. გაძლიერებას არ აპირებთ?**

- შესაძლოა, ორი-სამი ფეხბურთელი დავიმატოთ, მაგრამ მათ შორის ცნობილ გვარებს ნამდვილად ვერ აღმოაჩენთ. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ექსტრაკლასის ფეხბურთელები ვიყიდოთ. ვფიქრობ, კლუბის მესვეურებმა შეუძლებელი შეძლეს და გასულ ზაფხულს ორი უმაღლესი კალიბრის ფეხბურთელი გადმოიყვანეს - დიეგო მილიტოსა და ტიაგო მოტას ვგულისხმობ. გუნდში მათი როლი განუზომელია და იმედია, „ჯენოაში“ ისინი კიდევ დიდხანს დარჩებიან.

**- ალბათ, გული დაგწყდათ, რომ „მილანმა“ მარკო ბორიელოს დაბრუნება გადაწყვიტა, ის ხომ გუნდის უდავო ლიდერი იყო...**

- რა თქმა უნდა, დასანანია, თუმცა ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით. მარკომ გასული სეზონი დიდებულად ჩაატარა და ცხადი იყო, რომ „მილანი“ მას ჩვენთან არ დატოვებდა. არადა, ბორიელო-მილიტოს შემტევი დუეტით დიდი სიმაღლეების დაპყრობაც შეგვეძლო. ვფიქრობ, თავად მარკოსთვისაც უკეთესი იქნებოდა, რომ „ჯენოაში“ დარჩენილიყო. დღეს ის ძირითადად „მილანის“ სათადარიგოთა სკამზე ზის. მან ეროვნულ გუნდშიც დაკარგა ადგილი, რაც სწორედ უთამაშებლობის ბრალია... ყველა შემთხვევაში, მარკოს მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ.

**- „ჯენოა“ ფეხბურთის მოყვარულებში უფრო და უფრო სიმპათიებს იმსახურებს. საით მიდის ეს გუნდი? არის კი შემუშავებული ხანგრძლივი პროექტი, როგორიც, ვთქვათ, „ფიორენტინას“ აქვს?**

- ბუნებრივია, გვაქვს ასეთი პროექტი, თუმცა უმჯობესია, ამ თემაზე კლუბის ხელმძღვანელებს ჰკითხოთ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მიზანი მუდმივი პროგრესია, რის ხარჯზეც ევროპული მასშტაბით გუნდი კონკურენტუნარიანი და სტაბილური უნდა გახდეს. ძალიან მიხარია, რომ ამ გზაზე ჩემი როლი მაკისრია და არცთუ პატარა. კლუბის მესვეურთა მხრიდან უდიდეს მხარდაჭერასა და ნდობას ვგრძნობ, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ვინ მოიგებს სკუდეტოს?**

- სკუდეტოსთვის სამი გუნდი იბრძოლებს და მგონი, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება. ერთი შეხედვით, ყველაზე მძლავრად „ინტერი“ გამოიყურება, მაგრამ ასე მარტივადაც არ არის საქმე. დარწმუნებული ვარ, „მილანი“ ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმას მიაღწევს და გამარჯვებათა სერიაც ექნება. არც „იუვენტუსის“ ჩამოწერა შეიძლება... ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინაა.

**- საინტერესოა, რომელი გუნდი დაიკავებს მეოთხე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილს? იქნებ, ეს „ჯენოაც“ იყოს?**

- ნურაფერს გამორიცხავთ...

იძულებითი შვებულება

# გატუზოს ოცნება უეფას ფინალია

*„კატანიასთან“ შეხვედრაში „მილანის“ ნახევარმცველმა* ***ჯენარო გატუზომ*** *უმძიმესი ტრავმა მიიღო და ფეხბურთს მთელი ექვსი თვით ჩამოშორდა. გუშინ, იტალიურ პრესაში რინოს კომენტარები გამოქვეყნდა, რომელიც მის ტრავმასა და სამომავლო გეგმებს ეხება. აი, რას ამბობს ჯენარო:*

*„ტრავმა მართლაც სერიოზულია, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ვქმნი. ვიცი, რომ ასეთი რამ არაერთ ფეხბურთელს დაემართა და მკურნალობის პროცესიც განსაკუთრებული პრობლემების გარეშე განვლო. დასანანია, რომ უწყინარ სიტუაციაში დავშავდი, ფეხი ბალახს უხეიროდ გამოვდე და ასეთი შედეგი მივიღე. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ თანაგუნდელებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ დავეხმარები. არადა, წინ მთელი სეზონია, „მილანი“ კი ორ ფრონტზე იბრძვის. იმედია, გუნდი წარმატებით გააგრძელებს ასპარეზობას და სკუდეტოსთვის ბოლომდე იბრძოლებს. რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოვიპოვოთ, რომ მომავალ სეზონში ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირს დავუბრუნდეთ. უახლოეს დღეებში, გუნდის ექიმი მკურნალობის კურსს დამინიშნავს და მეც ამ გეგმის მიხედვით ვიმოქმედებ. ვეცდები, ყველაფერი ზედმიწევნით კარგად შევასრულო და სარეაბილიტაციო კურსი დაჩქარებული ტემპით ჩავიტარო. თუ ყველაფერი კარგად იქნა, მაისში სრულ მზადყოფნაში ვიქნები. ჩემი ოცნებაა უეფას თასის ფინალში ვითამაშო და ამ ტროფეის მოგებაში თანაგუნდელებს დავეხმარო. ასეთი მძიმე ტრავმა არასდროს მქონია, ვეცდები, უქმე დღეები ნაყოფიერად გამოვიყენო და ოჯახს მეტი დრო დავუთმო“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა,
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012

# უკრაინა ევროპას ღირსეულად უმასპინძლებს

## ...თუმცა დნეპროპეტროვსკში სამუშაოები შეჩერდა




**პოლონეთისა და უკრაინის ერთობლივი პროექტი ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წინ მიდის**

გუშინწინ დნეპროპეტროვსკის მხარის გუბერნატორმა **ვიქტორ ბონდარმა** გამოაცხადა, რომ მძიმე ფინანსური პრობლემების გამო, ევრო 2012-ისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს წყვეტს. ბონდარის პროგნოზით, მშენებლობები, მინიმუმ, 6-8 თვე შეჩერდება. *„ახალი მშენებლობებისთვის ხელის მოკიდება არავის სურს. ძალზე გაჭირდა კრედიტების მოზიდვა. თუნდაც კრედიტი ვინმემ გაიმეტოს, ვალად აღებული ფულით ჯერ პროექტების მომზადება, შემდეგ კი მშენებლობებისთვის ხელის მოკიდება რთული საქმეა. საკუთარი ფული კი არც ერთ სამშენებლო კომპანიას და არც ჩვენს მთავრობას არ აქვს“*, - განაცხადა ჩინოვნიკმა.

ყველაზე დიდი პრობლემა დნეპროპეტროვსკის აეროპორტის რეკონსტრუქციაა. კომპანია, რომელიც აეროპორტს ფლობს, თითქმის გაკოტრებულია და დამოუკიდებლად რაიმე სამუშაოს ჩატარება არ შეუძლია. უკრაინული მხარის გათვლით, ქალაქმა ევროპის ჩემპიონატის სამ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს. თითოეული მატჩისას ქალაქს, სავარაუდოდ, ასი ათასამდე ადამიანი ესტუმრება. მზად გახლავთ თუ არა რეგიონი ტურისტთა ამხელა ნაკადის მისაღებად? ეჭვია, რომ არა. თანაც გასათვალისწინებელია გერმანიისა და ავსტრია-შვეიცარიის მაგალითი. ამ ქვეყნებში იმაზე მეტი გულშემატკივარი ჩავიდა, ვიდრე ელოდნენ და ქალაქების მთავრობები იძულებულნი გახდნენ, გასართობ პარკებსა და სკვერებში კარვები გაეშალათ. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც რეგიონის მმართველს საიმედოდ განაწყობს, დასრულებული სტადიონია. მიმდინარე წლის 14 სექტემბერს „დნიპრო არენა“ საზეიმოდ გაიხსნა.

გარდა დნეპროპეტროვსკისა, პრობლემები უხვადაა უკრაინის სხვა ქალაქებშიც. კიევის ცენტრალური არენის სარეკონსტრუქციო ხარჯები ფედერალურმა მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო. რაც შეეხება სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს - კონკრეტულად კიევში სერიოზულად შეყოვნდა სასტუმროების მშენებლობის პროცესი. უკრაინის ვიცე-პრემიერმა **ივან ვასიუნიკმა** განაცხადა, რომ მთავრობა სასტუმროების მშენებელი ფირმების წახალისებაზე ფიქრობს.

ჯერ კიდევ მარტსა და ივლისში უკრაინასა და პოლონეთს უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** სტუმრობდა. მან გააფრთხილა ქვეყნების მთავრობები, რომ თუ მზადების ტემპები არ გაიზრდებოდა, შეიძლებოდა, ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლებას გამოთხოვებოდნენ. მერე მსოფლიოში გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რომლის შეჩერებას განვითარებული სამყარო ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს. ბუნებრივია, ამ ვითარებამ უკრაინასა და პოლონეთსაც დაატყო ხელი, თუმცა უკრაინის პრეზიდენტი **ვიქტორ იუშჩენკო** ყველაფერს აკეთებს, რათა კრიზისი, რაც შეიძლება, ნაკლებად შეეხოს ევრო 2012-ის პროექტს.

ამ დღეებში უკრაინის სპორტის მინისტრმა **იური პავლენკომ** ხარკოვში მიმდინარე სამუშაოები მოინახულა. ამ ქალაქში პარალელურად მიმდინარეობს „მეტალისტის“ სტადიონის, ბავშვთა საფეხბურთო აკადემიისა და აეროპორტის (აეროპორტების თემას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით) მშენებლობა. ქალაქში პოზიტიური დინამიკა შეიგრძნობაო, მოკლედ მოუჭრა მინისტრმა ჟურნალისტებს. *„აქაური ტემპი შესანიშნავ განწყობაზე გვაყენებს. ხარკოვს შესანიშნავი შანსი აქვს, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ქალაქი გახდეს“*, - განაცხადა პავლენკომ. ყველაზე სასიამოვნო ის გახლავთ, რომ რეგიონის მმართველების მიერ მოზიდული თანხების წყალობით, სტადიონი ვადაზე ექვსი თვით ადრე ჩაბარდება, რაც უკრაინის, როგორც მასპინძლის იმიჯზე, დადებითად მოქმედებს. მოგეხსენებათ, უეფას 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ძირითადი და სათადარიგო მასპინძელი ქალაქების ცნება გაუქმდა. მთავარია, თავად როგორ მოემზადებიან კონკრეტული ქალაქები. ასე რომ, ჩემპიონატის მასპინძლობის შანსი ჯერ კიდევ ყველა დიდ ქალაქს აქვს.

გარდა ხარკოვისა, სტადიონის მშენებლობას იწყებენ ლვოვშიც - საძირკველი თებერვალში გაითხრება. ქალაქში სპეციალური რეისით ჩავიდა მატარებლის უზარმაზარი შემადგენლობა, რომელმაც 28 ერთეული მძიმე სამშენებლო მანქანა ჩაიტანა. *„სამდღიანი მოგზაურობის შემდეგ ორი კოშკურა ამწე, ექსკავატორები და თვითმცლელები უვნებლად ჩავიბარეთ“*, - განაცხადა სამშენებლო პროცესის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **იგორ სემენოვმა**. მეორე პასუხისმგებელი პირის **ვიტალი სულიმას** თქმით კი: *„არანაირი ჩავარდნა სამშენებლო პროცესში არ იქნება. სტადიონს დათქმულ დროში ჩავაბარებთ...“*

ზემოთ შეგპირდით, რომ აეროპორტების საკითხს კიდევ დავუბრუნდებოდით. მაშ ასე: მათი რეაბილიტაციის უმნიშვნელოვანეს პროცესს მთავრობის მხრიდან სპეციალური ზედამხედველი ჰყავს. ეს არის ბატონი **კირილ პოლიშჩუკი**. გთავაზობთ მის განცხადებას: *„შემიძლია, ნებისმიერ მსურველს ნარწმუნო მტკიცებულება, რომ მთავრობის მიერ შეპირებული ორ მილიარდამდე გრივნა (300 მილიონ ევრომდე) მთლიანად არის გამოყოფილი. აუცილებელი სამუშაოების მცირე ნაწილი შეკვეთის ამღებმა ფირმებმა ვერ შეასრულეს, მაგრამ ეს არ არის გადაულახავი პრობლემა. 15-დან 19 დეკემბრამდე სამ ქალაქში - ლვოვში, კიევსა და დონეცკში უეფას სპეციალური კომისია ჩამოვა, რათა აეროპორტების მშენებლობის პროცესი ნახოს. მათ დასკვნას მაისში გავეცნობით. უკრაინელებმა უნდა გავითვალისწინოთ, რომ უეფას მიერ არ დაწესებულა რაიმე სახის პარიტეტი. ცნობილია ერთი რამ: ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ 12 ქალაქია საჭირო. თუ პოლონეთის 10 ქალაქი უკეთ იქნება მზად, ჩვენ ორი მასპინძელი ქალაქილა დაგვრჩება. უკეთ მომზადებაში ვგულისხმობ სრულ კომპლექსს: საერთაშორისო აეროპორტს, კომფორტულ სტადიონს, სასტუმროების განვითარებულ ქსელს და ასე შემდეგ. ერთადერთი აეროპორტი, რომელიც ჩვენს უკმაყოფილებას იწვევს, დნეპროპეტროვსკია“*.

გუშინწინ, შვეიცარიაში საორგანიზაციო საკითხების უკეთ კოორდინაციისათვის პოლონური და უკრაინული მხარეები შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრას, რა თქმა უნდა, უეფას მაღალჩინოსნებიც დაესწრნენ, მათ შორის - პრეზიდენტი **მიშელ პლატინი**. პლატინიმ გამოთქვა რწმენა, რომ პრობლემების მიუხედავად, პოლონეთი და უკრაინა ღირსეულად უმასპინძლებენ გრანდიოზულ ტურნირს. მხარეებმა პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უკვე მიიღეს: 2010 წლის იანვარში ტურნირის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა პოლონეთში შედგება. კონკრეტული თარიღი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხებისა, უეფამ პოლონეთისა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებს, **გრიგორი სურკისსა და გჟეგოშ ლატოს** დაავალა, სხდომისთვის მოემზადებინათ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ანალიზი. სურკისის განცხადებით, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ უეფას ამ ორ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ყოველმხრივ აინტერესებს, რადგან პასუხისმგებლობა ევრო 2012-ის პროექტზე მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციებს არ აუღიათ. თავის მხრივ, ბატონმა სურკისმა შეახსენა პოლიტიკურ ძალებს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის ყველას ძალისხმევაა საჭირო, რათა ქვეყანამ ღირსეულად მოახერხოს აღებული ტვირთის ზიდვა.

ამბები

### სანდერლენდი: ბინი თუ ადრიაანსე?

„სანდერლენდმა“ როი კინის მემკვიდრეს ჯერ ვერ მიაგნო. კლუბის ხელმძღვანელობა უკვე დაუკავშირდა **სემ ელერდაისს, ალან კერბიშლის, პიტერ რიდს**... მაგრამ საიმედო ჯერ არაფერი ისმის. „შავმა კატებმა“ საერთო ენა ჯერ ვერც ერთ მათგანთან გამონახეს. სულ ახლახან **ნაიალ ქუინი** ჰოლანდიური „ნაიმეგენის“ მთავარ მწვრთნელ **მარიო ბინსაც** დაუკავშირდა. ამ უკანასკნელს კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. სპეციალისტის პასუხი უცნობია.

რაც შეეხება კიდევ ერთ ჰოლანდიელ მწვრთნელს, ავსტრიული „რედ ბულის“ დამრიგებელმა **კო ადრიაანსემ** ინგლისში საეჭვო პერსპექტივის გუნდთან მუშაობაზე თავაზიანი უარი თქვა, განაცხადა რა, რომ წლის ბოლოს ის ზალცბურგელებთან ხელშეკრულების გაგრძელებას აპირებს. ამჟამად „რედ ბული“ 21 ტურის შემდეგ 46 ქულით პირველ ადგილზეა და მეორეადგილოსან „რაპიდს“ მთელი ხუთი ქულით უსწრებს.

### შახტარის ბიუჯეტი შემცირდება

დონეცკის „შახტარის“ გენერალური დირექტორის **სერგეი პალკინის** ინფორმაციით კლუბის ბიუჯეტი სერიოზულად შემცირდება და ამას აქვს თავისი ახსნა: უკრაინის ხელისუფლებამ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ვერ მოახერხა გრივნის კურსის შენარჩუნება, ხოლო მრავალი პროექტი, რომელსაც კლუბი გეგმავდა, სწორედ ეროვნულ ვალუტის კურსზე იყო გათვლილი, შესაბამისად, წლიური ბიუჯეტისთვის გამოყოფილი 65 მილიონი დოლარი რეალურად 54-55 მილიონამდე შემცირდება. პალკინი სიამაყით აღნიშნავს, რომ ყველანაირ შიდარესპუბლიკურ ხარჯს კლუბი სწორედ გრივნით ისტუმრებს, მათ შორის ფეხბურთელთა ხელფასებსაც. ასე რომ, დოლარებში ბიუჯეტის შემცირება სავსებით ლოგიკურია.

### საუკეთესო აფრიკელს იანვარში გამოავლენენ

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აფრიკის საფეხბურთო კავშირმა მიმდინარე წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოება 23 იანვრისთვის გადაიტანა, - გვამცნობს „როიტერი“. შეგახსენებთ, რომ საპატიო ჯილდოს პრეტენდენტთა სია ასე გამოიყურება: **დიდიე დროგბა** („ჩელსი“, კოტ დივუარი), **მიკაელ ესიენი** („ჩელსი“, განა), **ემანუელ ადებაიორი** („არსენალი“, ტოგო), **ამრ ზაქი** („ვიგანი“, ეგვიპტე), **მოჰამედ აბუტრიკა** („ალ აჰლი“, ეგვიპტე). აღნიშნული პრიზი 1993 წლიდან თამაშდება. აი, ჯილდოს ყველა მფლობელი: 1993 - **რაშიდ იეკინი** (ნიგერია), 1994 - **ემანუელ ამუნიკე** (ნიგერია), 1995 - **ჯორჯ ვეა** (ლიბერია), 1996 - **ნვანკვო კანუ** (ნიგერია), 1997 - **ვიქტორ იკპება** (ნიგერია), 1998 - **მუსტაფა ჰაჯი** (მაროკო), 1999 - **ნვანკვო კანუ** (ნიგერია), 2000 - **პატრიკ მბომა** (კამერუნი), 2001-02 - **ელჰაჯი დიუფი** (სენეგალი), 2003-04-05 - **სამუელ ეტოო** (კამერუნი), 2006 - **დიდიე დროგბა** (კოტ დივუარი), 2007 - **ფრედერიკ კანუტე** (მალი).

პრობლემა

# კემპბელი, რასისტული სკანდალის ეპიცენტრში

## პოლიცია გულშემატკივრებისაგან მოქალაქეობრივი ვალის მოხდას ითხოვს

28 სექტემბერს, პორტსმუთის „ფრეტონ პარკს“ „ტოტენჰემი“ ეწვია და 0:2 დამარცხდა. კრიზისში ჩაფლული ლონდონური კლუბისაგან სუსტი თამაში არავის გაჰკვირვებია. თამაშის ხარისხი მეტისმეტად დაბალი იყო. რომ არა სტუმარი ფანების აღმაშფოთებელი საქციელი, ის მალე მიეცემოდა დავიწყებას.

რა მოხდა ასეთი? მოგეხსენებათ, ოდესღაც „ტოტენჰემის“ კაპიტანი **სოლ კემპბელი** ამჟამად „პორტსმუთის“ ღირსებას იცავს. ფეხბურთელმა „მამლები“ ჯერ კიდევ 2001 წელს დატოვა და „არსენალში“ გადაბარგდა, სადაც ხუთი წარმატებული წელიწადი გაატარა. „ტოტენჰემის“ გულშემატკივართათვის უფრო საძულველი კლუბი, ვიდრე „მეთოფეებია“, დედამიწის ზურგზე არ არსებობს. შესაბამისად, კაპიტნის ასეთმა „აღმაშფოთებელმა“ საქციელმა ისინი ბოლომდე აავსო. დღემდე, როცა კი კემპბელი „უაით ჰართ ლეინზე“ თამაშობს, მას სტვენით იკლებენ.

მაგრამ ერთია სტვენა და მეორეა ის, რაც 28 სექტემბერს მოხდა. იმ საღამოს, სტვენასა და სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად, ფეხბურთელის მიმართ რასისტული შეძახილები ისმოდა. სტადიონზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების წყალობით, პოლიციამ რასისტი გულშემატკივრის სახეები ამოიცნო და თექვსმეტივე მათგანს ეძებს.

აი, რას აცხადებს პოლიციის გამომძიებელი **ნილ შერინგტონი**: *„ხსენებული 16 ადამიანი განსაკუთრებით აქტიურობდნენ. პირობას ვიძლევით, რომ ყველა მათგანს სასამართლოში მივაბრძანებთ. სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი უმსგავსობის მოთმენას არავინ აპირებს. მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს, მოიხადეთ თქვენი ვალი სახელმწიფოს წინაშე და დაგვეხმარეთ ეჭვმიტანილთა დაკავებაში“*.

გაცნობებთ, რომ წესი, რომელიც სპორტული ღონისძიებების დროს რასისტულ გამოხტომებს დევნის, ბრიტანულ კანონმდებლობაში 1991 წლიდან მოქმედებს და ითვალისწინებს ათასი გირვანქის ჯარიმასა და ცხოვრების ბოლომდე შეჯიბრებებზე დასწრების უფლების ჩამორთმევას.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**




სოლ კემპბელის შეურაცხყოფისათვის 16 გულშემატკივარი დღემდე იძებნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეოკ-ი

ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან

# ჩემში ის შეიცვალა, რომ მეტი მონდომებით ვმუშაობ

## პრინცი ალბერტი სეოკ-ის საიუბილეოდ გვეწვევა



მონაკო. მარცხნიდან: რამაზ გოგლიძე, პრინცი ალბერტი და გია ნაცვლიშვილი

**ჯერ სრული თვე-ნახევარიც არ გასულა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბოლო ყრილობიდან, რომელმაც ამ ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელობა აირჩია.**

**- რა შეიცვალა თქვენში ყრილობის შემდეგ? - ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი სეოკ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტთან, გია ნაცვლიშვილთან. იქვე დავძინეთ, რომ ვგულისხმობდით საარჩევნო პერიოდის განწყობილებას და შემართებას, ენერგიულობას, მოვლენების შუაგულში ტრიალს და ა.შ.**

- პირდაპირ გეტყვით, აქტიურმა წინასაარჩევნო კამპანიამ ბევრი რამ დამანახვა, ბევრ რამეზე დამაფიქრა, ამას შემდეგ დაემატა სეოკ-ის წევრთა ნდობა და მუშაობას მეტი მონდომებით და ენერგიით შევუდექი. აი, ეს შეიცვალა.

**- კეთილი, მაშინ პირდაპირ შედეგზე გადავიდეთ, რისი გაკეთება მოესწრო?**

- წმინდა სპორტულ სფეროს რაც შეეხება, კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ახლოვდება 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადა. სპორტის დეპარტამენტთან ერთად მოციგავეებს მივეცით შანსი, შესაბამის ტურნირებში მოიპოვონ ლიცენზია. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ევროპის ზამთრის და ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის კარგად მოვემზადოთ. როგორც იცით, თბილისის მერიის თანადგომით წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები უკრაინაში გამოდიოდა. დეკემბრის დასაწყისიდან იტალიაშია და იქვე შეკრებაზე რჩება ჩვენი უბერებელი აფროსანი გურამ ბიგანიშვილი. შინ კი ახალ ნავთან ერთად დაბრუნდება. მეწყვილედ სამი კანდიდატი ჰყავს შერჩეული.

**- აპირებს ჩვენი ვეტერანი ლონდონის ოლიმპიადაში მონაწილეობას?**

- აპირებს და ძალიან თავდაჯერებულია, რომ წარმატებასაც მიაღწევს.

**- გავიგეთ, რომ ამ შენობაში, ალმაშენებელზე, ბოლო დღეებს ითვლის სეოკ-ის ოფისი...**

- დიახ, ახალ წლამდე გვინდა ახალ შენობაში გადავიდეთ, დოლიძის ქუჩის დასაწყისში. ოფისი, სადაც სეოკ-მა ამდენი წელი გაატარა, კარგ ადგილზეა, ლამაზი ნაგებობაა, მაგრამ მოუხერხებელია, ადგილიც არ გვყოფნის. სეოკ-ის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი ახლა მოქმედი ფუნქციონერია, თითოეულს თავისი ფუნქცია, მოვალეობა და ამოცანა აქვს და მათ ნორმალური სამუშაო პირობები სჭირდებათ. აქვე გეტყვით, რომ ახალი ოფისისთვის შესაფერისი ბინა ქვეყნის პრეზიდენტმა გამოგვიყო სიმბოლურ ფასად.

**- საქართველოში ოლიმპიური სპორტის განვითარების თქვენი გეგმები ყველასთვის ცნობილია. როგორ აპირებთ ფინანსურ უზრუნველყოფას?**

- პირველი შემთხვევაა, როცა სახელმწიფომ ბიუჯეტში გაითვალისწინა ხარჯები. თითოეული თეთრი მკაცრად იქნება გაწერილი მიზნობრივად, პროგრამების მიხედვით, რამაც საბოლოო ჯამში ოლიმპიური ლიცენზიებისა და ოლიმპიური მედლების ზრდა უნდა უზრუნველყოს.

**- ადრე თქვენ მეცენატების თანადგომაზეც ლაპარაკობდით.**

- ესეც რეალურია. სულ მალე, 24 დეკემბერს, შედგება „მეცენატთა ოლიმპიური დარბაზის" პრეზენტაცია. ცნობილია ის 10 კომპანია, რომელიც წელიწადში წილობრივად მილიონ ლარს გაიღებს. დარბაზი თანხას თავად განკარგავს, დააფინანსებს ჩვენ მიერ რეკომენდებულ პროგრამებს. ასე რომ, თავად იქნებიან ჩართული ოლიმპიური მოძრაობის პროცესში. მადლობა მათ მთელი მსოფლისთვის ამ ურთულეს ეკონომიკურ პირობებში თანადგომისთვის.

**- აგრძელებთ თუ არა ფედერაციებთან შეხვედრებს?**

- რა თქმა უნდა. წინასაარჩევნო დაპირებების დრო წავიდა. ახლა საქმიან ურთიერთობებზე გადავედით. ასეთი შეხვედრები, რაღა თქმა უნდა, ძველი და ახალი დაპირების რეალიზაციის გზების ერთობლივი ძიებაცაა.

**- რა იყო თქვენთვის, როგორც სეოკ-ის ახალარჩეული პრეზიდენტისთვის მოულოდნელი?**

- სამუშაო პირობები და მუშაობის სისტემა.

**- სასიამოვნო მოულოდნელობა?**

- ერთსულოვანი ნდობა, თანადგომა. ჩვენთან ახლა მუდამ ხალხმრავლობაა. ყველამ იგრძნო, რომ ეს მათი ოჯახია. ყველა აქტიურობს. საქმე კი ყოველთვის ყველასთვის გამოინახება.

**- თქვენი ყოფილი ოპონენტებიც აქტიურობენ?**

- საარჩევნო კამპანია და არჩევნები წარსულს ჩაჰბარდა. ახლა ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით. შევხვდი ბეჟან ხურციძეს, ლევან ახვლედიანს, მალე შევხვდები კახა ბასილიას. ისინი ფედერაციის პრეზიდენტები არიან და პრობლემები ერთად უნდა მოვაგვაროთ.

**- საკადრო ცვლილებებს ხომ არ აპირებთ?**

- როცა საქმეს კომპეტენტური ადამიანები ემსახურებიან, კი არ უნდა შეცვალო, უნდა დააფასო.

**- სოჭთან დაკავშირებითაც მინდა გკითხოთ. რა ხდება?**

- რაც ხდება რეგიონში, ხომ ხედავთ. დღე არ გავა ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთსა თუ დაღესტანში, გნებავთ ჩვენს კონფლიქტურ ზონებში, რაიმე ტრაგიკული არ მოხდეს. ვინ იძლევა გარანტიას, რომ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის ყველაფერი კარგად იქნება?

**- ჩვენ შევხვდით, რამდენიმე ცნობილ სპორტსმენს, რომელსაც სერიოზულად განუზრახავს არასამთავრობო ორგანიზაციის „სპორტსმენები მშვიდობისთვის" შექმნა. ეს ორგანიზაცია, რამდენადაც ვიცით, შეაგროვებს ყველა ინფორმაციას, რაც საფრთხეს უქადის სოჭის ოლიმპიადას და მიაწვდიან როგორც საერთაშორისო, ისე ცალკეული ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციებს, ალბათ, სახელმწიფო სტრუქტურებსაც.**

- დიახ, ეს ჩვენც ვიცით. ცხადია, სპორტსმენთა აქტივობას ხელს ვერ შევუშლით. ისიც ვიცით, რომ ამ ორგანიზაციას სათავეში შეიძლება ჩვენი ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში, გელა კეტაშვილი ჩაუდგეს.

**- ქალთა სპორტი ცოტა ჩრდილში მოექცა, თქვენ რას იტყვით?**

- ამ პრობლემაზე სერიოზულად ვფიქრობთ. მხატვრული ტანვარჯიშის ტრადიციების აღორძინება უკვე დგას დღის წესრიგში. სხვა სახეობებსაც მივხედავთ.

**- სერიოზულად განიხილება თუ არა ნაკრებ გუნდებში უცხოელ სპეციალისტთა მოწვევის საკითხი?**

- ეს მსოფლიო პრაქტიკაა და მიუღებელი ამაში არაფერია. ვიფიქრებთ, ვიმსჯელებთ და როგორც საქმეს წაადგება, ისე ვიმოქმედებთ. აუცილებელი არ არის, უცხოელი კარგი სპეციალისტი მხოლოდ მწვრთნელად მოიწვიო. ზოგიერთს გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიყვანთ. მოკლევადიან სემინარებზე ჩვენები გაეცნობიან სიახლეებს. ეს სწორი გზაა სპორტის სახეობების გასაძლიერებლად.

**- რეზო ჩომახიძეს მწვრთნელად იწვევთ?**

- არა, გვინდოდა, წყალბურთის ამ თანამედროვე ლეგენდისთვის მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქცია შეგვეთავაზებინა. ახლა, ვფიქრობთ, ჯერ მოთამაშედ მოვიწვიოთ, გუნდი გავაძლიეროთ. 2010 წლიდან გეგმაში გვაქვს უცხოეთის კლუბებთან მიმოსვლითი მატჩების ჩატარება.

**- თვით ქვეყნის შიგნით კადრების მომზადებაზე რას იტყვით? სპორტის აკადემიის ბედის ამბავი მოგეხსენებათ...**

- ყრილობაზე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ - ჩვენ გვჭირდება უმაღლესი განათლების მწვრთნელები, გვჭირდება მეცნიერება. მის გარეშე ქართული სპორტი ნულზე დავა. მაგრამ საჭიროა კადრების მომზადებაში სიახლე. რა და როგორ, ეს იმათი გადასაწყვეტია, ვინც მუშაობენ ამ საკითხზე. ჩვენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვართ და თუ სადმე ჩემი სიტყვა იქნება სათქმელი - ვიტყვი, თუ რამე იქნება გასაკეთებელი - გავაკეთებ.

**- გაისად სეოკ-ის დაფუძნებიდან 20 წელი სრულდება. რა ღონისძიებები იგეგმება?**

- ჯერჯერობით ერთს გეტყვით, საიუბილეო თარიღს ღირსეულად აღვნიშნავთ. კონკრეტული საქმეები წინ გვაქვს.

*საუბრის დასრულებისას მასპინძელმა გვითხრა, რომ სეოკ-ის 20 წლის იუბილეზე მონაკოს პრინცი ალბერტ II მოიწვიეს, რაც პრინცმა ამ დღეებში მისივე პატრონაჟობით გამართულ საერთაშორისო ფორუმზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციისგან მიიღო და თანხმობაც განაცხადა. ცხადია, ამ ღონისძიებითაც დავინტერესდით. აი, რა თქვა გია ნაცვლიშვილმა: „მშვიდობა და სპორტი" ასეთი იყო ფორუმის დევიზი, ძირითადი თემა - კონფლიქტურ ზონებში სპორტის მშვიდობის სამსახურში ჩაყენების გზების ძიება. ცხადია, ყურადღების ცენტრში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა იყო. ფორუმზე კიდევ ერთხელ მყარად დავაფიქსირეთ ჩვენი საზოგადოებრიობისთვის კარგად ცნობილი პოზიცია. ეს იყო ამ შინაარსის მეორე თავყრილობა. ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები აფრიკაში, ავღანეთში, აგრეთვე ისრაელ-პალესტინის და სამხრეთ-თურქეთის ურთიერთობის დარეგულირებაში, შეფასდა დადებითად. საინტერესო იყო სექციური მუშაობა თემაზე: „ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, საერთაშორისო ფედერაციები და ეროვნული ფედერაციები - ურთიერთთანამშრომლობა მშვიდობისთვის", რომელიც ასევე ფორუმის ეგიდით ჩატარდა.*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

---

ძიუდო
დიდი სპორტის კარიბჭესთან




# მამის გზით

**ქურმუხში წმინდა გიორგის ყოველ დღესასწაულზე უამრავი ხალხი იყრის ხოლმე თავს. ზეიმი, ტრადიციულად, ქართული ჭიდაობით მთავრდება. იმ დღესაც სტუმარ-მასპინძლებმა სოფლის ნახერხმოყრილ სარბიელს მიაშურეს. პატარა ბიჭები ცნობილ ძიუდოისტს, ათენის ოლიმპიადისა და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს, ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულსა და პრიზიორ ნესტორ ხერგიანს შემოხვეოდნენ. მთელი ჯალაბით ცოლოურს ჩასული ფალავანიც ხალისით არიგებდა ავტოგრაფებს.**

- ნესტორ, შენი ვაჟი არ ვაჭიდაოთ? - ჰკითხა ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

- ისევ თუ არ დაიმორცხვებს, საწინაალმდეგო რა მაქვს.

- ეგ საქმე მე მომანდეთ, - ჩაერია საუბარში იქვე მდგომი ნესტორის ცოლისძმა, რომელმაც მაშინვე დისშვილი იხმო.

- ირაკლი, დღეს უნდა გვასახელო. რას იტყვი?

ბიჭმა მამას შეხედა. უხმოდ მიიღო დასტური.

რამდენიმე წუთის შემდეგ 10 წლის ირაკლი ხერგიანი საჭიდაო წრეში იდგა და ზედიზედ ამარცხებდა თანატოლებს.

- ოთხ მეტოქეს ვძლიე და 29 კილოში პირველი ადგილი დავიკავე, - მითხრა ირაკლიმ.

**- როგორ მოახერხე ყველა შეხვედრის სუფთად მოგება?**

- მე ხომ ორი წელიწადია, ძიუდოში ვაჟა ბალხამიშვილთან ვვარჯიშობ. ბევრი ფანდი ვიცი, ზოგი მამამ მასწავლა. ქურმუხში მეექვსე შეჯიბრება მოვიგე. პირველად შარშან მულახში (მესტია) ქვიტი დევდარიანის სახელობის ტურნირში გავიმარჯვე.

**- ჭიდაობაზე მისვლა ვინ გირჩია?**

- რჩევა რად მინდოდა, როცა მამა ძიუდოისტი მყავს. სამი წლისას ჩამაცვა კიმონო, მაგრამ მაშინდელი არაფერი მახსოვს. 2004 წლიდან კი მის ყველა ჭიდაობას ვუყურებ. ათენის ოლიმპიადიდან განსაკუთრებით ნახევარფინალური შეხვედრა დამამახსოვრდა ირანელთან. ლამაზად მოუგო.

**- ნესტორი ამბობს, ორთაბრძოლებს მირჩევს და მაკრიტიკებსო, მართალია?**

- ხუმრობს, აბა მე იმდენი რა ვიცი, რომ სხვა ვაკრიტიკო. ისე, ძალიან მინდა, ყველა შეჯიბრებაში გაიმარჯვოს. მეგონა, პეკინიდანაც მედლით დაბრუნდებოდა. გული დამწყდა. კიდევ კარგი, ევროპის ჩემპიონატზე დაიკავა მესამე ადგილი.

**- სულ ჭიდაობაზე ვლაპარაკობთ... ძიუდოს გარდა, რა გიტაცებს?**

- ფეხბურთი. როცა დრო მაქვს, ბიჭებთან ერთად ვთამაშობ კიდეც. ზოგჯერ ჩემპიონთა ლიგასაც ვუყურებ.

**- როგორ სწავლობ** (ირაკლი გიმნაზია „ოქროს აკვნის" მეხუთეკლასელია)?

- უკეთესი ნიშნები უნდა მყავდეს, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ ზოგჯერ ვერ ვასწრებ გაკვეთილების კარგად მომზადებას. ვაჟა მასწავლებელმა მისაყვედურა. ვეცდები, უკეთ ვისწავლო.

**- რაზე ოცნებობ?**

- ძალიან მინდა, რომ გავიზრდები, ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდე და მამაჩემივით მედალი მოვიპოვო.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# მაიამური მატჩებისას ზოგჯერ 20 ბილეთს ვყიდულობ

**რა უყვარს ზაზა ფაჩულიას, რითი ერთობა გასვლითი შეხვედრებისას და რატომ იყიდა ბინა მაინცდამაინც მაიამიში, ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტყობთ, თუ ქვემოთ შემოთავაზებულ ინტერვიუს წაიკითხავთ.**

**- ლაპარაკი ზედიზედ ოთხი გასვლითი მატჩით დავიწყოთ.**

- გამოგიტყდებით, გასვლითი შეხვედრები ძალიან მიყვარს, რადგან საშუალება მეძლევა უცხო ქალაქების დათვალიერებისა და სხვადასხვა შტატის ხალხის გაცნობისა. გასვლით მატჩებს კიდევ ერთი პლუსი აქვს: "ატლანტის" ყველა კალათბურთელი ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვიკვებებით. ეს გუნდურობაზე თამაშისასაც დადებითად მოქმედებს.

**- ტეხასის შტატზე რა აზრისა ხართ?**

- NBA -ში 2003 წლიდან ვთამაშობ და ტეხასის კარგად გაცნობაც მოვასწარი. აქაურობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი გარდა ერთისა – ძალიან ძლიერი საკალათბურთო გუნდები ჰყავს. სწორედ "სან ანტონიოსთან", "დალასთან" და "ჰიუსტონთან" შეხვედრებში ჩნდება ჩვენი მზადყოფნის დონე.

**- მოედანზე თქვენს თამაშს ყველა თვალ-ყურს ადევნებს. საინტერესოა, რას აკეთებთ მატჩების დასრულების შემდეგ.**

- პირველ რიგში, აუცილებელია ენერგიის აღდგენა, ამიტომ მეგობრებთან ერთად რესტორანში მივდივარ. შემდეგ ქალაქის დათვალიერებისა და მაღაზიებში შევლის დრო დგება. ვარჩევ ჯინსს და სხვა სამოსელს. ყოველთვის ვცდილობ ჩანთაში ადგილი დავტოვო, რათა სასურველი ტანისამოსის ნახვისას შინ წაღება მოვახერხო. საყიდლებზე სიარული ძალიან მიყვარს, ეს ჩემი ჰობია. ჩაცმულობას დიდ ყურადღებას იმიტომაც ვაქცევ, რომ როცა სახლიდან კარგად გამოწყობილი გავდივარ, თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**- მორიგი მატჩი მაიამიში გაქვთ. ბინა შეიძინეთ მაინცდამაინც მაიამიში, რატომ?**

- ეს ქალაქი ძალიან მიყვარს. იქ ვერასოდეს მოიწყენ, ბევრი მეგობარი მყავს და გართობა-დასვენებისთვის შესანიშნავი ადგილია. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან მიყვარს ზღვა. მაიამი კი ზაფხულში სანაპიროზე დასასვენებლად საუკეთესო ადგილია. ასევე მსიამოვნებს "მაიამი ჰიტის" წინააღმდეგ სტუმრად თამაში. "მაიამი"-"ატლანტის" მატჩებისას ჩემი მეგობრებისთვის ოცამდე ბილეთს ვყიდულობ. თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინაურ მოედანზე თამაშისას.

**- რამდენად დიდ ყურადღებას აქცევთ გასვლით შეხვედრებს?**

- გასულ სეზონში, პლეი ოფში "ბოსტონ სელტიქსს" დავუპირისპირდით. მასთან სამივე საშინაო შეხვედრა მოვიგეთ, გასვლაზე კი ყველა წავაგეთ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რეგულარულ ჩემპიონატში როგორც საშინაო, ასევე გასვლითი მატჩების მოგება, რათა აღმოსავლეთის კონფერენციაში ოთხეულში მოვხვდეთ და პლეი ოფის საწყის სტადიაზე მოედნის უპირატესობა დავიბევოთ. სეზონი კარგად დავიწყეთ, ექვსივე მატჩი მოვიგეთ, თუმცა მას შემდეგ ტრავმებმა შეგვაწუხა და წაგებებიც შემოგვეჩია. საწყისმა მატჩებმა გვიჩვენა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია გამარჯვება და მას შემდეგ თვითრწმენაც შეგვემატა. ახლა მთავარია, კიდევ უფრო მოვუმატოთ და რეგულარული ეტაპი დადებითი ბალანსით დავასრულოთ.

ვაჟა სიმონიშვილი






# 500 ჭაბუკი კიმონოში

რუსთავში, მერიის ხელშეწყობით, ქიმიკოსთა სპორტის სასახლის ტატამზე 1993-1994 და 1995-1997 წლებში დაბადებული 500-ზე მეტი ჭაბუკი ასპარეზობდა ახალგაზრდებს შორის ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონის ბადრი ყვავილაშვილის სახელობის ძიუდოისტთა ტურნირში.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს

**1995-1996 წწ. დაბადებულები**

**26 კგ**

1. ვლადიმერ მახიშვილი (დმანისი)
2. გიორგი ფირცხელიანი (მესტია)
3. გიორგი თუთიშვილი (ქუთაისი)
3. გიორგი ნატროშვილი (დედოფლისწ.)

**29 კგ**

1. ბაგრატ ნინიაშვილი (დმანისი)
2. ლევან შონია (ქუთაისი)
3. ლუკა ხერგიანი (მარნეული)
3. გიორგი ნიაზაშვილი (თბილისი)

**32 კგ**

1. გიორგი შუკვანი (მესტია)
2. გიორგი გოგოჩაშვილი (თბილისი)
3. დათო კვანჭიანი (გარდაბანი)
3. თორნიკე ნაგლიაშვილი (თბილისი)

**35 კ.**

1. დათო ახალმოსულაშვილი (გურჯაანი)
2. ლუკა მხეიძე (თბილისი)
3. რატი ასლანიშვილი (თბილისი)
3. გიორგი თანიაშვილი (დუშეთი)

**39 კგ**

1. ბაჩო ჭიკაიძე (დედოფლისწყარო)
2. ცოტნე წიკლაური (დედოფლისწყარო)
3. ზატო ცინდელიანი (ბოლნისი)
3. არჩილ გიგვანი (თბილისი)

**43 კგ.**

1. ირაკლი კაპანაძე (რუსთავი)
2. ილია გუთია (ზუგდიდი)
3. რეზო ნადირაძე (რუსთავი)
3. ანრი იოგიძე (ქუთაისი)

**47 კგ.**

1. ნიკა მამალაძე (ქუთაისი)
2. გიგა ფირცხალავა (ზუგდიდი)
3. გოგა ლომთაძე (ქუთაისი)
3. ლევან ჩხეტიანი (დმანისი)

**52 კგ.**

1. აპოლონ ზურაბიანი (თბილისი)
2. რატი გულაშვილი (თბილისი)
3. სოლომონ ჯოჯუა (ბოლნისი)
3. გიორგი გუგულაშვილი (თბილისი)

**+58 კგ.**

1. ჯაბა კაპანაძე (ქუთაისი)
2. ამირან ზირაძაძე (ქუთაისი)
3. ბექა დონღვანი (თბილისი)
3. გურამ თუშიშვილი (თბილისი)

**1993-1994 წწ. დაბადებულები**

**45 კგ.**

1. ბესარიონ ვაშაყმაძე (რუსთავი)
2. ლერი ჭელიძე (წყალტუბო)
3. ოთარ გაბუნია (ვანი)
3. გიორგი ნათათრალაშვილი (თბილისი)

**50 კგ.**

1. ტარიელ ნამგალაური (რუსთავი)
2. ლაშა კვირიკაშვილი (წყალტუბო)
3. ელდარ კვანჭიანი (ფოთი)
3. გივი ნადარეიშვილი (ფოთი)

**55 კგ.**

1. ლუხუმ ჩხვიმიანი (ზუგდიდი)
2. ბექა ჩართოლანი (მესტია)
3. ლეძსო ნადირაშვილი (თბილისი)
3. გია კვასტიანი (ქუთაისი)

**60 კგ.**

1. თომა თავზარაშვილი (თბილისი)
2. გურამ ნიკურაძე (სამტრედია)
3. ნუგზარ ძურასგელიანი (ქუთაისი)
3. ალეკო ონიანი (ქუთაისი)

**66 კგ.**

1. ფრიდონ გიგანი (ბოლნისი)
2. გაჩანა ტიტვინიძე (კრწანისი)
3. დავით კვაშილავა (ზუგდიდი)
3. რუსლან შავაძე (აჭარა)

**73 კგ.**

1. ბექა რატიანი (თბილისი)
2. შალვა ღვაჩლიანი (თბილისი)
3. თემურ ხაჩიძე (თბილისი)
3. დათო გაზდელიანი (თბილისი)

**81 კგ.**

1. ლევან რუაძე (თბილისი)
2. გიორგი სეტიელი (თბილისი)
3. დათო ძურასგელიანი (მესტია)
3. ელგუჯა ბიგილაშვილი (ქუთაისი)

**90 კგ.**

1. ბესო გალუსტაშვილი (თბილისი)
2. ნუკრი აფციაური (ფასანაური)
3. ზვიად მარგველანი (კრწანისი)
3. გუგა კიბორძალიძე (ქუთაისი)

**+90 კგ.**

1. გიორგი ზაძარიძე (სამტრედია)
2. გიორგი რუხაძე (სამტრედია)
3. გიორგი ჭინჭარაძე (ქუთაისი)
3. გიორგი აფციაური (რუსთავი)

# სპურზმა პოქსი მოხსნა

"ატლანტა პოქსი" NBA-ს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, "სან ანტონიოს" დაუპირისპირდა. ამ გუნდის წინააღმდეგ, თამაში ყველას უჭირს და გასაკვირი არ არის ახალგაზრდული "ატლანტის" დამარცხებაც – 89:95.

თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ზაზა ფაჩულიას** თანაკლუბელებს გასულ წლებში ყველაზე უკეთ სწორედ "სან ანტონიოსთან" გამოსდიოდათ თამაში. თუ წინახაზელები "სპურზის" მეფარეებს ფარს არ დაუთმობდნენ, გამარჯვებაც "ჰოქსს" რჩებოდა. გეხსომებათ, ხმაურიანი სათაურები "ზაზამ დანკანი შეაჩერა" და ა. შ. ფაჩულიას კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა სწორედ "სპურსთან" აქვს ჩატარებული: 20 წუთში 23 ქულა და 10 მოხსნა.

"ატლანტა ჰოქსმა" გუშინდელი შეხვედრაც კარგად ჩაატარა და გამარჯვების კარგი შანსიც ჰქონდა. 35 წუთის განმავლობაში **დანკანი-ჯინობილის** გუნდი 10-12-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდა, თუმცა ბოლო წუთებზე "ქორების" უკანახაზელებმა სამქულიანების ტყორცნისას მიზანი გაისწორეს და საფინალო სირენამდე 54 წამით ადრე სხვაობა 2 ქულამდე შეამცირეს – 85:87. თუმცა ამან "სპურზის" ფორვარდის მანუ ჯინობილის აფეთქება გამოიწვია, რომელმაც დარჩენილ დროში 6 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს 95:89 გაამარჯვებინა.

"ატლანტას" კი ვქომაგობთ და მისი წარმატებაც გაგვიხარდებოდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, ტეხასურ შეხვედრაში გამარჯვებას "სან ანტონიო" უფრო იმსახურებდა. "სპურზის" კალათბურთელებმა ჯორჯიელები ფარქვეშ ბურთს არ გააკარეს. მხოლოდ პირველ პერიოდში "სპურსმა" 24-ჯერ მოხსნა, "ჰოქსმა" – 8-ჯერ. ხოლო, მოხსნებში საბოლოოდ თითქმის ორმაგი სხვაობა დაფიქსირდა - 52:27. დავძენთ იმასაც, რომ ატლანტელები მეტოქის ფარიდან ასხლეტილ ბურთს ოდენ ოთხჯერ დაეუფლნენ. ეს მაშინ, როცა ზაზა მეტოქის ფარზე ზოგჯერ 5-6 მოხსნას აკეთებს...

სტატისტიკის გაცნობაც საკმარისია იმის დასანახავად, რაოდენ კარგად იცავდნენ თავს მასპინძლები. მეტსაც გეტყვით, 10-ქულიან ბარიერს მხოლოდ ორი ატლანტელი გადასცდა (**ჯონსონმა** 29 ქულა ჩააგდო, **მიურეიმ** – 17). პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - ზაზა ფაჩულიამ ბოლო მატჩებში შეტევაში ყველაზე უკეთ "სპურზთან" ითამაშა – 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და 6 ქულას 5 მოხსნა მიამატა.

მართალია, "სან ანტონიო" NBA-ს ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია, თუმცა "ატლანტასთან" შეხვედრამდე მოგება-წაგებათა სწორედ ისეთი მაჩვენებელი ჰქონდა, როგორიც "ჰოქსს' – 12 მოგება 8 წაგება. ტეხასური მატჩის შემდეგ კი ჯორჯიელებს წაგებათა რაოდენობა 9-მდე გაეზარდათ, ხოლო ტეხასელებმა მე-13 მოგება ჩაიწერეს.

"ატლანტა" ზედიზედ მეოთხე გასვლით მატჩს გამართავს. შეხვედრა 12 დეკემბერს მაიამიში შედგება. ზაზა ფაჩულია მაიამიში რატომ გრძნობს თავს, როგორც შინ, ამას შეიტყობთ მისი ინტერვიუდან, რომელსაც ამავე გვერდზე გთავაზობთ.

**ფაჩულიას მონაგარი**

19 წუთი: 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 1 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 06:47 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 06:25 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:37 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:33 | შეცდომა: 1 |
| 00:41 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:34 | ორქულიანი: 2 ქ (14:24) |
| 00:20 | ფოლი: 1 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:26 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 09:21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 08:50 | ჩაჭრა: 1 (მეისონს ჩაუჭრა) |
| 08:31 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:52 | ზაზა სმითმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 06:43 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:59 | მოხსნა: შეტ-0, დაც-5 |
| 03:43 | ჩატენვა: 4ქ (46:57) |
| 03:18 | შეცდომა: 2 |
| 01:43 | ორქულიანი: 6ქ (52:61) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:29 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ინტერვიუ მერაბ კვირიკაშვილთან

# მასის, შვიდკაცას და ეროვნულის

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ათი ნომერი მერაბ კვირიკაშვილი წლეულს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1-ის „მასიში" ასპარეზობს. გუნდში, სადაც აქამდეც მრავლად იყვნენ ქართველი მორაგბეები, მეკოს დამკვიდრება არ გასჭირვებია. მეტიც ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. გუნდის წარმატება მეტ წილად მის გონივრულ თამაშსა და კარში ზუსტად დარტყმებზეა დამოკიდებული. „მასი", ისევე როგორც ბოლო სამი სეზონი, წლეულსაც ელიტურ მეორე დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის.

- ჩვენი გუნდი ჯერჯერობით მეორე ადგილზეა - გვიამბობს მერაბ კვირიკაშვილი - A ჯგუფში მხოლოდ „შალონი" ასპარეზობს ჩვენზე უკეთ. ამ გუნდს ჯერ მარცხი არ განუცდია. „მასიმ" კი ორი მატჩი წააგო. ორივე გასვლაზე. ერთი „შალონთან", ხოლო მეორე „რუენთან", რომელსაც ამ უქმეებზე ვმასპინძლობთ. ვეცდებით, რევანში ავილოთ.

**- გასულ უქმეებზე თქვენი შეხვედრა პარიზში, „დომონთან" გადაიდო. რა იყო ამის მიზეზი?**

- პარიზელებმა ოფიციალურად სათამაშო არენის არქონა მოიმიზეზეს. მათ საკუთარი მოედანი არ გააჩნიათ და იჯარით ილებენ ხოლმე. თუმცა ნამდვილი მიზეზი ალბათ ისაა, რომ ძალიან ბევრი ტრავმირებული მოთამაშე ჰყავთ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დამარცხდებოდნენ და ამჯობინეს, თამაში გადაედოთ. „დომონი" აუტსაიდერია და ამის მიუხედავად, მათი საქციელი გაუმართლებელია.

**- „მასიში" კიდევ ორი ქართველი: დავით დადუნაშვილი და შალვა სუთიაშვილი თამაშობს. პირველი დიდი ხანია მასელია, მეორე კი, სეზონის დაწყებამდე შემოგიერთდათ. როგორ გაიარა მან ადაპტაციის პერიოდი?**

- დათოც და შალვაც გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან. შალვას ავადმყოფობის გამო ორი კვირა გაუცდა. არ ვარჯიშობდა. ამიტომ შესაძლოა უახლოეს ტურებში არ ითამაშოს. სხვა მხრივ პრობლემა არ გვაწუხებს. მით უმეტეს, რომ გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ქართველია. ვიქტორ დიდებულიძე შერკინებას მოძლვრავს.

**- ნოემბერში თქვენ ეროვნულ ნაკრებთან ერთად შოტლანდიაში იმყოფებოდით. საინტერესოა, გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის თქვენეული შეფასება.**

- ნაკრები მზად არ იყო. ისეთი დონის გუნდებთან სათამაშოდ, როგორიც შოტლანდიაა, ნაკრებს ცოტა უფრო მეტი დრო უნდა ჰქონდეს მოსამზადებლად. ასეთი მარცხის მიზეზი ორია. არასაკმარისი დრო მოსამზადებლად და გუნდის წამყვანი მოთამაშეების აბსოლუტური უმრავლესობის არყოფნა. გარწმუნებთ, თამაშამდე ათი დღე რომ გვქონოდა სავარჯიშოდ და შემადგენლობაც ოპტიმალური ყოფილიყო, შედეგი რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა.

**- მალე ერთა თასის გათამაშება იწყება. საქართველოს ნაკრების მორაგბეებს ამ შეხვედრებშიც შეექმნებათ გუნდიდან წამოსვლის პრობლემა?**

- არა, არ შეექმნებათ. რადგან ნაკრების თამაშები ექვსი ერის მატჩების თარილებს ემთხვევა. კანონი მიიღეს, კლუბს უფლება არ აქვს ნაკრებში, ოფიციალურ შეხვედრაში სათამაშოდ მორაგბე არ გაუშვას. წესით, ყველამ უნდა შეძლოს ჩამოსვლა. ისე კი, ინდივიდუალურია, მოთამაშე თუ მოინდომებს, კლუბი ვერ დააკავებს.

**- ახლახან საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა მსოფლიო სერიის ორ ეტაპზე იასპარეზა. თქვენ პირველში, დუბაიში მიიღეთ მონაწილეობა. ჩვენი გუნდი ყველა მატჩში დამარცხდა. რა არის ამის მიზეზი?**

- შვიდკაცას ტურნირებზე განცდილი მარცხის მიზეზი ცუდი ფიზიკური კონდიციებია. თავად განსაჯეთ, პირველ ტაიმს ყველა გუნდთან თანაბრად ვთამაშობდით. მეორე ნახევარში კი, ცუდი ფიზიკური მომზადების გამო გუნდი იშლებოდა. სამი-ოთხი კაცი ყველას მაგივრად ვერ ითამაშებს. თორმეტივე მოთამაშე მეტ-ნაკლებად ერთნაირად რომ ყოფილიყო მომზადებული შედეგი ბევრად უკეთესი გვექნებოდა. მაგალითად, საფრანგეთთან ძალიან მოვინდომეთ და ბოლომდე თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. გამარჯვებამდე 50 წამი დაგვაკლდა. ფრანგებმა, ისევ უკეთესი ფიზმომზადების ხარჯზე მოგვიგეს -12:14.

განსაკუთრებით საქართველოს ჩემპიონატში მთამაშეებს უჭირდათ. იმედია, სამომავლოდ ამ პრობლემას სერიოზულად მიუდგებიან და გამოასწორებენ, თორემ ისე არაფერი გამოგვივა.

**- ამჟამად მეორე დივიზიონის „ბეზიეში," საქართველოს ნაკრების ათი ნომერი, ლაშა მალაღურაძე იმყოფება გასინჯვაზე. რაიმე ხომ არ გსმენიათ მის შესახებ?**

- დიახ, როგორ არა. ლაშას გუშინ გიორგი ჩხაიძე ტელეფონით ელაპარაკა. მას, მალე კონტრაქტი უნდა გაუფორმონ, თამაშის საშუალება რომ ჰქონდეს. ასე საქმეში უფრო კარგად ნახავენ. თან „ბეზიეს" ძალიან რთული სატურნირო მდგომარეობა აქვს და აქედან გამომდინარე თამაში შესაძლოა ხშირად მოუხდეს. რაც უნდა იყოს, ნორმალურ პირობებში ივარჯიშებს და ეს მისი თამაშის დონეს აუცილებლად აამაღლებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



სუმო



# ქართველს დიდი ჩემპიონი გაექცა

პროფესიულ სუმოში მცირე შესვენებაა ახალ წლამდე ოფიციალურად მხოლოდ რეიტინგი (ბანძუკე) გამოქვეყნდება – ეს 24 დეკემბერს მოხდება. სავარაუდოდ ცნობილია, რომ აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)** წარმატებული ასპარეზობისთვის მე-4 ან მე-5 მაეგაშირა გახდება, ხოლო მე-4 დასავლეთის მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** მე-10 (ან სულაც მე-12) მაეგაშირობამდე დაქვეითდება.

რიკიშებისთვის კი დასვენება დასრულდა, ისინი შოუ ტურნირებში გამოვლენ, რომლებიც იაპონიის სხვადასხვა რეგიონში სუმოს შემდგომი პოპულარიზაციისთვის იმართება. სუმოისტებმა ჯერ მიაძაკის პრეფექტრუას მიაკითხეს. მონღოლმა იოკოძუნა (დიდი ჩემპიონი) **ჰაკუჰომ** დოჰიოზე ორი ახალგაზრდა გამოიძახა, **ტოჩიოძანი** და **ტოჩინოშინი.** იმპერატორის თასის მფლობელმა 6-6 ორთაბრძოლა გამართა იაპონელთან და ქართველთან და ყველა მოიგო.

რიკიშებმა კაგოშიმას პრეფექტურაში გადაინაცვლეს, სადაც ტოჩინოშინს (სხვებთან ერთად) დოჰიოზე თასის 22-გზის მფლობელმა დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** უხმო. დიდმა ჩემპიონმა 10 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი დათმო – ქართველ ფალავანთან. დაჯახებისას 21 წლის ქართველმა გაკვირვებისგან პირი დაალო, როცა იოკოძუნა გვერდზე გახტა – სასტარტო დაჯახების თავიდან არიდება (ჰენკა) სუმოში წესებით კი შეიძლება, მაგრამ ის რიკიშებისთვის სასირცხვილო საქციელად ითვლება, მით უმეტეს ძნელი წარმოსადგენია ამ „ილეთს" დიდმა ჩემპიონმა მიმართოს. ტოჩინოშინი ჰენკამ მაინც არ დააბნია, ქართველმა მონღოლი წამებში გაიყვანა დოჰიოდან. სუმოისტები გუშინ კუნძულ ოსიმაზე გაემგზავრნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ზედიზედ მეხუთე გამარჯვება

ეს უკვე სერიოზული წარმატებაა – 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** „ორანჯ ბოულის" მერვედფინალშია! ქართველ ჩოგბურთელს ასაკის წყალობით შეეძლო 16-წლამდელთა ტურნირშიც ეთამაშა, თუმცა მან ახალგაზრდულ ასპარეზზე ყველაზე პრესტიჟული ტურნირის დიდების კატეგორია არჩია. „ორანჯ ბოული" ფლორიდის შტატის ქალაქ კი ბისკეინში იმართება, ნიკოლოზმა ძირითად ბადეში გასაღწევად სამი მეტოქე დაამარცხა, შემდეგ მთავარი ტურნირის პირველ ორ წრეშიც იყოჩაღა. გუშინ ბასილაშვილს „ორანჯ ბოულის" ერთ-ერთი ფავორიტი ჰყავდა მეტოქედ – მე-5 ნომრად განთესილი ბრაზილიელი **ჟოზე პერეირა**, ვინც მსოფლიოს ახალგაზრდულ რეიტინგში მე-9 ჩოგანია. ჩვენებურმა ორ სეტში იმარჯვა – 7:5, 6:1. მერვედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე ამერიკელი **ევან კინგია** (86). იმედს ვიტოვებთ, რომ ნიკა კვლავ გააგრძელებს მოგებათა სერიას, ურთიერთშეხვედრებში მას ცაცია კინგი ორჯერ ჰყავს დამარცხებული, ბოლოს ერთი კვირის წინათ „ედი ჰერის ჩემპიონატში".

ამასობაში ნიკოლოზ ბასილაშვილს „ედი ჰერის ჩემპიონატის მერვედფინალში გასვლისთვის კუთვნილი ქულები დაერიცხა და ის ახალგაზრდულ რეიტინგში 18 ადგილით დაწინაურდა. ნიკას 226 ქულა აქვს და 165-ე ჩოგანია. ბიჭებში 115 ქულით 356-ე პოზიციაზეა **ლაზარე კუხალაშვილი**, გოგონებში **ეკა გორგოძე** 193 ქულით 204-ეა. ნიკას „ორანჯ ბოულის" შემდეგ საუკეთესო ასეულში ველით.

ახალგაზრდებიდან პროფესიონალებში გადავინაცვლოთ – ესპანურ ბენიკარლოში (10 ათასი $) ქართველთაგან საჩოგბურთო სეზონს ყველაზე ბოლოს **სოფიო ქვაცაბაია** და **ანა ჯიქია** ასრულებენ. 17 წლის ანა ჯიქიამ პირველ წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ ესპანელ **მარია-ტერეზა ტორო-ფლორთან** წააგო – 3:6, 4:6. ქვაცაბაიამ კი ბულგარელ **ბილიანა პავლოვას** აჯობა – 6:4, 6:3. მერვედფინალში სოფიოს მეტოქე მექსიკელი **ხიმენა ჰერმოსოა** (731). წყვილთა თანრიგში ორივე ჩვენებური განაგრძობს ბრძოლას. ანა ჯიქია ავსტრიელ **შტეფანი რატს** შეუწყვილდა. მათ ესპანელი **მარტინესი** და რუმინელი **სტომლეგა** დაამარცხეს – 7:5, 7:5. ქვაცაბაიას და რუსი **იულია პარასიუკის** დუეტი მე-3 ნომრად არის განთესილი, ეს წყვილი პირველი წრისგან თავისუფალი იყო. მეოთხედფინალში მათ მაკედონიელი **ჟოსიფოსკა** და რუსი **პეტროვა** ელიან, ჯიქია და რატი კი მე-4 ნომრად განთესილ რუმინელებს (**მატეი, მიტუ**) ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# 33 ქულა 12 წუთში

## ასეთი შემთხვევა მაიკლ ჯორდანსაც არ ჰქონია



გასული ტურის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა „დენვერ ნაგეტსისა“ და „მინესოტა ტიმბერვულვზის“ შეხვედრაში დაფიქსირდა. ამ მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ, სტუმრად მოთამაშე „მინესოტას“ თითქოს პრობლემა არ უნდა შექმნოდა - „მგლები“ დამაჯერებლად იგებდნენ 12 ქულის სხვაობით (56:44).

მაგრამ მესამე მეოთხედში ყველაფერი თავდაყირა დადგა. მასპინძლებს გაახსენდათ, რომ ჩრდილო-დასავლეთი დივიზიონის ლიდერები არიან და წესით, არ უნდა წაეგოთ სტატისტიკის მიხედვით ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე უარეს გუნდთან. შედეგად, „დენვერმა“ მესამე მეოთხედი 18 ქულის სხვაობით მოიგო.

ამ წარმატებაში მთავარი როლი „დენვერის“ ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** ითამაშა. მან იმდენი მოახერხა, რომ მესამე მეოთხედში 33 (!) ქულა დააგროვა.

ეს საკალათბურთო ასოციაციის რეკორდის გამეორებაა, რომელიც 30 წლის წინ, „ნიუ ორლეანთან“ მატჩში „სან ანტონიოში“ მოთამაშე **ჯორჯ ჯერვინმა** დაამყარა. საინტერესოა, რომ იმავე დღეს, 1978 წლის 9 აპრილს, **დევიდ ტომპსონმა** ერთ მეოთხედში 32 ქულა დააგროვა.

*„ერთი მეოთხედის განმავლობაში ასე კარგად არასოდეს მითამაშია,* - უკვირდა მატჩის შემდეგ ენტონის. - *ყველაფერი გამომდიოდა და ამის გამო თავადაც გაკვირვებული ვარ“.*

ამ მატჩში 24 ქულის ავტორი **ჩონსი ბილაპსი** აღფრთოვანებას ვერ ფარავდა თანაგუნდელის თამაშით: *„ეს საუკეთესო იყო, რაც კი ოდესმე 12 წუთის განმავლობაში მინახავს* - კარმელო შეუდარებელი იყო. *მან თამაშში დაგვაბრუნა და დაგვაჯერა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო. ამას მხოლოდ დიდი კალათბურთელები ახერხებენ“.*

ასეთი შთამბეჭდავი გარღვევის შემდეგ, „მინესოტას“ მოთამაშეებმა ხელები ჩამოუშვეს და მეოთხე მეოთხედში უპირატესობის დაბრუნება ველარ მოახერხეს. შესაბამისად, „დენვერს“ აღარ გასჭირვებია მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა.

**სან ანტონიო-ატლანტა 95:89**

**25:17, 18:18, 19:20, 33:34**

**ს-ა:** ჯინობილი (27), დანკანი (19+11 მოხსნა), ფინლი (15), მეისონი (10), ბონერი (9+13 მოხსნა).

**ა:** ჯონსონი (29+6 პასი), მიურეი (17+4 ჩაჭრა), ბიბი (9+7 პასი), ჰორფორდი (8+7 მოხსნა+4 დაფარება).

**ფილადელფია-კლივლენდი 93:101**

**28:25, 18:23, 19:36, 28:17**

**ფ:** იგუოდალა (27+9 მოხსნა), მილერი (22+8 პასი), ლ. უილიამსი (22), ბრენდი (6+10 მოხსნა).

**კ:** ჯეიმსი (29), მო უილიამსი (27), ვარეჟაო (15+8 მოხსნა), ბ. უოლასი (6+10 მოხსნა).

**ტორონტო-ინდიანა 101:88**

**20:18, 31:27, 25:20, 25:23**

**ტ:** კაპონო (25+8 მოხსნა), ბოში (21+10 მოხსნა), მუნი (17+8 მოხსნა+3 დაფარება), გრემი (12), კალდერონი (11+14 პასი+3 ჩაჭრა), ჯ. ო'ნილი (10+9 მოხსნა+3 დაფარება).

**ი:** გრეინჯერი (22), დანიელსი (21), მერფი (20+20 მოხსნა+6 პასი), ფოსტერი (10+12 მოხსნა).

**გ. სტეიტი-მილუოკი 119:96**

**24:19, 31:31, 27:31, 37:15**

**გ-ს:** ჯექსონი (21+8 პასი+4 ჩაჭრა), უოტსონი (19+7 მოხსნა), ბიედრინსი (18+14 მოხსნა+4 დაფარება), მოროუ (16), ბელინელი (15), აზუბუიკე (13+8 მოხსნა), ტურიაფი (11+4 დაფარება).

**მ:** რედი (27), ჯეფერსონი (17), რიდნური (13), ბოგუტი (10+9 მოხსნა), ვილანუევა (9+10 მოხსნა+4 დაფარება).

**ლეიკერსი-ფინიქსი 115:110**

**29:25, 24:23, 29:33, 33:29**

**ლ:** პ. გასოლი (28), ბრაიანტი (18+7 მოხსნა), ბინუმი (17+11 მოხსნა), ვუიაჩიჩი (15), ფიშერი (13+3 ჩაჭრა), ოდომი (6+9 მოხსნა+7 პასი).

**ფ:** ბარნსი (25+10 მოხსნა), ჰილი (23+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (21+11 მოხსნა), ბარბოზა (18+3 ჩაჭრა), ნეში (7+9 პასი).

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 109:121**

**33:23, 30:34, 21:33, 25:31**

**ნ-ჯ:** ჰარისი (32+7 პასი), კარტერი (18+7 მოხსნა+6 პასი), იი იანლიანი (13), სიმონსი (11), ჰეიესი (10).

**ნ-ი:** ჰარინგტონი (39+13 მოხსნა), ტომასი (26), ჩენდლერი (24+9 მოხსნა), ლი (10), დუჰონი (10+10 პასი), რიჩარდსონი (9+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დენვერი-მინესოტა 116:105**

**22:30, 22:26, 40:22, 32:27**

**დ:** ენტონი (45+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბილაპსი (24+6 პასი), კარტერი (11).

**მ:** ჯეფერსონი (26+12 მოხსნა+3 დაფარება), ფოიე (26+6 პასი), ლავი (14+14 მოხსნა), გომესი (13), სმიტი (13), მაკენტსი (10).

**ოკლაჰომა-მემფისი 102:108**

**29:23, 26:25, 28:28, 19:32**

**ო:** დურანტი (28), უესტბრუკი (15+6 პასი), გრინი (13), კოლისონი (10+8 მოხსნა), მეისონი (10+3 დაფარება), სმიტი (10).

**მ:** გეი (22+4 ჩაჭრა), მაიო (18), კონლი (16), როსი (11).

**ნიუ ორლეანი-შარლოტი 105:89**

**29:21, 30:19, 29:17, 17:32**

**ნ-ო:** უესტი (17+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (17), პეტერსონი (16), პოლი (15+15 პასი), ჩენდლერი (13+11 მოხსნა+3 დაფარება).

**შ:** აგუსტინი (28+7 პასი+4 ჩაჭრა), აჯინკა (12), კეროლი (10).

# უებსტერი ოთხ კვირას დაისვენებს

„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ ფორვარდი მარტელ უებსტერი კიდევ ოთხი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

უებსტერი ფეხის ოპერაციის შემდეგ დაუბრუნდა გუნდს და „ტორონტოსთან“ მატჩში 5 წუთი გაატარა მოედანზე. მაგრამ ახალგაზრდა კალათბურთელმა ტერფის არეში ტკივილი იგრძნო და მოედანი ისე დატოვა, რომ ქულაც არ მოუტანია თავისი გუნდისთვის.

„პორტლენდის“ გენერალურმა მენეჯერმა **კევინ პრიჩარდმა** განაცხადა, რომ უებსტერმა ორი კვირის განმავლობაში თაბაშირი უნდა ატაროს, კიდევ ორი კვირა კი ტრავმირებული ფეხის აღდგენით პროცედურებს დასჭირდება.

გასულ სეზონის 75 მატჩში უებსტერის მონაგარმა საშუალოდ 10.7 ქულა და 3.9 მოხსნა შეადგინა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# სანზი რიჩარდსონით გაძლიერდა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი ხმაურიანი გაცვლა განხორციელდა. დასავლეთი კონფერენციის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ფინიქს სანზმა“ „შარლოტ ბობკეტსის“ შემტევი მცველით **ჯეისონ რიჩარდსონით** გააძლიერა შემადგენლობა. ეს კალათბურთელი წლევანდელ რეგულარულში „შარლოტის“ საუკეთესო ბომბარდირია - საშუალოდ მატჩში 18.7 ქულას აგროვებს. რიჩარდსონს „ყველა ვარსკვლავის“ უიკენდზე ორჯერ აქვს მოგებული ჩატენვების კონკურსი.

„ფინიქსს“ რიჩარდსონის სანაცვლოდ ორი კალათბურთელის დათმობამ მოუწია. „ბობკეტსის“ შემადგენლობაში ჩაირიცხნენ დაცვაში თამაშის სპეციალისტი **რაჯა ბელი** და ფრანგი უნივერსალური ფორვარდი **ბორის დიაო**.

2006-07 წლების სეზონში ბელი NBA-ის პირველ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, რომელიც დაცვითი სტილის კალათბურთელებით იყო შედგენილი. ამ სეზონში ბელის მონაგარი საშუალოდ 9.6 ქულას შეადგენს.

ფრანგი ლეგიონერი დიაო წელს 8.3 ქულასა და 3.8 მოხსნას უყრის თავს. სავარაუდოდ, ის უპრობლემოდ დაიკავებს ადგილს „შარლოტის“ ძირითად ხუთეულში, სადაც მძიმე ფორვარდ **შონ მეის** შეცვლის.

ამ გარიგებაში კიდევ ორი მეორეხარისხოვანი კალათბურთელი მონაწილეობდა. „შარლოტში“ გადავიდა გამთამაშებელი **შონ სინგლტერი**, მის ნაცვლად კი „ფინიქსმა“ მსუბუქი ფორვარდი **ჯარედ დადლი** და 2010 წლის დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.



# მობლი კარიერას ასრულებს



**კუტინო მობლი**, რომელიც 25 ნოემბერს „ლოს ანჯელეს კლიპერსიდან“ „ნიუ იორკ ნიქსში“ გადავიდა, დღეს ოფიციალურად გამოაცხადებს კარიერის დასრულების შესახებ. მან ეს გადაწყვეტილება სამედიცინო ტესტების შემდეგ მიიღო, რომელმაც კალათბურთელს გულის ავადმყოფობა დაუდგინა. 33 წლის მობლიმ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 11 სეზონი ჩაატარა და საშუალოდ მატჩში 16.0 ქულა და 2.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

*„კუტინოსთვის კალათბურთი მთელი ცხოვრების საქმედ იქცა. წარმატებული მოთამაშე იყო და კარგი ხელფასიც ჰქონდა, მაგრამ მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღმოაჩნდა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ რისკზე არ წავიდა“*, - განაცხადა „ნიუ იორკის“ კალათბურთელმა **ტიმ ტომასმა**, რომელიც მობლისთან ერთად „კლიპერსში“ თამაშობდა და შემდეგ „ნიქსში“ გადავიდა.

# ნიუ ორლეანს დენიელსი ერგო

„ფინიქსისა“ და „შარლოტის“ ტრეიდის გარდა, გუშინ ერთი სამგუნდიანი გაცვლაც განხორციელდა. მასში მონაწილეობა მიიღეს „ვაშინგტონ უიზარდსმა“, „მემფის გრიზლისმა“ და „ნიუ ორლეანმა“.

გარიგების თანახმად, „ვაშინგტონში“ გადავიდნენ მცველები - „ნიუ ორლეანიდან“ **მაიკ ჯეიმსი** და „მემფისიდან“ **ჯავარის კრიტერტონი**.

„ნიუ ორლეანის“ შემადგენლობას შეუერთდა ვაშინგტონელი მცველი **ანტონიო დენიელსი**. „ჰორნეტსმა“ აგრეთვე დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანი მიიღო, რომელიც „მემფისს“ ეკუთვნოდა.

„მემფისმა“ კი ამ გაცვლის შედეგად 2010 წლის დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო. პრაქტიკულად კლუბმა დაიბრუნა ეს უფლება, რომელიც „ვაშინგტონს“ 2007 წელს **ხუან-კარლოს ნავაროს** სანაცვლოდ დაუთმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# დავენპორტი ავსტრალიაში ითამაშებს



„დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ჩემპიონმა **ლინდსი დავენპორტმა** ქალთა ტურში დაბრუნება და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში გადაწყვიტა.

ცოტა ხნის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ ვეტერანი ამერიკელი ოჯახსა და ჩოგბურთს შორის არჩევანის გაკეთებას აპირებდა და ლინდსიმ მინიმუმ ერთი წლით აქტიური კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა.

ავსტრალიის ღია პირველობის 2000 წლის გამარჯვებულს აგვისტოს შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა WTA-ის ტურნირებში და მისი სპორტიდან წასვლის შესახებ სწორედ ამის შემდეგ ალაპარაკდნენ.

*„ძალიან გვიხარია, რომ ასეთი ტიტულოვანი ჩოგბურთელი ავსტრალიის ღია პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. ის უმაღლესი დონის ოსტატია და ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის ძალიან ბევრს აკეთებს"*, - აცხადებს ტურნირის დირექტორი **კრეიგ ტილი**.

შეგახსენებთ, რომ დავენპორტმა აქტიური სპორტული კარიერა 2006 წელს შვილის დაბადების გამო შეწყვიტა. ქალთა ტურში დაბრუნებულმა ამერიკელმა შარშან, ავსტრალიის ღია პირველობაზე მიიღო მონაწილეობა და მეორე წრეში რუს **მარია შარაპოვასთან** წააგო, რომელიც საბოლოოდ, ტურნირის გამარჯვებული გახდა.

■ ■ ■

სავარაუდოდ, ავსტრალიის ღია პირველობისთვის აპირებს კორტზე დაბრუნებას ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი **ტომი ჰაასი**.

დავენპორტის მსგავსად, ტომისაც ამერიკის ღიას შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა პროფესიულ ტურნირებში. ამის მიზეზი იდაყვის ტრავმა იყო. შეგახსენებთ, რომ ჰაასმა ამერიკის ღია პირველობაზე ზედიზედ ორი ხუთსეტიანი მატჩი ჩაატარა - ჯერ ფრანგ **რიშარ გასკეს** მოუგო და შემდეგ ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერთან** დამარცხდა.

# არტურ ეშს გადახურავენ

ამერიკის ჩოგბურთის ფედერაცია **არტურ ეშის** სახელობის არენაზე მოძრავი სახურავის დამონტაჟებას აპირებს. ეს გახლავთ იმ სტადიონის ცენტრალური კორტი, რომელზეც ამერიკის ღია პირველობა იმართება.

არტურ ეშის არენა 22 ათას მაყურებელს იტევს. ის პროექტი, რომელიც ამ სტადიონზე სახურავის დამონტაჟებას ითვალისწინებს, 100 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ჯერჯერობით, ფედერაციის ხელმძღვანელებმა არ იციან, როგორ გამოძებნიან თანხებს ამ პროექტის განსახორციელებლად. შესაძლოა, არენა მრავალპროფილიან სტადიონად გადააქციონ და ის ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ან სხვა სპორტულმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ. აქვე შესაძლებელი იქნება კონცერტებისა და სხვადასხვა შოუს გამართვა.

მეორე მხრივ, მოძრავი სახურავი ძვირად ღირებული სიამოვნებაა, რომელსაც წელიწადში მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში იყენებენ. თანაც, უიმბლდონისგან განსხვავებით, აქ წვიმები იშვიათია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ფედერაციამ პროექტის განხორციელებაზე საერთოდ უარი თქვას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **საკლუბო მუნდიალი** | |
| ადელაიდა-უაიტეკერი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-მონპელიე | 0:2 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| ინვერური-ვეილი | გადაიდო |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **კაცები** | |
| ნანსი-პროკომი | 78:70 |
| პანათინაიკოსი-ბარსელონა | 76:87 |
| რეალი-პარტიზანი | 68:67 |
| აველინო-მაკაბი | 72:86 |
| ხუვენტუდი-რომა | 97:93 |
| **ქალები** | |
| პეჩი-ნადეჟდა | 88:70 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ესპანეთი-უნგრეთი | 23:21 |
| შვედეთი-ხორვატია | 24:29 |
| დანია-უკრაინა | 25:30 |
| რუსეთი-გერმანია | 22:27 |
| ბელარუსი-მაკედონია | 24:29 |
| რუმინეთი-ნორვეგია | 31:37 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლადა-დინამო (მნ) | 1:0 |
| აკ ბარსი-დინამო (მ) | 1:0 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (რ) | 1:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-ფრანკფურტი | 5:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-კომეტი | 7:2 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 3:4 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 3:6 |
| ფურუსეტი-სტორჰამარი | 1:3 |
| სტიორნენი-სპარტა | 2:5 |
| **ფინეთი** | |
| სეიპა-კალპა | 3:4 |
| ტაპარა-ესეტი | 4:0 |
| ჰპკ-ლუკო | 2:2 |
| იუვიასკიულა-ილვესი | 6:0 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-როგლე | 5:2 |
| ბრიუნესი-მოდო | 1:1 |
| ლინჩოპინგი-სიოდერტალე | 1:2 |
| ტიმრა-ფრიოლუნდა | 3:3 |
| ფერიესტადი-ჰ371 | 2:3 |
| იურგორდენი-ლულეო | 2:2 |

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ტამპა ბეი 4:2**
1:2, 2:0, 1:0
**გოლები:** 0:1 სენტ ლუისი-8 (სტემკოსი-9), 0:2 რეკი-7 (რეინჯერსი-7, შერურა-1), 1:2 სტეფორდი-5 (მპაჩეკი-13, პომინვილი-12), 2:2 ვანეკი-21 (კოტალიკი-6), 3:2 ვანეკი-22 (როი-14, პომინვილი-13), 4:2 პომინვილი-9 (პეხტი-6).

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 4:1**
0:0, 1:0, 3:1
**გოლები:** 1:0 ზაიაცი-5 (ლანგენბრუნერი-11, კ. უაიტი-7), 2:0 პარიზე-16 (სალვადორი-2, ლანგენბრუნერი-12), 3:0 ზუბრუსი-7 (ჯონტა-14, სალვადორი-3), 3:1 კუკი-3 (მალკინი-35, ფედოტენკო-5), 4:1 ელიაში-11 (კ. უაიტი-8).

**ჩიკაგო-ოტავა 2:0**
1:0, 0:0, 1:0
**გოლები:** 1:0 კეინი-13 (მარპი-10), 2:0 ბროუერი-3.

**ვაშინგტონი-ბოსტონი 3:1**
1:0, 1:1, 1:0
**გოლები:** 1:0 ბექსტრიომი-9 (ოვეჩკინი-22, ვიქ. კოზლოვი-10), 2:0 ჟირუ-1 (ვიქ. კოზლოვი-11, პოტი-5), 2:1 ლუჩიჩი-8 (კესელი-9, ხარა-9), 3:1 ოვეჩკინი-15 (სიომინი-15, ბექსტრიომი-18).

**ატლანტა-რეინჯერსი 2:3 (ო)**
0:0, 1:1, 1:1, 0:1
**გოლები:** 0:1 ორი-1 (ვოროსი-6, რედენი-11), 1:1 კრები-1 (ოისტრიკი-4), 1:2 კელეპანი-7 (დუბინსკი-12, რედენი-12), 2:2 კოვალჩუკი-10 (ვალაბიკი-1, ტორნბურნი-2), 2:3 გომესი-5 (ნესლუნდი-12, რედენი-13).

**დეტროიტი-კალგარი 4:3 (ო)**
0:2, 1:0, 2:1, 1:0
**გოლები:** 0:1 კონროი-4 (კამალერი-13, ფანოფი-19), 0:2 ლენგკოუ-7 (ბერტუცი-13, მოსი-6), 1:2 ფილპულა-4 (დრეპერი-2, კლირი-9), 1:3 მოსი-9 (ფანოფი-20, ა. ოკუანი-7), 2:3 ზეტერბერგი-13 (კლირი-10, რაფალსკი-17), 3:3 რაფალსკი-4 (ჰოლმსტრიომი-7, ფრანცენი-7), 4:3 ლიდსტრიომი-4 (ფრანცენი-8, დაციუკი-17).

**დალასი-ფინიქსი 3:5**
2:2, 1:1, 0:2
**გოლები:** 1:0 დელეი-3 (პეტერსონი-4, კონერი-3), 1:1 პანჟალი-7 (ტიხონოვი-4, ზ. მიხალეკი-9), 1:2 ო. იოკინენი-8 (ჟოვანოვსკი-10, მორისი-5), 2:2 ნილი-7 (რობიდასი-11, მოდანო-10), 3:2 ბრუნსტრიომი-8 (კონერი-4, სიდორი-4), 3:3 ო. იოკინენი-9 (ჟოვანოვსკი-11, მიულერი-11), 3:4 პანჟალი-8, 3:5 რაინპრეხტი-6 (დოუნი-14, ბრიზგალოვი-1).

**ანაჰაიმი-სენტ ლუისი 4:2**
1:1, 1:0, 2:1
**გოლები:** 0:1 კრომბინი-6, 1:1 პაროსი-3 (რაიანი-6), 2:1 კუნიტცი-6 (გეტცლაფი-23, სელიანე-12), 2:2 ბოიესი-15 (პერონი-15, ბერგლუნდი-10), 3:2 მორისონი-3 (მარჩანტი-5, სელიანე-13), 4:2 კუნიტცი-7 (პალსონი-6).

## ამბები

ჰოკეი

### საკიკმა ავარიაში სამი თითი მოიტეხა

აშკარად არ უმართლებს ამ სეზონში „კოლორადო ეველანშის" კაპიტან **ჯო საკიკს**. ვეტერანი ჰოკეისტი ტრავმას მკურნალობს და ექიმებისგან იანვრის შუა რიცხვებამდე აკრძალული ჰქონდა მოედანზე გასვლა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ საკიკს ჯამში სამი თვის გამოტოვება მოუწევს.

საქმე ისაა, რომ 39 წლის ჰოკეისტი ქარიშხალის დროს ავტოავარიაში მოყვა, რის გამოც სამი თითი მოიტეხა და სხვა დაზიანებებიც მიიღო. ასე რომ, ლიგის ვეტერანი ვარსკვლავი საუკეთესო შემთხვევაში გაზაფხულზე შეძლებს ყინულზე დაბრუნებას.

ველოსპორტი

### ევანსი არმსტრონგის კონკურენტი იქნება

ძალიან ძლიერი შემადგენლობა იკრიბება 2009 წლის ჯირო დ'იტალიაზე, რომელიც გაისად 100-წლიან იუბილეს იზეიმებს.

როგორც ცნობილია, პირველად თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, იტალიურ ველომარათონში მონაწილეობას მიიღებს აქტიურ სპორტში დაბრუნებული ლეგენდარული ამერიკელი **ლენს არმსტრონგი**.

გუშინ კი გაირკვა, რომ 2009 წლის ჯიროზე ამერიკელის ერთ-ერთი კონკურენტი ავსტრალიელი კეიდელ ევანსი იქნება, რომელიც „საილენს-ლოტოს" ველოსაჯინიბოს ლიდერია და შარშანდელ ტურ დე ფრანსზე საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა.

ავსტრალიელმა არ დამალა, რომ ჯიროზე არმსტრონგთან კონკურენციის გამო გადაწყვიტა გამოსვლა.

რაგბი

### ლუისმა ნაკრები დატოვა

მსოფლიოს თასის 2003 წლის გამარჯვებული ინგლისელი **ჯოშ ლუისი** საერთაშორისო კარიერას ასრულებს. ამ მორაგბეს სანაკრებო დონეზე 55 ოფიციალური შეხვედრა აქვს ჩატარებული.

*„ტელეფონით ველაპარაკე ნაკრების მთავარ მწვრთნელ მარტინ ჯონსონს და ის გაგებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას,* - ამბობს 32 წლის ლუისი. - *გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს და ჩემი გადაწყვეტილებაც ამით არის განპირობებული. ნაკრებში კარიერის საუკეთესო 10 წელი გავატარე და სიამაყით ვიხსენებ ამ პერიოდს. ახლა კი, მთელ ყურადღებას კლუბში გამოსვლაზე გადავიტან".*

ფრენბურთი

### მსოფლიოს თასს სერბეთი მიიღებს

2009 წელს მსოფლიოს ლიგის ფინალური ტურნირი სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართება. ამის შესახებ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. სერბების გარდა, ამ ტურნირის ორგანიზებაზე პრეტენზიას ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი აცხადებდნენ.

მსოფლიოს ლიგის ფინალი 23-26 ივლისს „არენა ბელგრადზე" გაიმართება, რომელიც 18 386 მაყურებელს იტევს.

## TV სპორტი

**12 დეკემბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:30 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-ბორდო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
15:50 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ფენერბაჰჩე.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-ზენიტი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბორუსია (მ) (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ბრედა.
03:30 საფეხბურთო კლუბი.
04:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
05:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი.
06:35 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სევილია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი.
09:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
12:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
13:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ლივერპული.
14:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჯენოა.
16:40 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
17:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ნანსი-პროკომი.
19:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
19:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-აილენდერსი.
21:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
01:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:35 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
02:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კატანია.
04:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დეტროიტი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. სიგულდა. ლატვია.
12:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). II დღე. ხორვატია (LIVE).
13:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
14:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
18:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
19:45 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). II დღე. ხორვატია (LIVE).
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. პრაჯელატო. იტალია (LIVE).
22:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. შვედეთი (LIVE).
01:00 პოკერი.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
04:15 სპორტული მეგზური.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფლორბოლი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იტალია. ჩეხეთი.
15:30 ახალი ამბები.
16:15 სერფინგი. აშშ.
16:30 ახალი ამბები.
17:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
18:00 სუპერკროსი. შვეიცარია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. საპორო-კაშიმა. იოტა-ნაგოია.
01:00 ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
01:30 სერფინგი. აშშ.
01:45 მოტოფრისტაილი. ჩეხეთი.
02:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რაფაელ ნადალთან



# ღამის კლუბები ჯერ ადრეა

**მამაკაცთა ჩოგბურთში 2008 წელი რაფაელ ნადალის იყო. როლან გაროსის, უიმბლდონისა და ოლიმპიადის ჩემპიონმა, 22 წლის რაფაელ ნადალმა სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა გასული წლის სეზონის შეჯამება და მან ეს პრესტიჟულ გამოცემა AS-სთან ინტერვიუში გააკეთა.**

**- რა მდგომარეობაშია თქვენი ტრავმირებული მუხლი, რომლის გამოც შანხაიში მასტერსის თასისა და დევისის თასის ფინალის გამოტოვება მოგიწიათ?**

- თავს უკეთ ვგრძნობ. აღდგენითი პროცესი გეგმის მიხედვით მიდის.

**- როდის გაქვთ დაგეგმილი კორტზე დაბრუნება?**

- იმედი მაქვს, რომ იანვრის პირველი რიცხვებიდანვე ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში ვიქნები.

**- ალბათ, გარკვეული იმედგაცრუება გქონდათ იმის გამო, რომ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირებში ვერ მიიღეთ მონაწილეობა?**

- ვერაფერს გააწყობ, ასეთია სპორტული ცხოვრება. საბედნიეროდ, არგენტინაში თანამემამულეებმა უჩემოდაც შესანიშნავად გაართვეს თავი ამოცანას. მათ ბრწყინვალე ჩოგბურთი აჩვენეს! ასეთი გამარჯვებები უფრო მეტად უწყობს ხელს ჩემს სამშობლოში ჩოგბურთის პოპულარიზაციას. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ მთელი ესპანეთი გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს დევისის თასის ფინალს.

**- ცოტა ხნის წინ, თქვენ და სხვა ესპანელ ჩოგბურთელებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროსთან გქონდათ ვიზიტი. თუ საიდუმლო არ არის, რაზე ელაპარაკეთ მას?**

- ეს იყო ქვეყნის მეთაურის შეხვედრა გუნდთან, რომელმაც უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ბევრი თბილი სიტყვა მოვისმინეთ. სასიამოვნოა, რომ ჩვენმა გამარჯვებამ ამხელა რეზონანსი გამოიწვია. ქვეყნის პირველი პირების მხრიდან ასეთმა ყურადღებამ კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, რომ მართლაც დიდი საქმე გავაკეთეთ.

**- მითხარით, თქვენთვის ჩოგბურთი სამუშაოა თუ სიამოვნება?**

- ერთიც და მეორეც.

**- იქნებ ერთი გამოარჩიოთ?**

- ალბათ, სიამოვნება. მე რომ არ მომწონდეს ის, რითიც ვარ დაკავებული, ალბათ, ასეთ დიდ გამარჯვებებს ვერ მივაღწევდი. ყოველთვის დიდი სიხარულით გავდივარ ჩოგბურთის სათამაშოდ. ამიტომაც მინდა, რაც შეიძლება მალე მოვირჩინო ტრავმა და კორტზე დავბრუნდე.

**- მიიჩნევა, რომ თქვენი ემოციური თამაშის ცქერა უფრო საინტერესოა, ვიდრე თავშეკავებული როჯერ ფედერერისა. რას იტყვით?**

- ყველა ადამიანს თავისი მოსაზრება გააჩნია. ერთს თამაშის ჩემი მანერა ხიბლავს, მეორეს - ფედერერის. ეს ნორმალურია, მით უმეტეს, რომ ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან.

**- ალბათ, რთულია, როცა ყოველი ქულის გათამაშებისას მაქსიმალურად იხარჯები და საკუთარ თავს არ ზოგავ?**

- სხვანაირად თამაში არ ვიცი. ემოციურად ვთამაშობ და ამაში არანაირი სიყალბე არ არის. თუ მოგეწონებათ, შეგიძლიათ ჩემს სტილს მგრძნობიარე უწოდოთ.

**- ბალახი არასოდეს ყოფილა ესპანელების საყვარელი საფარი. იქნებ გაგვიმხილოთ საიდუმლო, როგორ მოხვდით იმ დიად ჩოგბურთელებს შორის, რომლებსაც ერთ სეზონში როლან გაროსი და უიმბლდონი აქვთ მოგებული.**

- დამიჯერეთ, ეს არც ისე იოლი იყო. საერთოდ, ჩვენს საქმეში მარტივად არაფერი კეთდება. ახლა, ჩემი სურვილია გავიმეორო ეს წარმატება და ორივე ტურნირი გაისადაც მოვიგო. ურთულესი ამოცანაა, მაგრამ შევეცდები მის გადაწყვეტას.

**- დიდი პასუხისმგებლობაა მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი?**

- მთავარია, არ იფიქრო, რომ უკვე ყველაფერს მიაღწიე. როგორც კი დამშვიდდები და მოდუნდები, მომენტალურად ყველაფერს დაკარგავ. მე, მაგალითად, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უკეთესად თამაში შემიძლია. სრულყოფის მისაღწევად კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო. როცა მწვერვალზე იმყოფები, განსაკუთრებული გრძნობა გეუფლება. არ დავმალავ, რომ მინდა, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე პირველი ნომერი.

**- რა დამოკიდებულება გაქვთ როჯერ ფედერერთან? უიმბლდონის ფინალის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ისე ჩანდა, რომ მას განსაკუთრებული მოწიწებითაც კი ეპყრობოდით.**

- თავისუფლად შეგიძლიათ გვიწოდოთ კარგი მეგობრები. როჯერი - შესანიშნავი ადამიანი და ბრწყინვალე ჩოგბურთელია.

**- ვის მიიჩნევთ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად?**

- სწორედ ფედერერს. კორტზე მან ყველაფრის კეთება იცის. იმ ჩოგბურთელებს შორის, რომელთა ხილვის საშუალება მქონდა, სწორედ შვეიცარიელის თამაშმა მოახდინა ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება.

**- უკვე დიდი ხანია თქვენი ბიძა ტონი ნადალი გავარჯიშებთ.**

- ხანდახან ჩვენი მოსაზრებები არ ემთხვევა ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს, ტონიც თავის დროზე ჩოგბურთს თამაშობდა და ზოგიერთ საკითხზე მოძველებული აზრი გააჩნია. ხანდახან ეს კარგია კიდეც. ყოველთვის ყურს ვუგდებ მის რჩევებს.

**- თქვენი მეორე ბიძა მიგელ ანხელ ნადალი დიდი ხანი „ბარსელონის“ შემადგენლობაში თამაშობდა, რომლის რიგებშიც 90-იან წლებში ესპანეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა აქვს მოგებული. საინტერესოა, ის რითი არის ამჟამად დაკავებული?**

- უბრალოდ ცხოვრობს! გაცილებით ნაკლებს მოგზაურობს, ვიდრე ფეხბურთელობის წლებში. უმეტეს დროს ოჯახთან ატარებს.

**- რამდენად ხშირი ურთიერთობა გაქვთ მასთან?**

- როგორც მინიმუმ თვეში ორჯერ ვხვდებით ერთმანეთს. ყველაზე ხშირად გოლფს ვთამაშობთ ხოლმე. მინი-ტურნირებს ვაწყობთ ჩემი, მიგელ ანხელისა და მამაჩემის მონაწილეობით.

**- იმის მიუხედავად, რომ ბიძა „ბარსელონაში“ თამაშობდა, თქვენ „რეალის“ თავგადაკლული ფანი ხართ...**

- სრული სიმართლეა. ბავშვობიდან ორ გუნდს ვგულშემატკივრობ - „რეალსა“ და „მალიორკას“.

**- საფეხბურთო მატჩებზე ხშირად დადიხართ?**

- სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებ კარგი ფეხბურთის ხილვას. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ტურნირების როგორი გრაფიკი მაქვს ამა თუ იმ პერიოდში.

**- წელს ესპანურმა სპორტმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია: თქვენ პირველი ჩოგანი გახდით, ესპანეთის ნაკრებმა დევისის თასი მოიგო, საფეხბურთო ნაკრებმა - ევროპის ჩემპიონატი. ეს შემთხვევითობაა თუ კანონზომიერება?**

- ამ სიას ჩვენი ველომრბოლების წარმატებებიც დაუმატეთ, რომლებმაც თითქმის ყველა პრესტიჟული რბოლა მოიგეს... დამეთანხმეთ, რომ ასეთ დონეზე შემთხვევითობები არ არსებობს. ჩვენი გამარჯვებების საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს - ესპანეთში სპორტი ძალიან უყვართ და იქ ნებისმიერი დიდი სიამოვნებით ასრულებს დილის ვარჯიშებს.

**- თქვენი სეზონის შესახებ მოგვიყევით. რომელი მომენტი გახდა გადამწყვეტი 2008 წელს.**

- არ ვიცი. საერთოდ, მთელი წელი კარგად ვითამაშე. წარმატებული სტარტი ავიღე ავსტრალიაში, სადაც ნახევარფინალამდე მივაღწიე. შემდეგ პატარა ჩავარდნა მქონდა, მაგრამ ეს უიღბლო პერიოდი სწრაფად გადავლახე და უკვე წლის ბოლომდე ტემპი აღარ დამიგდია. ალბათ, ინდიან უელსისა და განსაკუთრებით მაიამის მასტერსებიდან დავიწყე ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის თამაში. ამერიკის ღია პირველობამდე ჩემს გამოსვლას უნაკლოს დავარქმევდი.

**- დაგვისახელეთ სეზონის ყველაზე გამორჩეული მატჩი?**

- რა თქმა უნდა, ემოციურად ყველაზე დაძაბული მატჩი გახდა უიმბლდონის ტურნირის ფინალი. მაგრამ არანაკლებ ღირსშესანიშნავი მატჩები სხვა ტურნირებზეც ჩავატარე.

**- სამწუხაროდ, თქვენ ვერ შეძელით დევისის თასის ფინალში თამაში. როგორია გადამწყვეტი მატჩის დროს მაყურებლის როლში ყოფნა?**

- ბრწყინვალე მატჩი გამოვიდა. ჩემი თანაგუნდელები ძალიან კარგად თამაშობდნენ, შეხვედრაც უმაღლესი დონის გამოვიდა. მაგრამ, რაც მთავარია, გავიმარჯვეთ! ჩვენი მიზანი მიღწეულია - ისევ დავისაკუთრეთ პრესტიჟული თასი. თამაშგარეში ყოფნა, რა თქმა უნდა, რთული იყო. მაგრამ მუხლი სამკურნალო მქონდა და ფინალში ჩემი მონაწილეობის მცირედი შანსიც არ არსებობდა.

**- ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ მუხლის ტრავმა თქვენი აგრესიული სტილით არის გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით აპირებთ თუ არა მზადების პროცესში რაიმეს შეცვლას?**

- ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები. უბრალოდ ტრავმა მივიღე და აქ კანონზომიერებასთან არ გვაქვს საქმე. უბრალოდ წელს ბევრი მატჩის ჩატარებამ მომიწია. ამდენი შეხვედრა სეზონში არც ერთ სხვა ჩოგბურთელს არ გაუმართავს. შესაძლოა, დაღლილი ვიყავი და ტრავმაც ამიტომ მივიღე.

**- როგორ აფასებთ ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან ემილიო სანჩესის წასვლას? ვის ასახელებთ მის მემკვიდრედ?**

- სავარაუდოდ, მას გაუჭირდებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სანჩესის ამ ნაბიჯს პატივი უნდა ვცეთ. ბოლო თვეებში მას გარკვეული უთანხმოება ჰქონდა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. არადა, ჩვენ დევისის თასი მოვიგეთ და სწორედ ემილიო სანჩესმა მიგვიყვანა ამ გამარჯვებამდე. ახლა სანჩესი უფრო მეტ დროს დაუთმობს თავის აკადემიას, რომელიც ბარსელონაში გახსნილი. რაც შეეხება ემილიოს მემკვიდრეს, ჩემი აზრით, საუკეთესო კანდიდატია ალბერტ კოსტა.

**-ღამის კლუბებში ხშირად დადიხართ?**

- ამას სიამოვნებით გავაკეთებ, ოღონდ კარიერის დასრულების შემდეგ. ამჟამად გამოსვლების მჭიდრო გრაფიკი მაქვს, ვარჯიშებს ტურნირები მოსდევს, ამიტომაც გაგიმხელთ რომ თავისუფალ დროს ვისვენებ.

**- ამბობენ, რომ ჩოგბურთის გარდა არაფერი გიტაცებთ...**

- რატომ? მიყვარს მეგობრებთან შეხვედრა, გოლფის თამაში, კინოში წასვლა... აგრეთვე მიყვარს იახტით სეირნობა და თევზაობა. ამიტომაც ვიყიდე სახლი იბისაზე. კიდევ ფეხბურთს ვალმერთებ.

**- კორტის გარდა კიდევ რა იქნება თქვენს ვილაზე?**

- ცდებით, კორტს ვერ ნახავთ! რაც მთავარია, აუზი იქნება, დანარჩენ დეტალებს კი ჩემი ოჯახის წევრებთან შევათანხმებ. ყოველთვის ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდი და ამ სახლშიც მათთან ერთად ვიქნები.

**- რადგან ახალი სახლი შეიძინეთ, მსოფლიოს ფინანსური კრიზისს თქვენზე არ უმოქმედია...**

- ყველას გარკვეული დოზით შეეხო ეს კრიზისი. მაგრამ საჩოგბურთო სამყაროში ეს ყველაზე ნაკლებად შეიმჩნევა.

**გია თვალაბეიშვილი**



გამოვიდა დეკემბრის ნომერი